გამოცემის 75-ე წელიწადი

№067 (12746) | 23 მარტი ორშაბათი 2009 | ფასი 50 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

29
21



# რუსეთი დავამიწეთ



» 11,16

## პე ეს პე
## ჩემი ოჯახის აფთიაქია








» 5

ლეგიონი

## მჭედლიშვილის დაბრუნება და ოთხი ქართული გოლი



» 8

## პრემიერლიგის სახელბურთო ინტრიგა

## AUFWIEDERSEHEN



## დინამომ ცობელი გაუშვა

რანაირი იყო რაინერი?

» 3

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XXV ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 23 | 14 | 8 | 1 | 37-12 | 50 |
| 2. დინამო | 23 | 15 | 4 | 4 | 48-17 | 49 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 13 | 4 | 6 | 29-15 | 43 |
| 4. ოლიმპი | 22 | 11 | 9 | 2 | 25-11 | 42 |
| 5. სიონი | 23 | 8 | 9 | 6 | 24-20 | 33 |
| 6. ლოკომოტივი | 22 | 8 | 5 | 9 | 24-21 | 29 |
| 7. მგლები | 23 | 7 | 5 | 11 | 26-29 | 26 |
| 8. მესხეთი | 23 | 5 | 8 | 10 | 15-29 | 23 |
| 9. გაგრა | 23 | 4 | 6 | 13 | 16-37 | 18 |
| 10. სპარტაკი | 22 | 3 | 6 | 13 | 20-37 | 15 |
| 11. ბორჯომი | 23 | 2 | 6 | 15 | 17-53 | 12 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 11 | 9 | 2 | 0 | 32-9 | 29 |
| 2. ზესტაფონი | 11 | 8 | 0 | 3 | 18-6 | 24 |
| 3. ოლიმპი | 11 | 6 | 5 | 0 | 13-2 | 23 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 4 | 1 | 18-7 | 22 |
| 5. მგლები | 12 | 6 | 1 | 5 | 17-9 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 12 | 5 | 2 | 5 | 12-8 | 17 |
| 7. გაგრა | 12 | 4 | 4 | 4 | 13-15 | 16 |
| 8. სიონი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-10 | 14 |
| 9. მესხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-11 | 13 |
| 10. სპარტაკი | 11 | 1 | 4 | 6 | 10-18 | 7 |
| 11. ბორჯომი | 12 | 1 | 4 | 7 | 9-22 | 7 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 4 | 0 | 19-5 | 28 |
| 2. დინამო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-8 | 20 |
| 3. ოლიმპი | 11 | 5 | 4 | 2 | 12-9 | 19 |
| 4. სიონი | 12 | 5 | 4 | 3 | 12-10 | 19 |
| 5. ზესტაფონი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-9 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 7. მესხეთი | 12 | 2 | 4 | 6 | 5-18 | 10 |
| 8. სპარტაკი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-19 | 8 |
| 9. მგლები | 11 | 1 | 4 | 6 | 9-20 | 7 |
| 10. ბორჯომი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-31 | 5 |
| 11. გაგრა | 11 | 0 | 2 | 9 | 3-22 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

**XXVI ტური**

**4 აპრილი, შაბათი**

მგლები-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი

**5 აპრილი, კვირა**

დინამო-ოლიმპი
ბორჯომი-გაგრა
სიონი-მესხეთი

*ზესტაფონი ისვენებს*

აპრილში თამაშები 16 საათზე დაიწყება



კახა მახარაძე (ბურთით) მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მიზეზი სად ვეძებოთ?

**21.03. თბილისი. მ. მესხი. 300 მაყურებელი**

**ლოკომოტივი-დინამო 0:0**

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლომიძე, ელიავა - დიაკვნიშვილი - კახელიშვილი (90. ბებუა), მახარაძე, ჩირიკაშვილი, გილაური (63. ნულაძე) - შ. კვანტალიანი (75. მოდებაძე).

სათადარიგოები: ბელელური, გ. კვანტალიანი, დ. ჩაგელიშვილი, ხუმარაშვილი

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კაკუბავა, ხმალაძე - შ. კაშია, დილმელაშვილი, ნერგაძე, ლომია (61. კოშკაძე) - გ. მერებაშვილი, ჯუისი (68. სპასოევიჩი).

სათადარიგოები: ლორია, ჯიშკარიანი, ტომიჩი, ქანთარია, ნემსაძე.

გაფრთხილება: გუშარაშვილი (16), ლომაია (90)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

მეორე ეტაპზე „დინამოს“ ასპარეზობას შთამბეჭდავს ნამდვილად ვერ დავარქმევთ; ეგ კი არა, ჩემპიონობის ფავორიტს რომ შეეფერება, გუნდმა ისეთი თამაში მხოლოდ „ვიტ ჯორჯიასთან“ და „სიონთან“ შეხვედრებში უჩვენა. აი, დანარჩენ მატჩებში კი **რაინერ ცობელის** შეგირდები აშკარად არადამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, თუმცა „მგლებთან“ და „გაგრასთან“ მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება. სამაგიეროდ, ისევე როგორც წინა ტურში, ახლაც მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ - თბილისის „ლოკომოტივმა“ ფავორიტ მეტოქეს აშკარად სწორი ტაქტიკა დაუპირისპირა და დამსახურებული ქულაც მოიპოვა. ერთი შეხედვით, „დინამომ“ მეტოქეზე ბევრად მეტი სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ მთავარი ხომ საბოლოო ანგარიშია. აი, ამ შემთხვევაში კი დინამოელთათვის სასიამოვნო არაფერი დაფიქსირებულა - ზედიზედ მეორე საყაიმო ანგარიშის გამო მოქმედმა ჩემპიონმა ნამეტნავად საჭირო ქულები დაკარგა. სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად მოხდა, რომ „დინამომ“ ზედიზედ ორ შეხვედრაში ვერ გაიმარჯვა, თანაც, ეს ყველაფერი ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპს დაემთხვა...

...სხვადასხვა სახის ტრავმის გამო „დინამომ“ რამდენიმე ფეხბურთელი (**ვაწაძე, კრშკო, გველესიანი, ჩარასი, ფირცხალავა**) მოისაკლისა. ამიტომაც იყო, რომ ცობელს საკუთარი გუნდის ძირითად შემადგენლობაში გარკვეული კორექტივების შეტანა მოუხდა: „პანათინაიკოსთან“ სტუმრად ჩატარებული მატჩის მერე პირველად გამოჩნდა „სასტარტოში“ **დონალდ ჯუისი,** ხოლო ახალგაზრდა **ლევან კაკუბავამ** დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი. რაც შეეხება მასპინძლებს, „ლოკომოტივი“ ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე და როგორც უკვე ალვნიშნეთ, მოქმედ ჩემპიონს ღირსეულად ეპაექრა.

უფრო მეტიც: შეხვედრის საწყისი 30 წუთი „ლოკომოტივი“ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა. მასპინძელთა უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემი მოედნის შუა ხაზში იყო: „საყრდენი“ **გიორგი დიაკვნიშვილი** და მის წინ მოქმედი ორი ცენტრალური ნახევარმცველი (**ირაკლი ჩირიკაშვილი, კახა მახარაძე**), ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდნენ. ამას გარდა, იგრძნობოდა, რომ „ლოკომოტივს“ კარგად ჰქონდა დამუშავებული სტანდარტული მდგომარეობები: ერთხელ ჩირიკაშვილმა შეასრულა სახიფათოდ საჯარიმო დარტყმა, მეორე ეპიზოდში კი „დინამოს“ კარი **დიდიე ოვონომ** გადაარჩინა, როცა დიაკვნიშვილის მიერ კუთხურიდან (!) ჩაწოდებული ბურთი გაჭირვებით მოიგერია. ცალკე უნდა ალვნიშნოთ კახა მახარაძის ტექნიკური და, რაც მთავარია, ეფექტიანი თამაში - 20 წლის ნახევარმცველი მეორე ეტაპზე „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა და „დინამოსთან“ შეხვედრაშიც, უდავოდ, გამორჩეული იყო.

...31-ე წუთი იყო, „დინამომ“ მეტოქის კარში პირველად რომ დაარტყა! თანაც, ერთობ დინამიური ეპიზოდი იყო: **დავით დილმელაშვილმა** 25 მეტრიდან ბურთი შეუჩერებლად და ძლიერად დაარტყა, მაგრამ **გიორგი ლომაიამ** ჩინებული რეაქცია გამოავლინა და საკუთარი გუნდი გადაარჩინა. აი, ტაიმის ბოლო წუთები კი უკვე „დინამოს“ აქტიური თამაშის ფონზე წარიმართა და მასპინძელთა კართან ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა. ერთ ეპიზოდში **გიორგი მერებაშვილი** აგვირგვინებდა მრავალსვლიან კომბინაციას, მაგრამ საბოლოო დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა, მეორედ კი უკვე ლომაიამ ითამაშა საიმედოდ.

სტადიონზე მყოფი მცირერიცხოვანი ქომაგი მეორე ტაიმში ელოდა სტუმართა „გამოღვიძებას“, მაგრამ, პირველის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც საწყის წუთებში „ლოკომოტივი“ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა. თანაც, შესამჩნევად გააქტიურდნენ მასპინძელთა მარჯვენაფლანგელები: **დაჩი ფოფხაძე** და **გიორგი კახელიშვილი** საკუთარ მეურვეებს ბევრ პრობლემას უქმნიდნენ. მოედნის ცენტრში კი კვლავ მახარაძე „ბატონობდა - ახალგაზრდა ნახევარმცველი ასაკთან შეუფერებელი სიდინჯით აკონტროლებდა თამაშის რიტმს და მოკლე თუ საშუალო მანძილზე უზუსტეს პასებს „არიგებდა“.

მოვლენების ასეთ განვითარებას, რალა თქმა უნდა, ცობელი ვერ შეეგუებოდა და შეცვლებით სცადა სიტუაციის გამოსწორება. სწორედ შეცვლაზე შემოსულმა **ალექსანდრე კოშკაძემ** წამოიწყო კიდეც პირველი სახიფათო იერიში, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩენილმა ჯუისმა ეს მომენტი ვერ შეიშნო. აი, ეს იყო და ეს - „დინამოს“ თამაში კვლავ ქაოსურად და უშინაარსოდ გაგრძელდა. ოღონდ, ვიდრე ერთობ დასამახსოვრებელ რვაწუთიან მონაკვეთს ვიხილავდით - აი, ამ პერიოდში კი „დინამოს“ გოლის გატანა აუცილებლად მართებდა. ჯერ **გიორგი ნერგაძის** ჩინებული სოლო-რეიდი ვნახეთ, ცოტა არ იყოს, საკამათო ეპიზოდით რომ დასრულდა: სტუმართა აზრით, „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა, მერე, კოშკაძემ გაისროლა შორიდან, მაგრამ ლომაიამ არცთუ იოლი ბურთი ჩინებულად მოიგერია. ამის შემდეგ კი, ერთწუთიან ინტერვალში ზედიზედ ორჯერ მოექცა ყურადღების ცენტრში გიორგი მერებაშვილი; „დინამოს“ ლიდერს ორივეჯერ **შოთა კაშია** უწევდა ასისტენტობას და მერებაშვილს ორივეჯერ სულ მცირედი დააკლდა: პირველ ეპიზოდში, ბურთი მიზანს ასცდა, მეორედ კი - ხარიხას მოხვდა! ამ შტურმის მერე „დინამოს“ შეტევები ისევ ერთფეროვანი გახდა; ეს კი, რალა თქმა უნდა, მასპინძელთა დამსახურება იყო - „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ნახევარმცველებმა კვლავაც უნარიანად დაიწყეს ბურთის კონტროლი. მართალია, ოვონოს, ფაქტობრივად, სამუშაო არც ჰქონია, მაგრამ მასპინძლები ცენტრიდან თუ მარჯვენა ფლანგიდან ხშირად ავიწროვებდნენ მეტოქეს.

...მატჩი დასასრულისკენ მიდიოდა, „დინამო“ უკანასკნელად რომ „აფეთქდა,“ მაგრამ შაბათის ქარიან დღეს ლომაია უშეცდომოდ თამაშობდა! საქართველოს ნაკრების მეკარემ ჯერ მერებაშვილის მიერ „ცხრიანში“ დამიზნებული ბურთი „მოხსნა“, სულ ბოლოს კი კოშკაძეს არ დაანება გოლის გატანა...

ჰო, ქარი ვახსენეთ და იმედია, „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელები მათთვის ზედიზედ მეორე წაფორხილებას არც კლიმატურ პირობებს დააბრალებენ და არც - უხარისხო გაზონს...

**გია ტუხაშვილი**

***P.S.** როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, „ლოკომოტივთან“ მატჩი რაინერ ცობელისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ამ თემას ამჯერად უკომენტაროდ დავტოვებთ და მხოლოდ იმ განცხადებას შემოგთავაზებთ, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე რომ გამოქვეყნდა: „კლუბის ხელმძღვანელების და მთავარი მწვრთნელის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტი მთავარ მწვრთნელთან გაწყვეტილია. საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ მადლობას უხდის გერმანელ სპეციალისტს გაწეული სამუშაოსთვის და წარმატებებს უსურვებს საფეხბურთო კარიერაში. მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს გუნდის მეორე მწვრთნელი შეასრულებს“.*

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# მაინც, რანაირი იყო რაინერი?

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში **რაინერ ცობელი** თბილისის „დინამოს“ მეხუთე უცხოელი მწვრთნელი იყო და ჩვენს უტიტულოვანეს გუნდს ისე დასცილდა, სეზონი არ ჩაუმთავრებია. რატომ გაუშვეს ცობელი? „დინამომ“ ბოლო ორი თამაში ვერ მოიგო, თუმცა ორი ფრის გამო მწვრთნელებს, როგორც წესი, გუნდიდან არ უშვებენ. მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე და ცობელიც „დინამოს“ გაეყარა. გუშინ ის უკვე სამშობლოში გაემგზავრა...

ცუდ დროს მოუწია ცობელს „დინამოს“ მწვრთნელობამ. ამ სეზონში, ფაქტობრივად, გაუქმებულია სატელიტი გუნდების ინსტიტუტი. რალაც-რალაცები კიდევ შეიცვალა წინა სეზონთან შედარებით და... შეიცვალა „დინამოც“ - ხომ ხედავთ, ორი ფრე და გერმანელ მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს. განა სხვა დროს მომხდარა, რომ ორი ვერმოგებული თამაშის გამო „დინამოში“ მწვრთნელი შეეცვალათ?

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ცობელის „დინამომ“ ფარერების სოფელ რუნავიკის გუნდს ორი მატჩის ჯამში კი მოუგრიხა კისერი, მაგრამ იმავე სოფელში საპასუხო მატჩი 0:1 წააგო - მანამდე, „რუნავიკს“ ევროსარბიელზე ყველა მატჩი წაგებული ჰქონდა და ნავსი „დინამოთი“ გატეხა. ვინძლო, ამ არცთუ პატარა წვეთიდან დაიწყო მოთმინების ფიალის ავსება, მაგრამ... შარშანწინდელიც გავიხსენოთ - **დუშან უჰრინის** განვრთნილმა „დინამომ“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვენის „რაპიდთან“ ორი მატჩის ჯამში 0:8 წააგო, იმ წელს საქართველოს ჩემპიონიც ვერ გახდა, მაგრამ უჰრინს აცალეს მუშაობა, ცობელს კი არა.

ცობელის „დინამო“ ახლა მეორე ადგილზეა, თასის ნახევარფინალშია გასული, მოიგო სუპერთასი - არ არის ურიგო შედეგი, ჩემპიონატში ლიდერ „ვიტ ჯორჯიასაც“ ოდენ ქულით ჩამორჩება, მაგრამ... ცობელი „დინამოში“ აღარ არის. სეზონის ბოლოს, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში, მწვრთნელის შეცვლა ძალიან სარისკო გადაწყვეტილებაა. რაში დასჭირდა „დინამოს“ ამაზე წასვლა? რა უნდა შეიცვალოს გუნდში ასე მოკლე დროში?

ისიც უნდა ითქვას, რომ ცობელის „დინამოს“ უშუალო კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთან“ ამ სეზონში თამაში არ წაუგია, ყველაზე პრინციპულ დაპირისპირებაში არ დაჯაბნილა, მესამე წრეში კი ვიტელებს შინ ეთამაშება. „დინამო“ ნამდვილად არ არის უიმედო სიტუაციაში, მაგრამ ცობელი ამ გუნდის მწვრთნელი აღარ არის.

ცობელი საინტერესო ტიპია. ფეხბურთელობისას სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასიც, მწვრთნელობისას კი... პირად საუბარში მითხრა, ძალიან სიამოვნებს განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებში მუშაობაო და მართლაც - საქართველომდე ეგვიპტეში, გაერთიანებულ საემიროებსა და ირანში უმუშავია. კაცი თუ მუყაითი არ არის, ასეთ რამეზე არ წავა, სხვა საქმეა ნიჭი და უნარი. ცობელის ხელში „დინამო“ არ იყო საინტერესო გუნდი, საქართველოში ძლიერი კი იყო, მაგრამ არ ყოფილა თვალისმომჭრელი. და განა, პერ რაინერის წასვლის შემდეგ „დინამო“ მყის კაშკაშა გუნდად გადაიქცევა?



რაც შეეხება სამწვრთნელო ცვლილების ზუსტ მიზეზს, ამაზე ჯერ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია, რასაც ამჯერად მოვერიდებით - ქართულ ფეხბურთში ბურუსით მოცული ამბების გახეთქვა მოგვიანებით ხდება ხოლმე.

კაპუჩინო, სიგარეტი და ენაწყლიანი, გულიანი საუბარი - არ არის ცობელი ისეთი კაცი, რომელიც არ მოგვენატრება. და თუ ის არ იყო ის მწვრთნელი, ვინც „დინამოში“ უნდა მიეწვიათ, პერ რაინერი ამ საქმეში უბრალოა...

**დავით თავართქილაძე**

---

**22.03. გორი. ქართლი. 200 მაყურებელი**

**სპარტაკი-ვიტ ჯორჯია**

**0:0**

სპარტაკი: იაშვილი - მგალობლიშვილი, გ. კვახაძე, ქორიძე, ლონლაძე - მეტრეველი (84. ავალიანი), ჯანგიძე, ჩივაძე (80. ულენტი), შონია, მაისურაძე (70. ჯიქია) - სირბილაძე.

*სათადარიგოები: კოდალაევი, თურმანიძე, გაბელაია, შერა ზადიშვილი*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე - დათუნაიშვილი, რაზმაძე, გ. მელქაძე (83. როსტიაშვილი), კლიმიაშვილი (71. ხურცილავა) - კვარაცხელია, ბერიაშვილი (57. სვანიძე).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ყველაშვილი, კვალინიძე, მაისაშვილი*

გაფრთხილება: რაზმაძე (14), ჯანგიძე (75), ა. კვახაძე (86)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# დასანანი ქულები

ამ შეხვედრის შემდგომ ორივე გუნდის მწვრთნელები დასანან ქულებზე საუბრობდნენ. ბუნებრივია, „ვიტ ჯორჯიას“ დამრიგებლისგან მოსალოდნელიც იყო ასეთი კომენტარი - ჩემპიონატის ლიდერმა ხომ მორიგი ქულები გააწიავა, მაგრამ ცხინვალელთა მთავარი მწვრთნელი მატჩის წინ ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მისი გუნდი ქულას მოიპოვებდა და თან გამარჯვების რეალური შანსიც ექნებოდა.

არცთუ მაღალ ტემპში დაწყებული დაპირისპირება პირველ ტაიმში ვერაფრით იყო გამორჩეული. ფავორიტი სტუმარი შესვენებამდე ოდნავ თუ სჯობდა მეტოქეს და ისიც - ბურთის ფლობის თვალსაზრისით. სხვა მხრივ, გუნდებს შორის ძირეული განსხვავება არ ჩანდა. შეტევაში ეული თავდამსხმელით (**სირბილაძე**) მყოფი „სპარტაკი“ დიდ ყურადღებას უთმობდა დაცვის საიმედოობას და შეძლებისდაგვარად სწრაფ კონტრშეტევებზე იყო აქცენტირებული. „ვიტ ჯორჯია“ უმთავრესად აქტიურად მოძრავი შუა ხაზით, საჯარიმოში ფლანგური ჩაწოდებებითა და იქ **კვარაცხელია-ბერიაშვილის** დუეტის გარჯით ცდილობდა ფონს გასვლას. აქედანვე უნდა ვთქვათ, თავდამსხმელებმა მეურვეებს ვერ აჯობეს და ამის დასტურია უგოლო ფრე.

ასევე უნდა აღინიშნოს დაცვის ცენტრში, სხვადასხვა მხარეს მოთამაშე **კვახაძეების** ნაყოფიერი გარჯა. განსაკუთრებით საქართველოს ნაკრების მცველმა და „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანმა დაგვამახსოვრა თავი, და არა მარტო დაცვაში - შეტევაშიც ხშირად და მწვავედ ერთვებოდა.

პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს. თანაგუნდელებმა ჯერ **კვარაცხელია**, მერე კი **ბერიაშვილი** გაიყვანეს სახეირო პოზიციაზე, თუმცა ორივეჯერ მცველებმა იყოჩაღეს. ცხინვალელთა მხრიდან გამორჩეული იყო **მეტრეველის** ფლანგური გარღვევა - ფაქტობრივად, ის პირისპირ გადიოდა მეკარესთან, მაგრამ არბიტრის უადგილო სასტვენმა მოწინააღმდეგე ფეხბურთელზე ჯარიმა დააფიქსირა და იერიში შეაჩერა, არადა, ცხინვალელი ბურთს ინარჩუნებდა და კარისკენაც მიიწევდა...

საჯარიმოში შეღწევა რომ გაუჭირდათ, ვიტელებმა შორეული დარტყმებითაც სცადეს გატანა - ჯერ ალექსანდრე კვახაძემ დასცხო 30 მეტრიდან და დაარტყა ძლიერად და მეკარე **იაშვილი** ხარიხასთან შესწვდა ბურთს, ტაიმის მიწურულს კი **ჯაფარიძის** მიერ თითქმის იმავე მანძილიდან დარტყმული ერთ-ერთ ფეხბურთელს მოხვდა და სპარტაკელთა მეკარეს რიკოშეტირებული ბურთის მოსაგერიებლად დიდი გარჯა დასჭირდა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ“ შეტევებს უმატა. უფრო პროდუქტიულად ამოქმედდა სტუმართა შუა ხაზი. **რაზმაძემ** რამდენჯერმე წარმატებით ჩაშალა მეტოქის მწვავე კონტრშეტევა და **მელქაძესთან** ერთად არა ერთი სახიფათო შეტევაც წამოიწყო. 55-ე წუთზე საჯარიმოში მყოფმა ბერიაშვილმა მკერდით მიიღო ბურთი და შეუჩერებლივ დაარტყა, მაგრამ სიზუსტე დააკლო. 64-ე წუთზე, საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **ლომაიამ** თავით დაუგდო სახეირო პოზიციაში მყოფ **სვანიძეს**, თუმცა თბილისელმა ცუდად დაარტყა.

მატჩის მიწურულისკენ ვიტჯორჯიელთა სათამაშო უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. მასპინძლები ლიდერს ბურთის გათამაშებაში ხელს ვეღარ უშლიდნენ. 79-ე წუთზე ჯაფარიძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა კვარაცხელია, თუმცა ეს უკანასკნელი შეყოვნდა და მომენტიც განიმუხტა.

აი, მატჩის ბოლო წუთები კი, მოულოდნელად, სპარტაკელთა ერთგვარი შტურმით აღინიშნა. 85-ე წუთზე, ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ, სირბილაძემ თავური ოდნავ ააცილა ხარიხას. ხოლო კულმინაცია ოთხ წუთში დადგა, როცა **ჯანგიძის** ჯარიმას ვერავინ შესწვდა (მათ შორის, ვერც კარიდან ერთ მეტრში ჩასაფრებული **ლონლაძეც**), ბურთი კი ძელს მოხვდა და... ლიდერი აშკარა გოლს გადაურჩა.

**მატჩის შემდეგ**

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** *„მეტად რთული თამაში გვქონდა. ძლიერი იყო „სპარტაკის“ მოტივაცია და ამბიცია, რამაც, როგორც ნახეთ, მათთვის კარგი შედეგიც გამოიღო. ჩვენ კი აუცილებლად უნდა მოგვეგო, საჩემპიონო ბრძოლა ამას გვავალდებულებდა, მაგრამ ამ ბოლოხანს გოლების გატანა ერთობ გვიჭირს, რაც, ცხადია, შედეგზეც უარყოფითად აისახება“.*

**სერგო გაბელაია (სპარტაკი):** *„მშვენიერი მატჩი იყო. ჩემმა ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს. რასაკვირველია, ჩემპიონობისათვის მებრძოლ გუნდთან მოპოვებული ქულით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ბოლო ხუთ წუთში ფორტუნას რომ არ ემტყუნა, აუცილებლად მოვიგებდით“.*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

---

**22.03. ზესტაფონი. ცენტრალური. 1000 მაყურებელი**

**ზესტაფონი-მესხეთი**

**3:0**

1:0 გრიგალაშვილი (27), 2:0 გელაშვილი (48. გ. ჭელიძის პასით), 3:0 გელაშვილი (66. პენ)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - გრიგალაშვილი, ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, მაკარიანი - გ. ჭელიძე, დაუშვილი (69. ჭანკოტაძე), გორგიაშვილი (58. ნ. კვასხვაძე), ძარია - ლ. მელქაძე (65. კაკალაძე), გელაშვილი.

*სათადარიგოები: მამალაძე, კაჭკაჭიშვილი, კვესიეშვილი, იონანიძე*

მესხეთი: ძამუნაშვილი - მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, ქოჩორაშვილი (41. გვირჯიშვილი) - თედიაშვილი (86. ინასარიძე), ხორგუაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლეკიშვილი - ლ. ქებაძე, მიქაბერიძე (88. სუდაძე).

*სათადარიგოები: თელიაშვილი, სამადაშვილი, ვაშაკიძე*

გაფრთხილება: გელაშვილი (38), გვირჯიშვილი (45), ლობჟანიძე (73)

არბიტრი: მ. ურუშაძე

# მესხეთის დეზერტირები და გამარჯვება მესამე ცდაზე

ამ სეზონში „მესხეთი“ „ზესტაფონისთვის“ უხერხული მეტოქე აღმოჩნდა. პირველ წრეში ახალციხელებმა სტუმრად სენსაციური გამარჯვება (1:0) მოიპოვეს და ძლიერ მეტოქეს არც მეორე (საშინაო) შეხვედრაში დაუთმეს რამე - 0:0. თუმცა „კერკეტი კაკალი“ მესამე ცდაზე მაინც გატყდა. გუშინ ზესტაფონელებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს და მესამე ადგილზე გადაინაცვლეს.

მატჩის წინ ახალციხელებს კვლავ შეექმნათ პრობლემები. უხელფასობით გამწარებულმა რამდენიმე ფეხბურთელმა ზესტაფონში თამაშზე უარი განაცხადა. მაგალითად, **სამადაშვილი** „მესხეთის“ განაცხადში კი იყო, მაგრამ... ზესტაფონში არ იმყოფებოდა. ეს თავად გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა** გაგვიმხილა. როცა მას ვკითხეთ, თუ რატომ ეწერა სამადაშვილი განაცხადში, ასე გვიპასუხა - აბა რა გვექნა, განაცხადში 12 კაცს ხომ არ შევიყვანდით, სირცხვილი იქნებოდაო (???)...

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. საწყის წუთებში „მესხეთი“ მეტოქეს არაფერში არ ჩამოუვარდებოდა და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდა. მე-3 წუთზე მასპინძელთა სიმშვიდე **მაისურაძემ** დაარღვია, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. საპასუხო შეტევის დროს **მელქაძეს** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მცველებისგან ასხლეტილ ბურთს ვეღარ მიუსწრო. კიდევ ერთი წუთიც და ზესტაფონელთა მეკარე **როინ კვასხვაძემ ქოჩორაშვილის** ძლიერი დარტყმა ნახტომში მოიგერია. ამის საპასუხოდ, **გრიგალაშვილის** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ მელქაძე თავით ურტყამდა და **ძამუნაშვილმა** რთული ბურთი მოიგერია. 23-ე წუთზე სტუმრებს გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ კვასხვაძემ **მიქაბერიძეს** ბოლო მომენტში აართვა ბურთი.

ზესტაფონელთა შორის ყველაზე გამორჩეული - დაცვის მარჯვენა ფლანგზე გამწესებული გრიგალაშვილი იყო, რომელიც თავის ზონას მთლიანად აკონტროლებდა და ახალციხელები მის შეჩერებას ვერაფრით ახერხებდნენ. სხვათა შორის, პირველ წრეში გრიგალაშვილი „მესხეთის“ ღირსებას იცავდა და მაშინ „ზესტაფონის“ დამარცხებაში დიდი წვლილიც შეიტანა. გუშინ კი ყოფილი კლუბის განადგურებას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი. 27-წუთზე, **გელაშვილის** აქტიურობის შემდეგ, შოთამ დაბალი ტრაექტორიით, მეკარისთვის უხერხულად დაარტყა და ანგარიში გახსნა - 1:0.

გოლის შემდეგ **გია გეგუჩაძის** შეგირდებმა კიდევ უფრო გაამწვავეს თამაში და რომ არა მეკარე ძამუნაშვილის საიმედო გარჯა, ზესტაფონელები პირველ ტაიმშივე სოლიდურად დაწინაურდებოდნენ. ანგარიშის გახსნიდან რამდენიმე წამი იყო გასული, როცა ახალციხელთა მეკარემ გელაშვილის სახიფათო დარტყმა მოიგერია. 39-წუთზე, იმავე გელაშვილის პასის შემდეგ, მელქაძე ახლოდან ურტყამდა თავით, თუმცა „მესხეთის“ კიპერმა ამჯერზეც იხსნა საკუთარი გუნდი და ტაიმის ბოლოსაც, როცა მან კიდევ ერთხელ იმარჯვა და გელაშვილის სახიფათო შეტევა შეაჩერა.

ახალციხელებს მალე დაეტყოთ დაღლილობა. ისინი ზესტაფონელთა შეტევებს ვეღარ უმკლავდებოდნენ და შესვენების შემდეგ მეორე გოლიც გაუშვეს. 48-ე წუთზე **ჭელიძის** ჩაწოდების შემდეგ გელაშვილმა თავით დალაშქრა ახალციხელთა კარი - 2:0

ამის შემდეგ მასპინძლები ცოტათი მოდუნდნენ და „მესხეთს“ გოლის გატანის კარგი შანსიც მიეცა, მაგრამ **მემარნიშვილის** სახიფათო დარტყმა კვასხვაძემ მოიგერია. 59-ე წუთზე ზესტაფონელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს - გელაშვილის პასის შემდეგ მელქაძეს გოლის გატანა მართებდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. მალე მოედანზე გამოჩნდა **კაკალაძე**, რომელიც ბურთთან პირველივე შეხებისას საჯარიმოში წააქციეს. 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა გელაშვილმა და 13 გოლით ბომბარდირთა დავაში დინამოელ **მერებაშვილს** დაეწია.

მე-80 წუთზე **ნიკა კვასხვაძის** კუთხურს **ლობჟანიძემ** ძლიერი თავური მიაყოლა, ხოლო **ხორგუაშვილმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მატჩის ბოლომდე მეტოქეებმა კიდევ რამდენიმე მომენტი „გაცვალეს“, რომელთაგან გამოსარჩევია **ქებაძის** მიერ პირდაპირ ცენტრიდან დარტყმული ბურთი, კარიდან გამოსულმა კვასხვაძემ გაჭირვებით რომ მოიგერია...

**მატჩის შემდეგ**

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** *„ამ მატჩის წინაც მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდით. უხელფასობის გამო რამდენიმე ფეხბურთელმა ზესტაფონში წამოსვლასა და თამაშზე უარი განაცხადა. სანამ ძალები გვეყო, ნორმალურად ვითამაშეთ და მეტოქეს არაფერი დავუთმეთ, მაგრამ მოუმზადებლობამ თავისი ქნა და მეორე ნახევარში დაღლა დაგვეტყო. სწორედ ამ დროს გაგვტეხა „ზესტაფონმა“. გვპირდებიან, რომ პრობლემები მალე მოგვარდება და იმედია, დარჩენილი მატჩებისთვის სრულფასოვნად მოვემზადებით“.*

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** *„რთულია კომენტარი გააკეთო ასეთ სიტუაციაზე. შევდივარ ჩემი კოლეგის მდგომარეობაში და იმედი მაქვს, „მესხეთში“ ყველაფერი მალე მოგვარდება... უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, უკვე გამოიკვეთა ის კონტურები, რაზეც „ზესტაფონის“ თამაში უნდა ავაგოთ. ფეხბურთელების კმაყოფილი ვარ, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ მათ მეტი შეუძლია. რაც შეეხება გრიგალაშვილს, მართალია, ის დღეს დაცვის მარჯვენა ფლანგზე გამოვიყენეთ, მაგრამ მისი ადგილი მოედნის ცენტრშია და თუ მოინდომებს, შეუძლია, გუნდის ლიდერადაც ჩამოყალიბდეს“.*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

21.03. თბილისი. ამერი.
500 მაყურებელი

**გაგრა-მგლები**

**2:2**

1:0 ტყეშელაშვილი (12. პენ), 1:1 გ. თოდუა (16. პენ), 2:1 ჭედია (45), 2:2 ლ. ნოზაძე (65)

გაგრა: ხომერიკი - კუპრეიშვილი, გიგაური, გაბუნია, ტყეშელაშვილი - ოვონიკოკო, ლ. ნოზაძე, ცხადაია, ჩარგეიშვილი - გაბედავა, ძაგანია (46. ცხადაძე).

*სათადარიგოები:* კოტრიკაძე, ლ. სეთურიძე, გედენიძე, აბაშიძე, მოსიაშვილი.

მგლები: სომხიშვილი - ჭითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი - გულორდავა (71. ჭკადუა), გუჩუა, პ. დათუნაიშვილი, გ. თოდუა, ქირია (80. ა. ბაჯელიძე) - ჭედია.

*სათადარიგოები:* ქალდანი, მალიჩავა, ჯოჯუა, ხუხია, ხურციძე

გაფრთხილება: რ. ონიანი (90)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# ფრე, რომელმაც ორივე დააკმაყოფილა

„გაგრაში" სამი დებიუტი იყო. გუნდი თამაშზე უკრაინელმა **ვიქტორ კაშჩეიმ** გაიყვანა, არადა, მატჩის წინა დღეს „გაგრაში" გვითხრეს, მთავარ მწვრთნელად **ვლადიმერ ხაჩიძე** რჩება, კაშჩეი კი მისი კონსულტანტი იქნება და „მგლებთან" ორივე უხელმძღვანელებს გუნდსო. თუმცა ხაჩიძე, სათადარიგოთა სკამის ნაცვლად, ტრიბუნაზე აღმოჩნდა და „გაგრას" კაშჩეი მოძღვრავდა...

ამ გუნდში პირველად ითამაშა 17 წლის ნიგერიელმა **ოვონიკოკო აბიომო სეუნმა**. ეს ფეხბურთელი „გაგრაში" ზამთრის პაუზისას, იანვარში მივიდა. გუნდში მას ჯერ აკვირდებოდნენ, შემდეგ მისი აყვანა გადაწყვიტეს და ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციიდან სატრანსფერო ფურცელს ელოდნენ. ნიგერიიდან ჩქამი არ ისმოდა და ფიფას წესების თანახმად, თუ ერთი თვის განმავლობაში პასუხი დაახანებს, ფეხბურთელზე დროებითი სატრანსფერო ფურცლის გაცემა შეიძლება და „გაგრამაც" ოვონიკოკოსთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მესამე დებიუტანტი კი **ლაშა ნოზაძე** გახლდათ, „ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი, ვინც ბოლოს ყაზახეთში თამაშობდა. ლაშა „მგლებთან" მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მივიდა „გაგრაში" და მყის ითამაშა, გოლიც გაიტანა, თუმცა საუკეთესო ფორმაში ჯერ ნამდვილად არ არის.

ზუგდიდელთა თავკაცმა **ბესიკ შეროზიამ** უწინდელთან შედარებით განსხვავებული ტაქტიკა შეარჩია. ნახევარდაცვაში მან ხუთი ფეხბურთელი გაამწესა, თავდამსხმელი **თოდუა** უკან დასწია და წინ ოდენ **ჭედია** დატოვა.

თამაშს იგებს ის, ვისაც უკეთესი ნახევარდაცვა ჰყავს - ვინძლო, შეროზია ამ თეორიას ეყრდნობოდა. მის განკარგულებაში იყვნენ გამოცდილი ნახევარმცველები და გათვლაც მათზე გააკეთა. შეროზიას სტრატეგიამ გაამართლა, თუმცა ოდენ პირველ ტაიმში - მეორე ნახევრის შუაწელში „მგლების" შუა ხაზს დაღლა დაეტყო და „გაგრამაც", პირველ რიგში, ამით მოახერხა თამაშის შემობრუნება.

პირველი წუთები ნერვიული და აბურდული იყო. „მგლებს" დაწინაურება შეეძლო - თოდუას ჩაწოდებას **გულორდავამ** მიაყოლა თავური - დარტყმა სუსტი გამოდგა და **ხომერიკმა** იოლად მოიგდო ბურთი ხელებში. უპირატესობას თითქოს ზუგდიდელები უნდა დაუფლებოდნენ, თუმცა გოლი აქეთ გაუშვეს - **ცხადაიამ** კარის გასწვრივ ჩააწოდა, მარჯვენა ნახევარმცველად მოთამაშე ოვონიკოკომ ფორვარდის პოზიციაზე გადაინაცვლა და ის იყო, ბურთი კარისკენ უნდა გადაეგზავნა, მცველთან ორთაბრძოლაში პენალტი რომ მოიპოვა - **ტყეშელაშვილის** დარტყმა უნაკლო გამოდგა.

ოთხი წუთი - ამდენ ხანს გასტანა მასპინძელთა უპირატესობამ - **პაატა დათუნაშვილმა გაბუნიასთან** ორთაბრძოლაში არბიტრ **ლაშა სილაგავას** საპენალტოდ დაასტვენინა - თოდუას დარტყმულს ხომერიკმა ვერაფერი მოუხერხა და ანგარიშიც გათანაბრდა.

აი, ამის მერე კი წავიდა ჯიგრიანი და საინტერესო ბურთობა. თამაში გაიხსნა, არც ერთ გუნდს არ უფიქრია ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა. კაშჩეიც და შეროზიაც აქტიურად კარნახობდნენ ფეხბურთელებს, ფრე არავის აძლევდა ხელს. ჯერ ზუგდიდელებს მართებდათ გოლის გატანა - ჭედია ახლო მახვილი კუთხიდან ცდილობდა კარის დალაშქვრას, მაგრამ ხომერიკმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. შემდეგ ცხადაიამ გაისროლა შორიდან და **სომხიშვილის** ჩინებული ნახტომი რომ არა, ბურთი ბადეში გაეხვეოდა.

ამას მოჰყვა „მგლების" ასპროცენტიანი საგოლე მომენტი - გულორდავა მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში შესულმა ჩინებულად გადააწოდა ჭედიას, რომელმაც ერთი მეტრიდან ვარდნაში დაარტყა და ბურთი ხარიხას მოხვდა.

ტექნიკა, გამოცდილება, კლასი - არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ამ კომპონენტში უპირატესობა ზუგდიდელთა მხარეს იყო. თოდუამ, გულორდავამ, **გუჩუამ** და დათუნაიშვილმა მოედნის ცენტრი ისე დაიკავეს, რომ თამაში უკვე „მგლების" კარნახით მიმდინარეობდა. თუმცა **ონიანის** შეცდომის გამო „გაგრას" უნდა გაეტანა გოლი - **ძაგანია** სომხიშვილთან პირისპირ დარჩა. მას ხელს არავინ უშლიდა, მეკარესთან მიახლოებას ბურთის თავზე გადავლება არჩია, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

„მგლების" მიერ შუა ხაზში მოპოვებულმა უპირატესობამ თავისი მაინც გაიტანა - გუჩუამ ძალიან კარგი პასით გაიყვანა ჭედია ხელსაყრელ პოზიციაზე, გიორგი ორჭოფობდა - მცველის მოტყუებაზე წასულიყო, დაერტყა თუ ბურთი თანაგუნდელისთვის გადაეწოდებინა, არჩევანი დარტყმაზე გააკეთა და არც შემცდარა - დაახლოებით 25 მეტრიდან ისეთი ამოსცხო, ბურთმა მეკარისთვის ძალზე უხერხული ტრაექტორია მოხაზა და ბადეში გაეხვია.

მეორე ტაიმის დასაწყისში მატჩის სიუჟეტი არ შეცვლილა, თუმცა „მგლებს" თითქოს ნელ-ნელა ქანცი ეცლებოდა და „გაგრაც" იშტაზე მოვიდა. აღსანიშნავია **გაბედავას** დარტყმა ოციოდე მეტრიდან, რომელსაც ოდნავ აკლდა სიზუსტე. ვერ ვიტყვით, მასპინძლებმა სტუმრებს მძლავრად შეუტიესთქო, მაგრამ ანგარიში რომ გაათანაბრეს, ეს კი სავსებით ლოგიკური იყო.

კუთხური ოვონიკოკოს აქტიურობას მოჰყვა, **ჩარგეიშვილის** ჩაწოდებულს კი ნოზაძე ჩაუსაფრდა შორეულ ძელთან და თავურით გაგზავნა ბურთი კარში. საფრეო ანგარიშმა გუნდები ვერ დააცხრო, მოედანზე ისევ ცეცხლი ენთო, თუმცა ნოზაძის გოლის შემდეგ ოდენ ერთი სახიფათო მომენტი ვიხილეთ - გაბედავას შორეული ჯარიმა სომხიშვილმა მუშტებით მოიგერია...

**მატჩის შემდეგ**

**ბესიკ შეროზია (მგლები):** *„ამ შეხვედრაში სამ ქულას ვეგმავდით, თუმცა ფრითაც არ ვარ უკმაყოფილო. პირველ ტაიმში საგოლე მომენტები საკმაოდ გვქონდა, მეტოქეს პრესინგი შევთავაზეთ და ამან გაამართლა".*

**ვიქტორ კაშჩეი (გაგრა):** *„გაგრაზე" საკმარისი ინფორმაცია ჯერაც არ მაქვს, სულ მესამე დღეა, რაც ამ გუნდში მოვედი. პირველ ტაიმში მეტოქის გამოცდილი ფეხბურთელები ფლობდნენ უპირატესობას. მაგრამ წაგება არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა, ეს ფრე უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანს გვიტოვებს".*

დავით **თავართქილაძე**

# ქართული ფეხბურთის პარადოქსი:

## ხელფასს თუ არ გვაძლევთ, გვათამაშეთ მაინც...

### გაჭირვებულ ბორჯომს პენალტი აღმართში დაეწია

21.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
100 მაყურებელი

**ბორჯომი-სიონი**

**1:2**

0:1 გ. ხიდეშელი (30. მიკუჩაძის პასით), 1:1 კიკნაძე (60. პავლიაშვილის პასით), 1:2 სანიკიძე (78. პენ)

ბორჯომი: შეყრილაძე - ხაჩიძე, ხითარიშვილი, მენთესაშვილი (15. გოგოლაძე), ნ. ლომიძე - გაჩეჩილაძე, ქათამაძე, დევიძე, ბაქრაძე, კიკნაძე - პავლიაშვილი.

*სათადარიგოები:* ბერიძე, საყვარელიძე, კირვალიძე

სიონი: ჭანტურია - სვანიძე, ორბელაძე, ვაშაკიძე - შალამბერიძე (44. კაკაშვილი), დიდავა, ზ. ჭელიძე, გ. ხიდეშელი (74. რუსეიშვილი), სანიკიძე - რ. გოცირიძე (61. ბობოხიძე), მიკუჩაძე.

*სათადარიგოები:* ბობლიაშვილი, დავითაშვილი, გ. ბაჯელიძე, ქემოკლიძე

გაფრთხილება: ბაქრაძე (30), გოგოლაძე (75)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

როგორც ჩანს, ეროვნული ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და მთლიანად - ქართული ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული. არა იმიტომ, რომ საამისო ძალისხმევა ნაკლებია ან ვინმეს სურვილი არ აქვს, მთავარი დარტყმა მოდის სიდუხჭირისგან. მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატი იქნება ერთი დიდი სოფლის დონის პირველობა, რომლის დასტურიც იყო ბორჯომული მატჩი.

თავად განსაჯეთ - მატჩამდე „ბორჯომმა" უარი თქვა ჩამოსული ფეხბურთელების - **დათუნაშვილის, ლობჟანიძის, მანთიძის, ლაბაძის და ტუხაშვილის** სამსახურზე მანამ, ვიდრე ისინი არ დაფარავენ ბორჯომში ცხოვრებისა და კვების ხარჯებს. არადა, ფეხბურთელები ამ ხარჯების გასტუმრებას კლუბისგან ითხოვენ - ხელფასზე უკვე აღარ ოცნებობენ. ამას გარდა, **ლაცაბიძესა** და **დარსანიას** უაზროდ სიარული მობეზრდათ და „ბორჯომიდან", ფაქტობრივად, წავიდნენ კიდეც. ისინი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ...

მეორეც - უკვე მესამე ტურია, „ბორჯომის" მატჩს არ დასწრებია გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტი **ოთარ გაბელია** და, როგორც ჩანს, აღარც დაესწრება. შეიძლება ითქვას, „ბორჯომიდან" ისიც წავიდა. მთავარ მწვრთნელად კი დაინიშნა **იგორ დენისკინი**, რომელიც თამაშზე ვერ ვნახეთ. მართალია, მატჩის შემდეგ გვითხრეს - სტადიონი მალევე დატოვაო, მაგრამ გუნდის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა რატომღაც ვერ გაიხსენა, იჯდა კი დენისკინი საერთოდ სათადარიგოთა სკამზე...

მწვრთნელების მხრივ „ბორჯომმა" სეზონის რეკორდი მოხსნა - თუ გაბელიასაც ჩავთვლით, გუნდს უკვე მეოთხე მწვრთნელი ჰყავს. ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი **გიორგი სუხიაშვილი** პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში" დაბრუნდა. შემდეგ დანიშნეს **ჯუნგლი ქართველიშვილი**, რომელიც განზე ისე გადგა, გუნდი მოედანზე არც გაუყვანია. მას სამწვრთნელო ლიცენზია არ ჰქონია და გაბელია მწვრთნელ-კონსულტანტობაზე დაითანხმეს, ახლა კი ბორჯომელი დენისკინი... ისე კი, გასათვალისწინებელია ერთი მარტივი ჭეშმარიტება, რომ ცარიელ ენთუზიაზმზე არავინ იმუშავებს...

წინა ტურის მატჩზე „ბორჯომი" ისეთი შემადგენლობით გავიდა, გაახალგაზრდავებულიც რომ არ ეთქმოდა - „მგლების" წინააღმდეგ, ძირითადად, ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე „შევარდენის" ფეხბურთელებმა ითამაშეს. კლუბი ბოლნისელებთანაც მათ დაყენებას აპირებდა, მაგრამ გამოცდილმა ფეხბურთელებმა მოითხოვეს - ხელფასს თუ არ გვაძლევთ, თამაშის საშუალება მაინც მოგვეცითო (!). სხვათა შორის, ამ ფეხბურთელებმა შემადგენლობაც და ტაქტიკაც თავად მოიფიქრეს. თუმცა აქამდე ჩამოთვლილ ყველა უბედურებას სათადარიგო მეკარის არყოფნაც დაემატა. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ დიდი ხანია, „ბორჯომში" ნორმალური საწვრთნელი პროცესი ვერ ტარდება...

...და აი, ასეთმა გუნდმა ამბიციურ „სიონს" კინაღამ 2 ქულა დააკარგვინა. ბოლნისელები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ, არადა, საკმაოდ ბევრი მწვავე მომენტი შექმნეს, ეგ იყო, რომ კონცენტრაციის ნაკლებობა ღალატობდათ. მაგალითად, მე-15 წუთზე დასარტყამ პოზიციაზე გასულ **ხიდეშელს** მეკარემ აუღო. გავიდა 5 წუთი და ჯერ **სვანიძემ** სცადა „სიონის" შეტევის დაგვირგვინება, შემდეგ კი **რევაზ გოცირიძემ**, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

ანგარიში კი 30-ე წუთზე გაიხსნა და ეს სტუმართა შორის ყველაზე აქტიურმა ხიდეშელმა გააკეთა, როცა სწრაფი კომბინაცია და **მიკუჩაძის** გადაცემა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა - 0:1. ტაიმის მიწურულს კვლავ ხიდეშელმა შეძლო სიტუაციის გამწვავება, მაგრამ ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა.

მეორე ნახევარიც „სიონის" შეტევებით დაიწყო - განახლდა თუ არა თამაში, მიკუჩაძემ ბურთი ძელს მოარტყა. ორიოდ წუთში „ბორჯომის" კარის ძელი **ორბელაძის** თავურმა შეაზანზარა, მერე კი ისევ ხიდეშელმა და მიკუჩაძემ სცადეს ანგარიშის გაზრდა, თუმც ორივემ უშედეგოდ.

მოკლედ, ბოლნისელები უპირატესობას ფლობდნენ და წესით, მოგება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ მოულოდნელად, მასპინძლებმა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა გოლით დაასრულეს - **პავლიაშვილმა** კარგად ითამაშა, საჯარიმოში შეიჭრა და მოძებნა **კიკნაძე**, რომელმაც ახლო მანძილიდან ამ სეზონში მე-9 გოლი გაიტანა - 1:1.

რამდენიმე წუთში კვლავ პავლიაშვილმა იყოჩაღა - მეტოქეს ბურთი აართვა, სწრაფად დაიძრა საჯარიმოსკენ და შორეული დარტყმით სცადა თავისიანების დაწინაურება, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. ეტყობა, ამან გამოაფხიზლა სტუმრები და მალე 11-მეტრიანით დაწინაურდნენ კიდეც - **სანიკიძემ** ბრაზილიელი **სოკრატესივით** მოკლე გამორბენი გააკეთა და პენალტი ეფექტურად შეასრულა - 1:2.

თუმცა აქვე უნდა გამოვთქვათ ეჭვი, რომ ამ ეპიზოდში არბიტრი **პაატა დოგრაშვილი** შეცდა - დარჩა შთაბეჭდილება, რომ **რუსეიშვილის** ჩაწოდებული ბურთი ბორჯომელ **ხაჩიძეს** მხარზე მოხვდა და არა - ხელზე. ნამატჩევს ის დაჟინებით ამტკიცებდა - ხელით არ მითამაშია, ბურთი მხარზე მომხვდაო, მაგრამ... უკვე გვიანი იყო, „სიონმა" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა, „ბორჯომი" კი პირველი ლიგისკენ ლამის სინათლის სიჩქარით მიექანება. ამ დღეში მყოფი გუნდის კარში ასეთი 11-მეტრიანის დანიშვნა ნამდვილი საცოდაობა იყო. ბოლნისელები, ალბათ, ისედაც მოიგებდნენ, ეს აშკარა იყო და ამ სიტყვებით მათი გამარჯვების გაუფასურება არ გვსურს. ისინი მეტოქეს ბევრად სჯობდნენ, თუნდაც იმ ნაკლები კონცენტრირებით, ზემოთ რომ ვახსენეთ. თან, მსაჯიც ადამიანია და ცდება ხოლმე, ისევე როგორც ჟურნალისტი, ფეხბურთელი და მწვრთნელი. თუმცა „ბორჯომის" შემთხვევაში საქმე ისეა, გაჭირვებულს ქვა (ამ შემთხვევაში - პენალტი) რომ აღმართში დაეწევა. წარმოუდგენელია, ბორჯომელთა ტკივილი ვერ გაიგო...

რაც შეეხება „სიონს", ქვემოქართლელთა მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** თავისი ფეხბურთელებით იმდენად უკმაყოფილო დარჩა, რამდენიმე მათგანის დასჯა გადაწყვიტა, ოღონდ ვისი, არ დაუკონკრეტებია.

მერაბ **მამულაშვილი**
ბორჯომი-თბილისი

U 17

ევროპის ჩემპიონატი.
ელიტრაუნდი

# ვაგებთ, მაგრამ შანსი გვრჩება

**ავსტრია-საქართველო 3:0**

22.03. ავსტრია. ბად ვალტერსდორფი.
850 მაყურებელი

1:0 კნასმიულერი (35. პენ), 2:0 ჯირიჩი (60), ალაბა (68)

ავსტრია: ბლატნიკი, ფარკაში, იანეჩეკი, რატი, შილინგი, ალაბა, კაინცი, ლუქსბახერი (68. შმიოლცერი), კნასმიულერი, ოფენბახერი (76. გუნზინამი), ჯირიჩი (60. პროსენიკი).

საქართველო: მეშველიანი, ხარაბაძე, კობახიძე, მირცხულავა, აფაქიძე, ელიზბარაშვილი, საბაძე (56. ძალამიძე), ჩელებაძე, ჭანტურია, დეკანოიძე (41. ჩაფიძე), შეყილაძე (41. ანანიძე).

17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა გუშინ მეორე ტურის მატჩი ჩაატარა. შოტლანდიასთან წარმატებული (1:0) სტარტის შემდეგ **გელა შეყილაძის** გუნდი ტურნირის მასპინძელ ავსტრიასთან დამარცხდა - 0:3. როგორც ქართულმა დელეგაციამ გვაცნობა, 0:1-ზე მალტელმა არბიტრმა **კლეიტონ პისანიმ** ფორვარდ **ირაკლი შეყილაძის** წაქცევისთვის ჩვენს სასარგებლოდ 100-პროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. მეორე ტაიმში კი **გიორგი ჭანტურიამ** რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. გუშინვე, იტალიამ შოტლანდიას 3:1 მოუგო და ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს.

25 მარტს, დასკვნით ტურში, საქართველო იტალიას ეთამაშება. ავსტრია კი შოტლანდიას გაარკვევს ურთიერთობას. იმისთვის, რომ ჯგუფიდან გავიდეთ, საჭიროა დავამარცხოთ იტალია და ამავე დროს, ავსტრიელებმა სკოტებს ვერ მოუგონ. ან კიდევ, პატარა „სკუადრა აძურასთან" ფრის შემთხვევაში, მასპინძელი ავსტრია პარალელურ მატჩში შოტლანდიასთან დამარცხდეს. ვფიქრობთ, არ არის ამგვარი სცენარი მთლად ფანტასტიკის სფეროდან. ვნახოთ, რას მოგვიტანს ოთხშაბათი...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 4. შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

დავით **ცაბაძე**

მეტოქე იტალია

# ლიპი ტრაპისთვის ემზადება

იტალიის ნაკრების თავკაცმა **მარჩელო ლიპიმ** დაასახელა 23-კაციანი შემადგენლობა, რომელსაც ჩერნოგორიასა (28 მარტი, გასვლა) და ირლანდიასთან (1 აპრილი, შინ) შესარჩევი მატჩებისთვის მოამზადებს.

მეკარეები - **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **მარკო ამელია** (პალერმო), **მორგან დე სანქტისი** (გალათასარაი);

მცველები - **ფაბიო კანავარო** (რეალი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **ანდრეა დოსენა** (ლივერპული), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **ფაბიო გროსო** (ლიონი), **მარკო მოტა** (რომა), **სალვატორე ბოკეტი** (ჯენოა), **ჯანლუკა ძამბროტა** (მილანი);

ნახევარმცველები - **მატეო ბრიგი** (რომა), **დანიელე დე როსი** (რომა), **პასკუალე ფოჯა** (ლაციო), **რიკარდო მონტოლივო** (ფიორენტინა), **ანჯელო პალომბო** (სამპდორია), **ანდრეა პირლო** (მილანი);

თავდამსხმელები - **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე), **ვინჩენცო იაკვინტა** (იუვენტუსი), **ჯამპიერო პაცინი** (სამპდორია), **სიმონე პეპე** (უდინეზე), **ფაბიო კვალიარელა** (უდინეზე), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა


რატი ალექსიძე (№10) მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა


ლევან კობიაშვილი მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს


ლევან მჭედლიძემ ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა

# სპარტაკელი ქართველის პირველი გასროლა

## მჭედლიძე ნაკრებისთვის გახურდა

საფეხბურთო სპარტაკი შეიძლება იყოს, როგორც მოსკოვის ასევე - ცხინვალის. თუმცა სპარტაკს შუაგულ ევროპაშიც იხილავთ - უნგრეთში „სპარტაკუსის" სახით. სწორედ ამ გუნდში თავის მეოთხე მატჩში პირველი გოლი გაიტანა ჯერ კიდევ კიევის „დინამოს" ფეხბურთელმა დავით იმედაშვილმა. იმედია, მისი კარიერის დაღმასვლა ამ სეზონში ისევ პროგრესით შეიცვლება...

კვიპროსში მორიგი გოლი გაიტანა ვეტერანმა ფორვარდმა ლევან ქებაძემ, გოლით (კიდევ ერთხელ) გამოიჩინა თავი ლადო დვალიშვილმა („სკონტო", ლატვია), აზერბაიჯანში შეაგდო თორნიკე აფციაურმა („გაბალა").

### ბევრს ეცადა, მაგრამ...

**ზურაბ ხიზანიშვილი**, ერთმატჩიანი გამოჩენის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა „ბლექბერნ როვერსის" სათადარიგოთა სკამს, კაპიტანი **რაიან ნელსენი** გამოჯანმრთელდა და ზურას ადგილიც მან დაიკავა სასტარტო შემადგენლობაში. „ბლექბერნი" „ვესტ ჰემს" დაუზავდა - 1:1. „ვარდები" 31 ქულით მე-17 ადგილზე არიან.

„პალერმო" ვერონაში დამარცხდა „კიევოსთან" დაპირისპირებაში - 0:1. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ლევან მჭედლიძემ** მთელი მეორე ტაიმი ითამაშა, თუმცა გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. ეს ლევანის მე-6 მატჩია სერია A-ში (1 გოლი). ლევანი ერთადერთხელ დაემუქრა მეტოქის კარს, 65-ე წუთზე საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან დაარტყა, მაგრამ ააცილა. სხვათა შორის, „პალერმომ" 36-ე წუთიდან ათი კაცის შემადგენლობით ითამაშა, გააძევეს **მატია კასანი**. „პალერმო" 42 ქულით მე-8 ადგილზეა. „როსანერო ონლაინმა" ლევანის გარჯა 5,5 ბალით შეაფასა, თუმცა ქართველი ფორვარდის მონდომებაც აღნიშნა. „მედიაგოლმა" 5 ბალი დაუწერა ჩვენებურს.

### მათე ჯანზეა

**ლევან კობიაშვილმა** (20 თამაში) ვერ შეძლო სანაკრებო მატჩების წინ კარგი განწყობის დაბევება, „შალკემ" შინ 1:2 დათმო „ჰამბურგთან", ხოლო თავად ქართველმა ვერ აჩვენა კარგი თამაში. მატჩის 30-ე წუთზე ლევანმა თავით უკან გოლკიპერს მიაწოდა პასი, რომელიც სტუმარმა **პიტროიპამ** ჩაჭრა, თუმცა სასწაულებრივ ვერ მოახერხა გოლის გატანა. ლევანი **კრისტიან პანდერით** 78-ე წუთზე შეცვალეს. „შპორტალმა" ჩვენებურს, გოლკიპერ **ნოიერს** და **რაკიტიჩს** - 5-5 ქულა დაუწერა. **ალექსანდრე იაშვილის** (16 თამაში, 1 გოლი) „კარლსრუე" სტუმრად 0:1 დამარცხდა „ბაიერნთან". ქართველი სათადარიგო იყო. „შალკე" 37 ქულით მე-8 ადგილზეა, „კარლსრუე" 17 ქულით - ბოლო.

მეორე ბუნდესლიგაში კვლავ **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი" (48 ქულა) ლიდერობს ერთპიროვნულად, თუმცა გუნდს ჯერ არ უთამაშია. **ლევან ცქიტიშვილი** ტრავმირებულია, მისი „ვეენი" „ფრანკფურტთან" 1:2 მარცხის შემდეგ 17 ქულით ბოლო ადგილზეა. ძალიან გაუჭირდებათ ვისბადენელებს ლიგაში დარჩენა, რადგან „სამშვიდობომდე" 10 ქულა აშორებთ.

ამასობაში გამოჯანმრთელებულა **მათე ღვინიანიძე**, ქართველი მცველი „მიუნხენის" სათადარიგოთა სკამზე ვიხილეთ. „მიუნხენი" „ფიურტს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. მათეს გუნდი 33 ქულით მე-10 ადგილზეა.

### იმედაშვილის სადებიუტო

როგორც იქნა, გაიმარჯვა გრაცის „შტურმმა". ქართველთა გუნდმა შინ აუტსაიდერი „მატერსბურგი" დაამარცხა - 1:0. „შტურმი" 46 ქულით მეოთხე ადგილზეა. **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშა. აი, ნაკრების მცველ **გიორგი შაშიაშვილს** კი სასტარტოში ადგილისთვის ბრძოლა ელის, იგი 85-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

უნგრულ შოპრონილიგის მე-20 ტურში დიორიში „ეტო" „კაპოშვარს" დაუზავდა - 1:1. **დავით ოდიკაძემ** მასპინძელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **რატი ალექსიძე** შესვენებაზე შეცვალეს. ნიდერიჰაზის „სპარტაკუსი" შინ „კეჩკემეტს" დაუზავდა - 3:3. მასპინძელთა ქართველი ლეგიონერის **დავით იმედაშვილის** ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. იმედაშვილმა უნგრულ კარიერაში პირველი გოლი მე-7 წუთზე გაიტანა. „სპარტაკუსი" 25 ქულით მე-10 ადგილზეა, შემდეგ „დიორი ეტო" მოდის 23 ქულით.

დანიურ სასლიგაში სტუმრად „ესბიერგთან" 0:1 დამარცხდა **დავით დევდარიანის** „ორჰუსი". „ორჰუსი" 25 ქულით მე-7 ადგილზეა. დავითმა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, მაგრამ შესვენებისას ის შეცვალეს. პირველ ტაიმში დევდარიანი თავურით ერთხელ დაემუქრა მეტოქის კარს, ერთხელ კი მას ტრავმის გამო სამედიცინო დახმარების მიღება დასჭირდა. ცვლილების მიზეზი, შესაძლოა, ესეც იყო.

დიდი შესვენების შემდეგ განახლდა დანიის პირველი დივიზიონის გათამაშებაც. „ვიბორგი" **გიორგი ფოფხაძის** გარეშე ენვია „სილკებორგს" და 0:0 დაუზავდა.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში სტუმრად „ბუდეიოვიცეს" 1:1 დაუზავდა პლზენის „ვიქტორია". **დიმიტრი ტატანაშვილის** გუნდი 24 ქულით მე-11 ადგილზეა. ამ მატჩში ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა.

კვიპროსის ჩემპიონატში ახალი ეტაპი დაიწყო, გუნდები სამ ზონად დაიყო - საჩემპიონო დავაში ოთხი გუნდი ჩაება, მათ შორის **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისიც", თუმცა ეს გუნდი შინ 0:2 დამარცხდა „ომონიასთან". **კლიმენტი წიტაიშვილს** არ უთამაშია. „ინტერტოტოს" ზონაშიც (მოგეხსენებათ, ეს ტურნირი აღარ ტარდება, თუმცა კვიპროსელები მეორე ეშელონს ასე უწოდებენ) ოთხი გუნდია. „ეთნიკოსი" შინ აპოპ-ს დაუზავდა - 2:2. მატჩის 41-ე წუთზე **ლევან ქებაძემ** მორიგი გოლი გაიტანა კვიპროსის ჩემპიონატში. **ლევან მაღრაძის** „აპოლონი" „დოხას" ესტუმრა და 1:1 ეთამაშა. მაღრაძე არ გამოჩენილა

### ქართველი ქართველის წილ

ნალჩიკში „სპარტაკისა" და „რუბინის" მატჩში, რომელიც უგოლო ფრით დასრულდა, ოთხმა ქართველმა ითამაშა, ორ-ორმა მასპინძელთა და სტუმართა რიგებში. სპარტაკელმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა. შესვენების შემდეგ მოედანზე რუბინელი **ლაშა სალუქვაძე დავით კვირკველიას** ნაცვლად შევიდა, ხოლო მე-80 წუთიდან მასპინძელი **გოგიტა გოგუაც** ვიხილეთ. championat.ru-მ ამათში ამისულაშვილი გამოარჩია - 6 ქულა, სალუქვაძემ 5,5 ბალი მიიღო, კვირკველიამ - 5, გოგუა შეუფასებელი დარჩა. კვირკველიამ ყველაზე მეტი კრიტიკა დაიმსახურა, აღნიშნეს, რომ მისი ფლანგი სპარტაკელმა **ლეანდრო და სილვამ** აიკლო. **ნუკრი რევიშვილს** („რუბინი") დუბლების მატჩშიც არ უთამაშია.

რუსეთის პრემიერლიგის მეორე ტურში ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი მატჩი დასრულდა - 0:0. „მოსკვამ" „ტერეკს" უმასპინძლა, „ტერეკის" რიგებში **ლევან გვაზავას** დებიუტი შედგა. ლევანმა სრულად ითამაშა და championat.ru-სგან 6-იანი დაიმსახურა. მეორე ტაიმში ლევანი მეტოქის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს. 88-ე წუთზე კი მას გამარჯვების გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ბურთი ხეირიანად ვერ მიიღო და მომენტიც დაიკარგა. **გია გრიგალავამ** წინა დღით ითამაშა „მოსკვას" დუბლებში. **დავით მუჯირის** „ლოკომოტივი" სტუმრად „როსტოვთან" 1:1 დაზავდა. პირველ ტურში დავითმა ადგილი **დმიტრი ტორბინსკის** დაუთმო, ახლა კი როლები გაიცვალა - ქართველმა 82-ე წუთზე შეცვალა ტორბინსკი. 89-ე წუთზე მუჯირის შორეული დარტყმა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. მსაჯის მიერ დამატებულ დროში მოსკოველებმა ქულის გადარჩენა შეძლეს. მუჯირმა ამის მერე (მსაჯის მიერ დამატებულ მე-6 წუთზე) მეტოქის საჯარიმოში უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.


ლევან გვაზავა (უკანა პლანზე)

### ბურდული ისევ დუბლებში

ვიშალიგას 21-ე ტურში სიმფეროპოლის „ტავრიამ" შინ 4:1 გაანადგურა დონეცკის „მეტალურგი". სამწუხაროდ, ქართველებმა ამ გამარჯვებას ვერაფერი შემატეს, ლადო ბურდული განაცხადში არ ყოფილა, ხოლო **ვასილ გიგიაძე** 83-ე წუთზე გამოჩნდა, როდესაც ანგარიში უკვე 4:1 იყო. ბურდულმა წინა დღით დუბლების მატჩის (0:1) პირველი ტაიმი ითამაშა. „ტავრიას" უკვე 20 ქულა აქვს და სახიფათო ზონას 7 ქულით დაშორდა.

ლუგანსკში „ზარიამ" 2:1 მოუგო „ჩერნომორეცს". მასპინძელთა რიგებში **გიორგი ციმაკურიძემ** 50-ე წუთიდან ითამაშა. გიორგი მთელი კვირის განმავლობაში გაციებული იყო, სასტარტოში ამიტომ არ ითამაშა - განმარტა მიზეზი „ზარიას" თავკაცმა **ანატოლი ვოლობუევმა**. „ზარია" 24 ქულით მე-9 ადგილზეა.

„დნიპრომ" „კარპატის" 1:0 აჯობა, **ბექა გოცირიძე** ნაკრებში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობით მოდის - ამ შეხვედრაში ჩვენებური 84-ე წუთზე ვიხილეთ **ალექსეი ბელიკის** ნაცვლად. **ჯაბა კანკავამ** ფეხი მოიტეხა და მისთვის სეზონი დასრულებულია. სტუმართა რიგებში ჯერ კიდევ 27-ე წუთზე გამოცვალეს **სანდრო გურული**. წინა დღით დუბლების მატჩში (0:2) **სანდრო კობახიძემ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ბექა ბეროშვილი** სათადარიგო იყო. „დნიპრო" 29 ქულით მე-7 ადგილზეა. კიევური დერბი, „დინამო"-„არსენალი", დღეს შედგება. „დინამოში" **მალხაზ ასათიანი** ირიცხება, ხოლო „არსენალში" - **ლაშა ჯაკობია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იტალია. სერია A. XXIX ტური

# მაშ, მივულოცოთ კატანიას...

ახლა უკვე დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ სკუდეტოსთვის „ინტერი" და „იუვენტუსი" იბრძოლებენ. მიუხედავად პოტენციალისა თუ მთელი რიგი სხვა ფაქტორებისა, ვფიქრობთ, „მილანი" განზე რჩება. ისე ჩანს, ეს გუნდი უკვე მიუახლოვდა იმ ზღვარს, როცა მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად თავიდან უნდა შეიქმნას - „როსონერიში" კარლო ანჩელოტის ეპოქა სრულდება და ამას უთუოდ მოჰყვება სხვა სერიოზული ძვრებიც. მანამდე კი „მილანს" არ უნდა გაუჭირდეს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება...

ეს კი, მაგრამ ზემოთ რა იქნება, ღმერთმა იცის. „ინტერი" თუ „იუვე"? ცხადია, ჟოზე მოურინიოს გუნდს უკეთესი შანსი აქვს, მაგრამ ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამ გუნდების უშუალო ტურინულ ბრძოლაზე და იმაზეც, თუ როგორ მივლენ ისინი ამ ბრძოლამდე...

შაბათს კი „ქალბატონმა" ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო - და მოიგო რომში (სადაც 2004 წლის მერე არ წაუგია), პრინციპულ მეტოქესთან და მოიგო საოცრად იოლად, შეიძლება ითქვას, ცალი ფეხით. გასაგებია, რატომაც მოხდა ასე - ლუჩანოს სპალეტის 6 წამყვანი ფიგურა აკლდა, ხოლო ვუჩინიჩი ტრავმით თამაშობდა. თავის მხრივ, არც კლაუდიო რანიერი ყოფილა უდანაკარგოდ, თუმცა ვიზავისთან შედარებით მას უკეთესი არჩევანი ჰქონოდა კამორანეზის, ლეგროტალიეს, სისოკოსა და ამაურის შესაცვლელად...

იყო მხოლოდ 20-წუთიანი მონაკვეთი, როცა „რომას" უნდა ჰქონდა იმედი, რომ მინიმუმ ფრემდე მაინც მიიყვანდა თამაშს, მაგრამ როგორც კი იაკვინტამ რიკოშეტირებულ ბურთს თავური დაჰკრა და ანგარიში 2:1 გახადა, ნათელი შეიქნა, რომ სპალეტის ხელთ არსებული რესურსი თამაშის ხელახლა შემოსატრიალებლად საკმარისი ველარ იქნებოდა. რაკი იაკვინტა ვახსენეთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ მის პირველ გოლზეც, რომელიც უფრო ოსტატური იყო - ფორვარდმა საჯარიმოს კუთხესთან მიიღო პოულსენის გადაცემა, მოხდენილად გათავისუფლდა მეურვისგან და შორეულ, დაბალ კუთხეში ზუსტად დასცხო...

68-ე წუთზე კი რომაელთა ისედაც მცირე შანსი მელბერგის ბრწყინვალე თავურის (რაც დელ პიეროს კუთხურს მოჰყვა) შედეგად მიიცვალა. ხოლო საბოლოო ანგარიში დააფიქსირა ნედვედმა, რომელიც სულ რაღაც ოთხი წუთის შესული იყო მოედანზე - მცველისგან უხერხულად მოგერიებულ ბურთს მან 20 მეტრიდან ცაცია ამოსცხო და დონის დაბალ კუთხეში გაუტანა.

ნამატჩევს სპალეტიმ აღიარა, რომ მარცხი დამსახურებული იყო და იქვე ფანებს ბოდიშიც მოუხადა, თუმც მძიმე საკადრო პრობლემების გამოც დაიჩივლა და ამაშიც მართალი გახლდათ. რანიერის აზრით კი, „იუვენტუსმა" გამარჯვებულის მენტალიტეტი დაიბრუნა. ის დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი რბოლის გადამწყვეტი ეტაპისთვის მზადაა - როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

შაბათი არ იყო რომაელთა დღე. წააგო „ლაციომაც", თან ზედიზედ მეორედ და ესეც „მშრალი" ანგარიშით. არადა, ეს მოჰყვა მიჯრით მოპოვებულ სამ გამარჯვებას, რამაც დელიო როსის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი გაუჩინა, მაგრამ ახლა ისევ გაიუარესა მდგომარეობა. „კატანიამ" კი მეკარე ბიძარის ვაჟკაცობის ხარჯზე გაიხარა. არგენტინელმა კიპერმა პანდევის პენალტიც აილო და კიდევ რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდი. ხოლო შეხვედრის ერთადერთი გოლი გავიდა 24-ე წუთზე , როცა პაბლო ლედესმას (არ აგერიოთ, მოედანზე მეორე ლედესმაც იყო - ლაციოელი კრისტიანი) დარტყმული მეკარე მუსლერამ ბრიყვულად გაატარა და შორეულ ძელთან ბურთს პაოლუჩი დახვდა - 1:0. ამრიგად, სიცილიელებმა 37 ქულას მოუყარეს თავი და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ ძენგამ იქვე საზეიმოდ აღნიშნა - სეზონის უმთავრესი ამოცანა წარმატებით გადავჭერით, სერია A-ში ადგილი შევინარჩუნეთო. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ საქმეს 41-42 ქულაც ჰყოფნის და ეტყობა, ძენგა ფიქრობს, რომ დარჩენილ 9 მატჩში 4-5 ქულის მოგროვება სრულიად რეალურია. ალბათ, ასეა. მაშ, მივულოცოთ „კატანიას"...

„ინტერმა" ცალი ფეხით სერია B-ში მყოფ „რეჯინასთან" დაგეგმილი 3 ქულა აილო და თანაც, ეს პირველ 10 წუთში გაინაღდა, როცა კამბიასომ და იბრაჰიმოვიჩმა (პენალტით) „ნერაძური" ორი ბურთით დააწინაურეს. მეორე ნახევრის დასაწყისში ზლატანმა ეფექტურად შეაგდო და ინტრიგა, თუკი ამ თამაშში ასეთი რამ შეიძლებოდა ყოფილიყო, საბოლოოდ მოკლა. ჟოზე მოურინიოს სამწყსო მდევარ „იუვენტუსს" კვლავ 7 ქულით უსწრებს. ინტრიგა ვახსენეთ და, საამისოდ ის თუ გამოდგებოდა, იბრა ამ ტურშივე გაუსწრებდა დი ვაიოს თუ კიდევ ერთ კვირას მოიცდიდა. თუმცა ბოლონიელი ვეტერანის ჩამოწერას სულაც არ ვაპირებთ...

ამ თამაშზე მეტად, „ინტერის" გარშემო საინტერესოა ერთი ინფორმაცია, რომელმაც შაბათს მთელი იტალია აალაპარაკა - მომავალი სეზონიდან რობერტო მანჩინი ბრუნდებაო. ეს უფრო სპეკულაცია გვგონია, რადგან „მანჩო" „ინტერიდან" ისე გაუშვეს, დიდად საეჭვოა, მასიმო მორატის პრეზიდენტობისას ამ გუნდისკენ გახედვა მოუნდეს. მაგრამ ნახეთ, რა თქვა კომენტარში - მორატი არ დამიძახებსო (მე არ წავალო, არ უთქვამს). მორატიმ კი ჟოზესთან ვითომ ყველაფერი გაარკვია - არანაირი პრობლემა არ გვაქვს, პორტუგალიელი რჩება და ორ წელიწადში ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც ვგეგმავთო. ახალი სეზონისთვის კი ლაპარაკია 3-4 ახალი ფეხბურთელის ყიდვაზეც...

ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად შემართულმა „ჯენოამ" არც ისე იოლად გატეხა უეფას თასზე ბრძოლით გათანგული „უდინეზე". სტუმართა სპორტული დირექტორი პიეტრო ლეონარდი მსაჯობით უფრო იყო აღშფოთებული, ვიდრე მარცხით - სალვატორე აიროლდიმ პენალტიც არ მოგვცა და სანჩესიც უსამართლოდ გაგვიძევაო. იქვე, ლეონარდიმ მსაჯთა ზედამხედველ პიერლუიჯი კოლინასაც მიმართა - აიროლდიმ „ნაპოლისთან" მატჩშიც დაგვჩაგრა და მომდევნო თამაშებში მაგ კაცს ნულარ დაგვინიშნავთო.

ტოსკანურ დერბიში „ფიორენტინამ" ძლივს მოუგო „სიენას" და ორმატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა. „ბოლონიამ" შინ „კალიარისთან" წააგო. სინიშა მიხაილოვიჩის გუნდისთვის ეს ზედიზედ მეორე მარცხია და ცხადია, სერბს მაგრადაც მოხვდება - ემილიელები გავარდნის რეალურ კანდიდატებად რჩებიან.

უფრო მძიმეა ვალტერ ნოველინოს ყოფა. მისმა „ტორინომ" შინ წააგო „სამპდორიასთან", ვისაც სტუმრად დეკემბრის მერე არ მოეგო. არ არის გამორიცხული, ნოველინოს დღესვე კარისკენ მიუთითონ. „კიევომ" მინიმალური ანგარიშით აჯობა მთელი საათის განმავლობაში 10 კაცით მოთამაშე „პალერმოს" და საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ვირები" ლიგაში დარჩებიან, არადა, დეკემბერში ეს გუნდი ყველას გამოტირებული ჰყავდა. ჯერჯერობით, მოუგებელია „ლეჩეს" ახალი მწვრთნელი ლუიჯი დე კანიო. გუშინ მას საშინაო დებიუტი ჰქონდა. პულიელები „ატალანტასთან" მარცხს ბოლო წამებზე, კაზერტას (დუბლი) პენალტის წყალობით გადაურჩნენ.

ტური რობერტო დონადონის საშინაო დებიუტით დასრულდა. „მილანის" ყოფილმა ლეგენდამ ყოფილ კლუბს „პატივი სცა" - ერთი ქულით (0:0) გაუშვა, თუმც მოგებაც შეეძლო - ერთი გოლი საეჭვოდ არ ჩაუთვალეს, რამდენიმე ეპიზოდში კი ფორვარდებმა ვერ ივარგეს, მაგალითად, სალაიეტამ, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ტლანქად გაისარჯა და მომენტი ხელიდან გაუშვა.

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

**5 აპრილი. პალერმო-ტორინო, სამპდორია-ნაპოლი, მილანი-ლეჩე, სიენა-ლაციო, ატალანტა-ფიორენტინა, უდინეზე-ინტერი, რეჯინა-ჯენოა, კალიარი-კატანია, იუვენტუსი-კიევო, რომა-ბოლონია.**




### კატანია-ლაციო 1:0

**კატანია:** ბიძარი-7.5, პოტენცა-6, სილვესტრე-5.5, სტოვინი-6.5, კაპუანო-7, პ. ლედესმა-7 (89. სილვესტრი), ბიაჯანტი-6, ჟაკ. ტედესკო-6.5, მარტინესი-5.5, პაოლუჩი-6.5 (73. იცკო), მასკარა-6.5 (87. ლამა).

**ლაციო:** მუსლერა-6, ლიხტშტაინერი-6.5, სივილია-6, კრიბარი-5, რადუ-5.5, ფოჯა-5.5, კ. ლედესმა-4.5, ბროკი-5 (82. მეგნი), კ. მანფრედინი-4.5 (55. მაური-6.5), როკი-5, პანდევი-4 (66. სარატე-5.5).

**გოლი:** 1:0 პაოლუჩი (24)

*61-ე წუთზე პანდევმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10-14 (2-5); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 18 000

### რომა-იუვენტუსი 1:4

**რომა:** ა. დონი-5.5, პანუჩი-5.5, მექსე-5, ლორია-6 (62. მონტელა-5), რიისე-5, ბრიგი-5.5, ფილიპე-6, ტონეტო-5, მენეზი-4.5 (82. დ'ალესანდრო), ბაპტიშტა-4, ვუჩინიჩი-5.5 (90. სტოიანი).

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, გრიგერა-5, მელბერგი-7, კიელინი-6.5, მოლინარო-6.5, სალიჰამიჯიჩი-7, ტიაგო-5 (70. ნედვედი-6.5), პოულსენი-6, ჯოვინკო-6.5 (72. მარკიონი), იაკვინტა-7.5, დელ პიერო-6.5.

**გოლები:** 0:1 იაკვინტა (34), 1:1 ლორია (48), 1:2 იაკვინტა (54), 1:3 მელბერგი (68), 1:4 ნედვედი (74)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 17-16 (6-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 56 159

### ინტერი-რეჯინა 3:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7, მაიკონი-7, რივასი-6.5, კამბიასო-7.5, სანტონი-7.5, ხ. ძანეტი-7.5, მუნტარი-7.5, ბალოტელი-6.5, სტანკოვიჩი-7 (66. ხიმენესი/78. მაქსველი), მანსინი-6.5 (41. ობინა-6.5), იბრაჰიმოვიჩი-8.

**რეჯინა:** პუჯონი-6, ლანძარო-4, კ. ვალდესი-5.5, სანტოსი-5.5, ადეხო-7 (77. კრაიჩიკი), ბარეტო-6, კარმონა-5, ბარილა-4.5 (68. სესტუ-6), კოსტა-6, კოცა-6.5 (74. ჩერავოლო), ბრიენცა-6.5.

**გოლები:** 1:0 კამბიასო (6), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (10-პენ), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (58)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 19-16 (6-8); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 45 000

### ჯენოა-უდინეზე 2:0

**ჯენოა:** რუბინიო-6.5, ბიავა-6.5, ფერარი-7, ბოკეტი-7, მ. როსი-6.5 (52. ოლივერა-6.5), მილანეტო-6.5 (90. მოდესტო), იურიჩი-6, კრიშიტო-6, სკული-7 (67. პაპასტატოპულოსი-6), მილიტო-6, პალადინო-7.5.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი (5. კოპრივეცი-6), საპატა-5.5, დომიცი-6, ფელიპე-6.5, პასკუალე-7, ასამოა-6, გ. დ'აგოსტინო-6.5, ციმლინგი-6.5 (67. კვალიარელა-6), ისლა-6 (80. დი ნატალე), ფლორო ფლორესი-6.5, სანჩესი-5.

**გოლები:** 1:0 სკული (59), 2:0 მილიტო (90)

**გაძევება:** სანჩესი (72. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 26-24; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 13-12 (5-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 24 871

### ფიორენტინა-სიენა 1:0

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-6.5, კომოტო-5.5, კროლდრუპი-6, გამბერინი-6, ვარგასი-6.5, იორგენსენი-6.5 (55. იოვეტიჩი-6), კუძმანოვიჩი-5.5, მონტოლივო-5 (60. გობი-6.5), ფელიპე მელუ-6, ჯილარდინო-5.5 (70. ბონაცოლი-6), მუტუ-7.

**სიენა:** კურჩი-6, სუნიგა-6.5, პორტანოვა-6, ბრანდაუ-6, დელ გროსო-5.5, კოდრეა-5.5, ვერგასოლა-6, გალოპა-6.5, ხარჯა-6 (75. კალაიო), გეზალი-6.5 (83. ფრიკი), მაკარონე-5.5.

**გოლი:** 1:0 მუტუ (72)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 8-10 (2-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 29 238

### კიევო-პალერმო 1:0

**კიევო:** სორენტინო-6, ნ. ფრეი-6, მორერო-6, იეპესი-6.5, მანტოვანი-6, ლუსიანო-6.5 (73. კოლუჩი-6), რიგონი-6, მარკოლინი-6.5, პინცი-6, პელისიერი-7, ბოგდანი-6 (84. ლანჯელა).

**პალერმო:** ამელია-6.5, კასანი-4.5, კაროციერი-5, ბოვო-5, ბალცარეტი-6, მილიაჩო-5.5 (46. კიაერი-6), ლივერანი-6, ნოჩერინო-5.5 (78. ერნანდესი), სიმპლისიუ-6, სუჩი-5 (46. მჭედლიძე-5.5), კავანი-5.5.

**გოლი:** 1:0 ლუსიანო (45)

**გაძევება:** კასანი (36. პალერმო)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 29-23; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 11 378

### ბოლონია-კალიარი 0:1

**ბოლონია:** ანტონიოლი-6, ბელერი-5.5, კასტელინი-5.5, მორასი-6, ლანა-6, მუტარელი-5.5 (71. ამოროზო), მინგაცინი-6, ვოლპი-5, ვალიანი-5 (58. ადაილტონი-5), ოსვალდო-5 (66. მარაცინა-6), დი ვაიო-5.5.

**კალიარი:** მარკეტი-6.5, მატიო-6, ლოპესი-6 (28. ასტორი-6.5), კანინი-6.5, აგოსტინი-6, ფინი-6.5, კონტი-6, ბიონდინი-6.5 (62. მატრი-6), ლაძარი-6.5, ჟედა-5.5, აკვაფრესკა-7 (70. პაროლა).

**გოლი:** 0:1 აკვაფრესკა (44)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 20-35; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 7-12 (3-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 000

### ლეჩე-ატალანტა 2:2

**ლეჩე:** როზატი-6, პ. ესპოზიტო-5, ფაბიანო-6, სკიავი-5.5 (46. არდიტო-5.5), ანჯელო-6, ედინიო-5.5 (56. პაპადოპულოსი-6), ჯაკომაცი-5.5, არიატი-5, კაზერტა-8, კასტილიო-5.5, პაპა ვაიგო-5 (82. ძანკეტა-5).

**ატალანტა:** კონსილი-7, კაპელი-6, პელეგრინო-5.5, თ. მანფრედინი-6, ბელინი-6 (64. პელუზო-5.5), დეფენდი-6 (68. ჩერჩი-5), ჩიგარინი-6.5, გუარენტე-6, პადოინი-8, ხ. ვალდესი-6 (60. დე აშენტისი-5), ფლოკარი-6.

**გოლები:** 1:0 კაზერტა (10), 1:1 პადოინი (30), 1:2 პადოინი (48), 2:2 კაზერტა (90-პენ)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 17-14 (7-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 7 534

### ტორინო-სამპდორია 1:3

**ტორინო:** სერენი-6, რივალტა-6, ნატალი-5.5, მ. პიზანო-5, რუბინი-5.5, დიანა-6 (70. სტელონე), კორინი-6, ჯემაილი-6, პ. ძანეტი-5.5 (54. ბარონე-5.5), გასბარონი-5, ბიანკი-6.

**სამპდორია:** კასტელაცი-6, კამპანიარო-6 (83. რაჯი), ლუკინი-6.5, აკარდი-6 (90. გასტალდელო), პადალინო-6.5 (60. დესენა-6), სამარკო-6.5, პალომბო-6, დ. ფრანჩესკინი-6, პიერი-6, კასანო-7.5, პაცინი-6.5.

**გოლები:** 0:1 პაცინი (8), 0:2 სამარკო (24), 1:2 ბიანკი (29), 1:3 კასანო (69)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12-9 (3-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 19 000

### ნაპოლი-მილანი 0:0

**ნაპოლი:** ნავარო-6, სანტაკროჩე-6.5, კანავარო-6.5, კონტინი-6.5, გრავა-6, პაციენცა-6, ბლაზი-6.5, ჰამშიკი-6, მანინი-7, სალაიეტა-6 (90. ბოლიაჩინო), ლავეცი-6.

**მილანი:** დიდა-6, ძამბროტა-6, [illegible]-6 (72. სენდეროსი-5.5), მალდინი-6, იანკულოვსკი-5.5, ბეკჰემი-5.5, პირლო-6, ამბროზინი-6, ზეედორფი-5 (57. კაკა-5.5), პატო-6, ფ. ინძაგი-5 (73. რონალდინიო-5.5).

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 13-7 (4-4); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 29 | 21 | 6 | 2 | 54-21 | 69 |
| 2. იუვენტუსი | 29 | 19 | 5 | 5 | 51-23 | 62 |
| 3. მილანი | 29 | 16 | 7 | 5 | 51-28 | 55 |
| 4. ჯენოა | 29 | 14 | 9 | 6 | 39-27 | 51 |
| 5. ფიორენტინა | 29 | 15 | 4 | 10 | 39-29 | 49 |
| 6. რომა | 29 | 13 | 7 | 9 | 44-41 | 46 |
| 7. კალიარი | 29 | 12 | 6 | 11 | 34-29 | 42 |
| 8. პალერმო | 29 | 13 | 3 | 13 | 39-38 | 42 |
| 9. ლაციო | 29 | 12 | 5 | 12 | 39-41 | 41 |
| 10. ატალანტა | 29 | 12 | 4 | 13 | 35-33 | 40 |
| 11. ნაპოლი | 29 | 10 | 7 | 12 | 33-33 | 37 |
| 12. კატანია | 29 | 10 | 7 | 12 | 30-34 | 37 |
| 13. უდინეზე | 29 | 9 | 9 | 11 | 38-41 | 36 |
| 14. სამპდორია | 29 | 9 | 9 | 11 | 31-36 | 36 |
| 15. სიენა | 29 | 8 | 7 | 14 | 23-32 | 31 |
| 16. კიევო | 29 | 7 | 9 | 13 | 25-36 | 30 |
| 17. ბოლონია | 29 | 6 | 8 | 15 | 31-47 | 26 |
| 18. ტორინო | 29 | 5 | 9 | 15 | 26-45 | 24 |
| 19. ლეჩე | 29 | 4 | 12 | 13 | 26-48 | 24 |
| 20. რეჯინა | 29 | 3 | 11 | 14 | 22-48 | 20 |

**ბომბარდირები:** 19 - დი ვაიო (ბოლონია), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 16 - მილიტო (ჯენოა); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 14 - პატო (მილანი); 13 - მუტუ (ფიორენტინა); 12 - ამაური (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), ფლოკარი (ატალანტა); 11 - კაკა (მილანი).

## სერია B

### XXXII ტური

**ასკოლი-ალბინოლეფე 2:2**

გოლები: 0:1 ლანერი (24), 1:1 კანი (25), 1:2 ჩელინი (48), 2:2 კანი (78)

**ლივორნო-ანკონა 2:3**

გოლები: 1:0 ლოვიზო (11), 2:0 ჩელერინო (16), 2:1 მასტრონუნციო (61), 2:2 მასტრონუნციო (62), 2:3 სოდიმო (75)

**ბარი-ჩიტადელა 2:0**

გოლები: 1:0 ბარეტო (52), 2:0 კუტუზოვი (70)
გაძევება: პეზოლი (57. ჩიტადელა)

**პიაჩენცა-ფროზინონე 3:0**

გოლები: 1:0 ფერარო (31), 2:0 ვოლპატო (58), 3:0 ავოგადრი (64)

**ტრიესტინა-პარმა 0:3**

გოლები: 0:1 ბუდელი (2), 0:2 ვანტაჯატო (69), 0:3 მარიგა (90)

**აველინო-პიზა 2:0**

გოლები: 1:0 ჩოტოლა (7), 2:0 ჩოტოლა (61)
გაძევება: ალვარესი (78. პიზა)

**მანტოვა-რიმინი 1:0**

გოლი: 1:0 ფრანკინი (88)

**ემპოლი-სასუოლო 3:2**

გოლები: 0:1 მაზუჩი (27), 1:1 ბუშე (33), 1:2 პენსალფინი (45), 2:2 პოცი (77), 3:2 პოცი (80)

**მოდენა-ვიჩენცა 3:1**

გოლები: 1:0 ბრუნო (12), 2:0 ბრუნო (30), 3:0 ბრუნო (73), 3:1 ბელანოვიჩი (90)

**ტრევიზო-გროსეტო დღეს**

**სალერნიტანა-ბრეშა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარი | 32 | 16 | 12 | 4 | 42-25 | 60 |
| 2. პარმა | 32 | 15 | 13 | 4 | 45-24 | 58 |
| 3. ლივორნო | 32 | 13 | 17 | 2 | 46-27 | 53 |
| 4. სასუოლო | 32 | 13 | 11 | 8 | 44-33 | 50 |
| 5. ბრეშა | 31 | 14 | 8 | 9 | 38-27 | 50 |
| 6. ტრიესტინა | 32 | 13 | 9 | 10 | 42-35 | 48 |
| 7. ალბინოლეფე | 32 | 12 | 12 | 8 | 36-31 | 48 |
| 8. ემპოლი | 32 | 13 | 8 | 11 | 36-37 | 47 |
| 9. გროსეტო | 31 | 13 | 6 | 12 | 48-53 | 45 |
| 10. პიაჩენცა | 32 | 12 | 7 | 13 | 34-35 | 43 |
| 11. პიზა | 32 | 11 | 9 | 12 | 39-43 | 42 |
| 12. ანკონა | 32 | 12 | 5 | 15 | 43-46 | 41 |
| 13. ასკოლი (-2) | 32 | 11 | 9 | 12 | 29-33 | 40 |
| 14. რიმინი | 32 | 10 | 10 | 12 | 34-39 | 40 |
| 15. ვიჩენცა | 32 | 9 | 12 | 11 | 34-29 | 39 |
| 16. ფროზინონე | 32 | 9 | 10 | 13 | 36-44 | 37 |
| 17. მანტოვა | 32 | 9 | 10 | 13 | 29-37 | 37 |
| 18. ჩიტადელა | 32 | 7 | 14 | 11 | 30-34 | 35 |
| 19. სალერნიტანა | 31 | 9 | 6 | 16 | 30-43 | 33 |
| 20. მოდენა | 32 | 7 | 11 | 14 | 42-50 | 32 |
| 21. აველინო (-2) | 32 | 6 | 12 | 14 | 28-47 | 28 |
| 22. ტრევიზო (-1) | 31 | 5 | 13 | 13 | 29-42 | 27 |

**ბომბარდირები:** 16 - ტავანო (ლივორნო), ვანტაჯატო (პარმა); 15 - ბარეტო (ბარი), მასტრონუნციო (ანკონა); 14 - ბრუნო (მოდენა); 12 - მეჯორინი (ჩიტადელა), სანსოვინი (გროსეტო); 11 - ბელანოვიჩი (ვიჩენცა), კარაჩოლო (ბრეშა), ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა).

## ლეგა პრო 1/A

### XXVI ტური

ლეკო-ვერონა 0:1, ლენიანო-კრემონეზე 3:1, პრო პატრია-ლუმეცანე 2:0, პერგოკრემა-პორტოგრუარო 1:1, რეჯანა-მონცა 1:1, სამბენედეტეზე-რავენა 0:1, სპალ-პრო სესტო 1:0, ვენეცია-ნოვარა 3:1, ჩეზენა-პადოვა დღეს.

## ლეგა პრო 1/B

### XXVI ტური

ბენევენტო-პისტოიეზე 2:0, კავეზე-სორენტო 0:1, ფოჯა-რეალ მარჩანიზე 2:1, ფოლინიო-არეცო 3:1, გალიპოლი-პესკარა 4:1, ვირტუს ლანჩანო-პაგანეზე 0:0, პოტენცა-იუვე სტაბია 1:0, ტარანტო-პერუჯა 2:0, ტერნანა-კროტონე 0:0.

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლიგა BBVA. XVIII ტური




# წყალში ჩაყრილი შრომა

„ვალიადოლიდს" სასიკვდილო განაჩენი **ფრედერიკ კანუტესა** და **ლუიშ ფაბიანოს** ტანდემმა გამოუტანა. განსაკუთრებულ აღნიშვნას, რა თქმა უნდა, აფრიკელი ფორვარდის ღვაწლი საჭიროებს. უნდა ითქვას, რომ ბოლო ოთხ შეხვედრაში კანუტემ შვიდი გოლი გაიტანა. ეს კი მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. ობიექტურად რომ ვისაუბროთ, „ვალიადოლიდი" საკმაოდ გამართული ტაქტიკით ხელმძღვანელობდა, მაგრამ **ხოსე ლუის მენდილიბარის** შეგირდებმა შეცდომები მაინც დაუშვეს და მწარედ დაისაჯნენ. ისინი პირველ ტაიმში კარგად გამოიყურებოდნენ, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა „სევილიას" მაღალმა კლასმა თქვა. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ანდალუსიელთა გამარჯვებაში კანუტემ ლომის წილი შეიტანა. მასპინძლები წინდახედულად თამაშობდნენ. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მოწინაალმდეგეს მათ შესახებ სრული ინფორმაცია ჰქონდა და „სანჩეს პისხუანზე" მეტნაკლებად კარგად მომზადებული ჩავიდა. ამის გათვალისწინებით, **მანოლო ხიმენესის** ბიჭები შეტევაში უკანმოუხედავად სულაც არ წასულან. ისინი ეგრეთ წოდებული პოზიციური ფეხბურთის თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ამ ჩანაფიქრმა არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო. მეშვიდე წუთზე კანუტემ მცველებისა და მეკარის შეცდომით ისარგებლა. აფრიკელმა ფორვარდმა **ხუსტო ვილიარს** შორეულ დაუცველ კუთხეში გაუტანა. დაახლოებით 15 წუთში სტუმრებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს. **კანობიომ პალოპის** ბაქანთან ჩაკიდა, იქ **გოიტიმმა** ყველას დაასწრო და თავურით წონასწორობა აღადგინა. ტაიმის მიწურულს კანუტემ **ნავასის** კარგი პასი მიიღო და მაკრატელით „სევილია" კიდევ ერთხელ დააწინაურა. შესვენების შემდეგ ყურადღების ეპიცენტრში ლუიშ ფაბიანო მოექცა. ბრაზილიელი ფორვარდი მისმა თანამემამულემ, **ადრიანომ** ოსტატური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ვილიარმა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გოლის გატანაში მას ხელი ვერ შეუშალა. ბოლო გოლი ისევ და ისევ კანუტეს ანგარიშზე ჩაიწერა. ფრედერიკმა მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავური დარტყმით „ვალიადოლიდის" კარში მიუჩინა ადგილი.

„ელ მადრიგალზე" გამართული შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბილბაოს" მთავარმა მწვრთნელმა **ხოაკინ კაპაროსმა** სრულიად სამართლიანად აღნიშნა, პირველ გოლამდე თანაბარი თამაში იყო და ვერავინ იტყოდა, რომ შინ ნული ქულით დავბრუნდებოდითო. ბასკებმა მასპინძლებს არაფერი დაუთმეს, მაგრამ „ვილიარეალს", ალბათ, უფრო მეტად გაუმართლა და წინა ტურში „ატლეტიკოსთან" განცდილი მარცხის შემდეგ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. **მანუელ პელეგრინის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ბუნებრივია, თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქვე გოლებზეც გეტყვით. **კასორლას** ანგარიშის გახსნაში **როსი** დაეხმარა. იტალიელმა ფორვარდმა მშვენიერი დრიბლინგის შემდეგ თანაგუნდელი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მეორე გოლს რაც შეეხება, ის **მატიას ფერნანდესის** ანგარიშზე ჩაიწერა. ჩილელმა ლეგიონერმა საჯარიმო მოედანში მცველი გააბითურა და მეკარეს აულებელი დაურტყა.

„რეალმა" „ბარსელონას" გამარჯვებამდე ორი საათით ადრე „ალმერიას" დიდი ანგარიშით მოუგო. მოგეხსენებათ, მადრიდელები ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, უკან დასახევი გზა არ გააჩნიათ და ნებისმიერი თამაში უნდა მოიგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსს დაკარგავს. **ხუანდე რამოსის** ბიჭებმა დასახული ამოცანა წარმატებით გადაჭრეს, თუმცა მოგვიანებით „ბარსამ" კამპ ნოუზე" ისეთი ცეცხლი დაანთო, დედაქალაქელებს განწყობა ნამდვილად გაუფუჭდებოდათ. სენიორ რამოსი პირდაპირ ამბობს, პრიმერას ფავორიტი „ბარსელონაა", ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ თუ კატალონიელები ქულებს არ დაკარგავენ, მთელი შრომა წყალში ჩაიყრებაო. შეუძლებელია, ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, „რეალი" თავს არ ზოგავს, მაგრამ ჯერჯერობით ჰანდიკაპის შემცირებას ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა, ისინი ვალდებული არიან, ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე დაიხარჯონ. ვინ იცის, იქნებ „ბარსამ" ყველაზე მოულოდნელ დროს დაკარგოს ქულები. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სამეფო კლუბმა „ალმერიასთან" საკმაოდ კარგად ითამაშა და გულშემატკივრებს სიამოვნება მიანიჭა. ანგარიში **მარსელომ** გახსნა. ახალგაზრდა ბრაზილიელმა საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან შესრულებული დარტყმით მიაღწია წარმატებას. მეორე ტაიმში **კლაას იან ჰუნტელაარის** ბენეფისი შედგა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა მორიგი გოლებით დაამტკიცა, რომ მადრიდული გრანდის ხელმძღვანელობას „სანტიაგო ბერნაბეუზე" ტყუილად არ წაუყვანია. ის **რუუდ ვან ნისტელროის** დუბლიორის როლს საკმაოდ კარგად ასრულებს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ხუანდე რამოსმა ასეთი რამ განაცხადა: *„დღეს დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამის მიზეზი ის არის, რომ აუღელვებლად და პრაგმატულად ვითამაშეთ. მიმაჩნია, რომ „ალმერიას" ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. სტუმრები ცდილობდნენ, ნახევარდაცვაში პრესინგი მოეწყოთ და მათ საჯარიმოსთან მისვლა გაგვრთულებოდა. მადლობა ღმერთს, გეგმები იოლად ჩავუშალეთ და მათ ჩვენი ფეხბურთი მოვახვიეთ თავს. ძალიან კომფორტულად ვგრძნობდით თავს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სამი ქულის მოპოვება არ გაგვჭირვებია. ახლა ვილოცებ, რომ „მალაგამ" ბარსელონას ქულები დააკარგვინოს."*

სენიორ ხუანდე რამოსი რას წარმოიდგენდა, რომ „ბარსა" სეზონის ერთ ერთ საუკეთესო შეხვედრას ჩაატარებდა. კატალონიელები მართლაც შეუდარებელი იყვნენ. ამაზე ანგარიში ყველაზე ნათლად მეტყველებს. მასპინძელთა გამარჯვება ეჭვქვეშ წამითაც არ დამდგარა. **პეპ გვარდიოლას** ბიჭებმა ანდალუსიელებს ჩვეულ სტილში გრიგალისებურად გადაუქროლეს და მიწასთან გაასწორეს. „მალაგა" ასეთი დემონური ძალის გუნდთან საბრძოლველად მომზადებული არ აღმოჩნდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სტუმრებმა მსოფლიო ვარსკვლავების წინააღმდეგ აბსოლუტურად ვერაფერი გააწყვეს. მათ არაფერი გამოუვიდათ. კომბინაციების დაწვრილებით აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ გეტყვით, რომ გოლები ერთმანეთზე უკეთესი იყო. **ლეო მესიმ** ისევ ბრწყინვალე დრიბლინგითა და ლამაზი ბურთით მოგვაჯადოვა. მას **სამუელ ეტოო, ტიერი ანრი** და სხვა ვარსკვლავებიც არ ჩამორჩნენ. ექვსი უპასუხო გოლი, რა თქმა უნდა, ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. როგორც ჩანს, კატალონიელებმა მცირე კრიზისი, რომლის გამოც „რეალთან" 12-ქულიანი უპირატესობა 6 ქულამდე შეამცირეს, უკვე დაძლიეს. მნიშვნელოვანია, რომ „ბარსამ" სეზონის ამ მონაკვეთში სასურველი ფორმა შეინარჩუნოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მალე გვარდიოლას გუნდს „ბაიერნის" წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი საჩემპიონთალიგო დაპირისპირება ელის.

„ვალენსიას" გულშემატკივრები **მატას** მზეს უნდა ფიცულობდნენ. „რასინგმა" ქულების მოსაპოვებლად თავი არ დაზოგა, თუმცა სანტანდერელებს არ გაუმართლათ და საშინაო შეხვედრა წააგეს. სხვათა შორის, მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე მასპინძლებმა პენალტი ვერ გამოიყენეს. მატას გოლით მოპოვებულმა გამარჯვებამ **„უნაი ემერი** ძალიან გაახარა: *„ჩვენთვის ნებისმიერ ქულას ოქროს ფასი აქვს, ამიტომ დღევანდელი წარმატება ორმაგად სასიხარულოა. გასვლით შეხვედრაში მოგება იოლი არ არის, მაგრამ გაგვიმართლა და მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ. მგონი, „რასინგი" ძალიან გამართულად და ორგანიზებულად გვეთამაშებოდა, თუმცა ჩვენ მათ ჩანაფიქრს ჩავწვდით და გეგმები ავურიეთ. გასვლაზე გამარჯვება ძალიან სასიხარულოა. დარწმუნებული ვარ, სეზონის დასრულებამდე დარჩენილ შეხვედრებს კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩავატარებთ. გუნდის აღორძინება დღესვე უნდა დავიწყოთ. მომავალ სეზონამდე ყველაფერი დალაგებული უნდა გვქონდეს.*

მიმოხილვის დასასრულს მოგახსენებთ, რომ „ესპანიოლმა" შოკისმომგვრელი მარცხი იწვნია. „ოსასუნა" კატალონიელების უშუალო მოწინააღმდეგეა, ამიტომ ურთიერთშეხვედრას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა. **მაურისიო პოჩეტინოს** ბიჭებს იღბალმა ზურგი აქცია, რადგან ბოლო წამებზე გაუშვეს და ჰაერივით საჭირო ქულები გაანიავეს. დაუჯერებელია, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე „ესპანიოლი" სეგუნდა დივიზიონს დღითი დღე უახლოვდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

5 აპრილი. ბილბაო-მალიორკა, ატლეტიკო-ოსასუნა, ბეტისი-ნუმანსია, ესპანიოლი-დეპორტივო, სპორტინგი-რასინგი, ვალიადოლიდი-ბარსელონა, ვალენსია-ხეტაფე, ალმერია-ვილიარეალი, მალაგა-რეალი, რეკრეატივო-სევილია.

### ვილიარეალი-ბილბაო 2:0

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, ფუენტესი, გოდინი, კაპდევილია, მარკოს სენა, ეგურენი, სანტი კასორლა, იბაგასა (82. მატი ფერნანდესი), ნიჰატი (64. ხ. ლორენტე), როსი (87. ბრუნო სორიანო).

**ბილბაო:** ირაისოსი, ირაოლა, ამორებიეტა, აიტორ ოსიო, კოიკილი, ორბაისი (86. ინიგო ველესი), ხავი მარტინესი, სუსაეტა, გაბილონდო, ტოკერო (60. გარმენდია), ფ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 სანტი კასორლა (68), 2:0 მატი ფერნანდესი (90)

**გაძევება:** სუსაეტა (78. ბილბაო)

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 16(7)-15(5); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 20 000

### სევილია-ვალიადოლიდი 4:1

**სევილია:** პალოპი, ადრიანო (76. კრესპო), სკილაჩი, დრაგუტინოვიჩი, ფერნანდო ნავარო, ხესუს ნავასი, რენატო, დუშერი (56. პეროტი), რომარიკი, კანუტე, ლუიშ ფაბიანო (70. კონე).

**ვალიადოლიდი:** ვილიარი, პედრო ლოპესი, ლუის პრიეტო, ინიაკი ბეა, მარკოსი (82. ოსკარ სანჩესი), პედრო ლეონი (66. ვივარ დორადო), ბორხა (66. ვიქტორი), ალვარო რუბიო, ჯონათან სესმა, კანობიო, გოიტომი.

**გოლები:** 1:0 კანუტე (8), 1:1 გოიტომი (22), 2:1 კანუტე (43), 3:1 ლუიშ ფაბიანო (57), 4:1 კანუტე (70)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 16(7)-8(2); **კუთხური:** 9-2; **თამაშგარე:** 7-6; **ჯარიმა:** 15-19; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 37 500

### რასინგი-ვალენსია 0:1

**რასინგი:** ტონიო, ორიოლი (66. გონსალო კოლსა), გარაი, კრისტიან ფერნანდესი (80. ლუისმა), პაბლო პინილიოსი, მეპდი რასენი, ლუქსენი, ოსკარ სერანო, ვალერა (57. ბეროკალი), ტონი მორალი, ჯონათანი.

**ვალენსია:** სესარი, ალექსისი, მადურო, მორეტი, რაულ ალბიოლი, ბარახა, ედუ (46. ალბელდა), მანუელ ფერნანდეში, ვისენტე (73. მატა), მორიენტესი (61. მიჩელი), პაბლო.

**გოლი:** 0:1 მატა (78)

*90-ე წუთზე ოსკარ სერანომ (რასინგი) ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** ალექსისი (48. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 19(8)-7(2); **კუთხური:** 9-6; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 17-20; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 17 000

### რეალი-ალმერია 3:0

**რეალი:** კასილიასი, კანავარო, პეპე (80. მეტცელდერი), ჰაინცე (85. მიგელ ტორესი), სერხიო რამოსი, სნეიდერი, ლ. დიარა, მარსელო, რობენი, რაული, ჰუნტელაარი.

**ალმერია:** დიეგო ალვესი, პელერანო, აკასიეტე, მანე, ბრუნო, ირინეი (85. ნიეტო), ხუანიტო, კრუსატი, ხუან ორტისი (61. ხოსე ორტისი), პიატი, კალუ უჩე (69. კორონა).

**გოლები:** 1:0 მარსელო (23), 2:0 ჰუნტელაარი (53), 3:0 ჰუნტელაარი (66)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 15(7)-14(4); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 13-16; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 80 000

### ნუმანსია-სპორტინგი 2:1

**ნუმანსია:** კოლინასი, ბორისი, სერხიო ორტეგა, დომინგო, ხუანრა, მორენო, ნაგორე, ბარკერო, მარიო (72. ლორენსი), არანდა (78. ბრიტი), ა. ეჩებერია (66. პალასიოსი).

**სპორტინგი:** ლაფუენტე, ნერუ (46. ხერარდი), ივან სოტო, ხოსე ანხელი, რაულ კამარა, მიჩელი, მატაბუენა (72. ბილიჩი), ბარალი, კარმელო, დიეგო კასტრო, მალდონადო (66. დ. კამაჩო).

**გოლები:** 1:0 ბარკერო (44-პენ), 1:1 დავიდ ბარალი (47), 2:1 ა. ეჩებერია (55)

**გაძევება:** მორენო (59. ნუმანსია), კარმელო (86. სპორტინგი)

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 5(1)-17(7); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 10-11; **ბურთის ფლობა:** 27%-73%

**მაყურებელი:** 8 500

### დეპორტივო-ბეტისი 1:1

**დეპორტივო:** არანსუბია, კოლოტო, ლოპო, კაზმირსკი, ლაურე, ხუან როდრიგესი, სერხიო, რიკი (61. ვალერონი), ვერდუ (61. ნუიუი), გუარდადო (76. კრისტიანი), ლაფიტა.

**ბეტისი:** რიკარდო, ხუანიტო, მელი, ფერნანდო ვეგა, ნელსონი, მეჰმეთ აურელიო, არსუ, რიკარდო ოლივეირა, ემანა (87. შონსონი), მარკ გონსალესი (56. დამია), სერხიო გარსია (88. რივერა).

**გოლები:** 1:0 ვერდუ (9), 1:1 სერხიო გარსია (33)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 18(4)-16(7); **კუთხური:** 5-1; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 11-17; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 28 500

### ოსასუნა-ესპანიოლი 1:0

**ოსასუნა:** რობერტო, მიგელ ფლანიო, ხოსეტო, ნაჩო მონრეალი (88. ხავიერ ფლანიო), ასპილიკუეტა, ჯავად ნექუნამი, პუნიალი, პლასილი, ხუანფრანი (64. შოჯაიე), დადი (73. პორტილიო), პანდიანი.

**ესპანიოლი:** კამენი, პარეხა, ხარკე, დავიდ გარსია, ტორესი, რომანი, სერხიო სანჩესი, ტამუდო, დე ლა პენია (82. ივან ალონსო), ნენე, ლუის გარსია (68. კალეხონი).

**გოლი:** 1:0 ნექუნამი (90)

**გაფრთხილება:** 6-3; **დარტყმა:** 9(4)-8(4); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 25-14; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 19 700

### ხეტაფე-რეკრეატივო 2:1

**ხეტაფე:** ხაკობო, ბელენგერი, დანიელ დიასი, პოლანსკი (51. მანუ), ლიხტი, კონტრა, კასკერო (32. სელესტინი), მარტინესი, გრანერო, სოლდადო (82. რაფა ლოპესი), უჩე.

**რეკრეატივო:** რიესგო, მორისი, იაგო ბუსონი, კასადო (69. მარკო რუბენი), ნეფი, ხავი ფუეგო (69. აკალე), ანტონიო ვასკესი, ტორნავაკა, მაიდანა (66. ნაიარი), კამუნიასი, კოლუნგა.

**გოლები:** 0:1 მაიდანა (47), 1:1 სოლდადო (64)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 25(13)-9(4); **კუთხური:** 8-2; **თამაშგარე:** 2-6; **ჯარიმა:** 12-20; **ბურთის ფლობა:** 62%-39%

**მაყურებელი:** 12 000

### ბარსელონა-მალაგა 6:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, კასერესი, რაფაელ მარკესი, სილვინიო, დანიელ ალვეში, იაია ტურე (26. ...), ... (60. ...), ჩაბი (67. ...), ანრი, ეტოო, მესი.

**მალაგა:** გოიტია, ედერ როსარიო, კუადრადო, ... (62. ...), ... (62. ...), ... (75. ...), ... ფერნანდო.

**გოლები:** 1:0 ჩაბი (19), 2:0 მესი (25), 3:0 ანრი (32), 4:0 ეტოო (43), 5:0 დანიელ ალვეში (51), 6:0 ეტოო (57).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 27(14)-10(3); **კუთხური:** 10-7; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 9-15; **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 83 000

### მალიორკა-ატლეტიკო 2:0

**მალიორკა:** ავათი, ნავარო, ნუნიესი, აიოსი, სკალონი, ლუის მარტი, სანტანა, არანგო, ვარელა (74. სუარესი), ადურისი (90. ვომე), ხურადო (85. გონსალო კასტრო).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, უიფალუში, იბანიესი, ანტონიო ლოპესი (13. სეიტარიდისი), ჰეიტინგა (46. სინამა-პონგოლე), კამაჩო (58. ბანეგა), რაულ გარსია, სიმაო, მაქსი როდრიგესი, აგუერო, ფორლანი.

**გოლები:** 1:0 ადურისი (24), 2:0 გონსალო კასტრო (90).

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 5(1)-17(7); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 10-11; **ბურთის ფლობა:** 27%-73%

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 28 | 22 | 3 | 3 | 84-24 | 69 |
| 2. რეალი | 28 | 20 | 3 | 5 | 66-31 | 63 |
| 3. სევილია | 28 | 16 | 6 | 6 | 42-26 | 54 |
| 4. ვილიარეალი | 28 | 13 | 9 | 6 | 45-37 | 48 |
| 5. ატლეტიკო | 28 | 12 | 7 | 9 | 56-43 | 43 |
| 6. ვალენსია | 28 | 12 | 7 | 9 | 48-40 | 43 |
| 7. დეპორტივო | 28 | 12 | 7 | 9 | 37-37 | 43 |
| 8. მალაგა | 28 | 12 | 7 | 9 | 45-46 | 43 |
| 9. ვალიადოლიდი | 28 | 12 | 3 | 13 | 42-46 | 39 |
| 10. რასინგი | 28 | 8 | 9 | 11 | 34-35 | 33 |
| 11. სპორტინგი | 28 | 11 | 0 | 17 | 36-59 | 33 |
| 12. მალიორკა | 28 | 8 | 8 | 12 | 33-46 | 32 |
| 13. ალმერია | 28 | 8 | 7 | 13 | 33-46 | 31 |
| 14. ხეტაფე | 28 | 7 | 10 | 11 | 38-42 | 31 |
| 15. ბილბაო | 28 | 8 | 7 | 13 | 37-48 | 31 |
| 16. რეკრეატივო | 28 | 7 | 9 | 12 | 27-40 | 30 |
| 17. ბეტისი | 28 | 7 | 9 | 12 | 38-44 | 30 |
| 18. ოსასუნა | 28 | 6 | 11 | 11 | 28-33 | 29 |
| 19. ნუმანსია | 28 | 8 | 2 | 18 | 30-56 | 26 |
| 20. ესპანიოლი | 28 | 4 | 10 | 14 | 25-45 | 22 |

**ბომბარდირები:** 25 - ეტო'ო (ბარსელონა); 19 - მესი (ბარსელონა), ვილია (ვალენსია), ფორლანი (ატლეტიკო); 16 - ნეგრედო (ალმერია); 15 - ანრი (ბარსელონა), იგუაინი (რეალი); 14 - რაული (რეალი); 13 - აგუერო (ატლეტიკო); 12 - როსი (ვილიარეალი), კანუტე (სევილია); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო).

### II დივიზიონი

### XXIX ტური

**ალბასეტე-უესკა 0:2**

გოლები: 0:1 მარტინი (25), 0:2 ხოსე (41)

**ალიკანტე-სელტა 2:2**

გოლები: 0:1 აბალო (18), 0:2 რენანი (31), 1:2 ასკოიტია (75), 2:2 ხორდა (90)

**კორდობა-ეიბარი 1:1**

გოლები: 0:1 რუბენი (44), 1:1 ასენი (64)

**ლას პალმასი-ხერესი 2:3**

გოლები: 0:1 ანტონიტო (8), 1:1 მარკესი (29), 2:1 პიტუ (63), 2:2 ანტონიტო (89), 2:3 სარმიენტო (90)

**ლევანტე-კასტელონი 3:1**

გოლები: 1:0 ტენა (29), 2:0 პარი (44), 2:1 ლოპესი (64), 3:1 როლდანი (90)

**მურსია-ალავესი 1:0**

გოლი: 1:0 აკინიო (90)

**სალამანკა-ტენერიფე 1:2**

გოლები: 1:0 მიკუ (14), 1:1 ნინიო (32), 1:2 ნინიო (67)

**სარაგოსა-სევილია II 4:0**

გოლები: 1:0 არისმენდი (1), 2:0 პონსიო (9), 3:0 პავონი (60), 4:0 ევერტონი (78)

**ელჩე-ერკულესი 2:2**

გოლები: 0:1 კრუსი (70), 1:1 მიგელი (72), 2:1 საული (89), 2:2 აგილარი (90)

**ვალეკანო-ხიმნასტიკი 3:2**

გოლები: 1:0 კოლანტესი (10), 1:1 ვიქტორი (19), 2:1 პაჩონი (31), 2:2 ალბა (35), 3:2 პიტი (52)

**სოსიედადი-ხირონა 2:0**

გოლები: 1:0 არანბურუ (60), 2:0 სერხიო (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 29 | 15 | 9 | 5 | 52-32 | 54 |
| 2. ტენერიფე | 29 | 15 | 7 | 7 | 52-38 | 52 |
| 3. ერკულესი | 29 | 13 | 11 | 5 | 49-31 | 50 |
| 4. ვალეკანო | 29 | 12 | 13 | 4 | 36-27 | 49 |
| 5. სარაგოსა | 29 | 13 | 9 | 7 | 52-33 | 48 |
| 6. სოსიედადი | 29 | 11 | 12 | 6 | 31-23 | 45 |
| 7. სალამანკა | 29 | 12 | 8 | 9 | 45-33 | 44 |
| 8. კასტელონი | 29 | 11 | 11 | 7 | 39-31 | 44 |
| 9. უესკა | 29 | 11 | 10 | 8 | 38-33 | 43 |
| 10. ლევანტე | 29 | 12 | 7 | 10 | 42-42 | 43 |
| 11. ხიმნასტიკი | 29 | 9 | 11 | 9 | 44-40 | 38 |
| 12. ხირონა | 29 | 8 | 14 | 7 | 31-33 | 38 |
| 13. მურსია | 29 | 11 | 5 | 13 | 31-38 | 38 |
| 14. ელჩე | 29 | 8 | 12 | 9 | 38-36 | 36 |
| 15. ალბასეტე | 29 | 9 | 9 | 11 | 32-38 | 36 |
| 16. სელტა | 29 | 8 | 11 | 10 | 32-36 | 35 |
| 17. კორდობა | 29 | 8 | 9 | 12 | 30-35 | 33 |
| 18. ლას პალმასი | 29 | 7 | 11 | 11 | 36-37 | 32 |
| 19. ალავესი | 29 | 8 | 7 | 14 | 31-48 | 31 |
| 20. ეიბარი | 29 | 7 | 7 | 15 | 22-40 | 28 |
| 21. ალიკანტე | 29 | 5 | 9 | 15 | 26-48 | 24 |
| 22. სევილია ბ | 29 | 1 | 8 | 20 | 17-54 | 11 |

ინგლისის პრემიერლიგა. XXX ტური

# პრემიერლიგის სახელმწიფო ინტრიგა

## ლივერპული ციდან ვარსკვლავებს წყვეტს, მანჩესტერმა 180 წუთში 6 გოლი მიიღო...

"ლივერპულმა" "რეალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" "ასტონ ვილაც" მიაყოლა. 13 გოლი ბოლო სამ მატჩში – ასეთია **რაფა ბენიტესის** მონაგარი. და რაც მთავარია, "მანჩესტერ იუნაიტედთან" სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა. „ლივერპული" წყვილის ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ხუთ უპასუხო გოლს მაინც არავინ ელოდა. ამ უქმეებზე ყველაფერი ისე წარიმართა, რომ მერსისაიდელები უკეთესს ვერ ინატრებდნენ - წააგო "მანჩესტერმა" და წააგო "ჩელსიმაც". ამ გუნდების გარდა კი "ლივერპულს" ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება.

**სტივ ჯერარდმა** სამი გოლი გაიტანა და პრემიერლიგაში უკვე 13 გოლი დაუგროვდა. სტივმა ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მერე რა, რომ კაპიტანმა „ვილასთან" სამიდან ორი პენალტით გაიტანა. თითო **დირკ კუიტმა** და **ალბერტ რიერამაც** დაამატეს და **მარტინ ონილის** გუნდს სეზონის უსასტიკესი მარცხი აგემეს. ბირმინგემელთა მდგომარეობა **ფერნანდო ტორესის** მოცელვისთვის **ფრედ ფრიდელის** გაძევებამაც დაამძიმა. ალსანიშნავია, რომ ფრიდელს პრემიერლიგაში ზედიზედ 182 თამაში ჰქონდა ჩატარებული, რაც ინგლისის უმაღლესი დივიზიონის რეკორდია...

გადავინაცვლოთ შაბათის მატჩებზე. ერთი პერიოდი საქმეს ისეთი პირი უჩანდა, პრემიერლიგაში ინტრიგა თითქოს უკვე მკვდარი იყო. სერ **ალექს ფერგიუსონის** „ეშმაკებს" ისეთი ტემპი ჰქონდათ აღებული, მათი შეჩერება ძნელად წარმოსადგენი გახლდათ, მაგრამ ბოლო ორ შეხვედრაში, გუნდი, რომელსაც 14 მატჩში გოლი არ ჰქონდა გაშვებული, უცბად გაჩერდა... **ედვინ ვან დერ სარის** კარში ბოლო 180 წუთში 6 გოლი გავიდა. ასე ნამდვილად არ მოხდებოდა, რომ არა „ქრევენ კოტეჯზე" მე-18 წუთზე **პოლ სქოულზის** გულუბრყვილო საქციელი - **ბობი ზამორას** დარტყმულს ვეტერანი კარგი მეკარესავით გადაეფარა. ბუნებრივია, არბიტრმა **ფილიპ დაუდმა** მას წითელი ბურთი აუფრიალა და პენალტიც დანიშნა, რომელიც **დანი მერფიმ** გოლად აქცია. მანკუნიანელთა ვნებანი ამით არ დამთავრებულა, მსაჯმა სქოულზის გზას **უეინ რუნიც** გაუყენა. სქოულზის გაძევების შემდეგ მანჩესტერელები დიდი ხანი ვერ ახერხებდნენ გონზე მოსვლას, რითიც მასპინძლებმა ისარგებლეს და მოედანზე სიტუაციაზე კონტროლი დააწესეს. „ალისფერებმა" ზეწოლას გაუძლეს და საქმე მეორე ტაიმამდე მიიყვანეს. შეხვედრის მეორე ნახევარი ჩემპიონების აშკარა უპირატესობით წარიმართა - მათ, მინიმუმ, რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ყოველ ჯერზე ფანტასტიკურად თამაშობდა ავსტრალიელი გოლკიპერი **მარკ შვარცერი**. ერთი შეტევისას მან ჯერ **ჟი სუნ პარკის** დარტყმა აილო, მერე კი რუნის არ დაანება თავის გამოჩენა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი. მატჩის მიწურულს ფულჰემელებმა მეტოქეები სწრაფ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და **ზოლტან გერამ ენდი ჯონსონის** პასით მასპინძელთა უპირატესობა გააორმაგა. როგორც ჩანს, რუნის ახალგაზრდულმა სისხლმა უყივლა და სავსებით უწყინარ სიტუაციაში, მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის დარტყმის გამო მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. შემდეგ ტურში „ასტონ ვილასთან" „ეშმაკებს" **ვიდიჩი**, სქოულზი და რუნი დააკლდებიან. „უაით ჰარტ ლეინზე" უსაფრთხოების მიზეზებით მატჩის დაწყება ნახევარი საათით გადაიდო და იმ დროს, როცა „ჩელსი" მინდორზე გამოვიდა, ლონდონელებმა უკვე იცოდნენ, რომ მათი უმთავრესი მეტოქე შეხვედრას აგებდა, თანაც რიცხობრივ უმცირესობაში იყო დარჩენილი. უფრო დიდი მოტივაციის მონახვა ალბათ ძნელად წარმოსადგენი იყო. ამის მიუხედავად, „არისტოკრატებმა" „ტოტენჰემთან" ვერაფერი გააწყვეს. **გუუს ჰიდინკის** შეგირდები მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოფხიზლდნენ, თუმცა ბრწყინვალე ფორმაში მყოფ **ეურელიო გომესს** ვერაფერი დააკლეს. სხვაობა „იუნაიტედსა" და „ჩელსის" შორის ისევ ოთხი ქულაა. ორივე გუნდი ძალიან ფრთხილობდა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, რომელიც უსახური სანახაობით თუ დაგვახსომდებოდა. სახიფათო მომენტის მაგვარი რამდენჯერმე შეიქმნა: ორჯერ, მე-18 და 24-ე წუთებზე, **პეტრ ჩეხის** კარს **რობი კინი** ემუქრებოდა, ერთხელ **ჯერმეინ ჯენასი** აქტიურობდა, ხოლო სტუმართა მხრიდან **მიკაელ ესიენს** შეეძლო თავის გამოჩენა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „არისტოკრატებს" ძალები არ ჰყოფნიდათ აქტიური ქმედებებისთვის, ხოლო „მამლებს" ფანტაზია ღალატობდათ. ტაიმის მიწურულს გუნდებმა ორი ჩხვლეტა გაცვალეს - რობი კინი და **ნიკოლა ანელკა** ამაოდ დაშვრნენ. მეორე ტაიმის დასაწყისში **ლუკა მოდრიჩის** გოლის წყალობით „მამლები" დაწინაურდნენ: **აარონ ლენონმა** მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთს მეფე ლირის მსგავსად „ყველასგან მიტოვებული" ხორვატი შუახაზელი დახვდა. ბუნებრივია ახლო მანძილიდან ანგარიშის გახსნა მას აღარ გასჭირვებია. ათიოდე წუთში გულშემატკივრებს შეიძლება ისიც კი მოეჩვენათ, რომ საგოლე კომბინაციის გამეორებას უყურებდნენ: ლენონმა ისევ ჩააწოდა და მოდრიჩმა დაარტყა... ამჯერად ბალკანელი არაზუსტი აღმოჩნდა. ჰიდინკი ამას შეცვლით პასუხობს - მინდორზე **რიკარდო კუარეშმა** შემოდის და უმალ **ლემპარდს** სახიფათოდაც აწვდის, მაგრამ **ჩორლუკა** კარგად თამაშობს... ხელით. მსაჯს ამაზე რეაქცია არა აქვს. *„შესვენებისას ჩემი ფეხბურთელები გავაფრთხილე, რომ „ტოტენჰემი" მეორე ტაიმის დასაწყისში შტურმს მოგვიწყობდა და ამიტომ მაქსიმალურად მობილი ზებულნი უნდა ვყოფილიყავით, თუმცა დაცვამ მიუტევებელი შეცდომები დაუშვა. აი, გამოფხიზლებით კი ისეთ დროს გამოვფხიზლდით, რომ თამაშის გადასარჩენად დრო აღარ გვეყო,"* - განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელმა სპეციალისტმა, რომელმაც პრემიერლიგაში პირველი მარცხი იწვნია. აღსანიშნავია, რომ „ჩელსის" მიმდინარე ჩემპიონატში ერთი ლონდონური დერბიც არ მოუგია. დაბოლოს, პრემიერლიგაში ჩატარებულ მე-17 სეზონში ეს იყო „მამლების" სულ რაღაც მეორე გამარჯვება თანაქალაქელებზე. „ტოტენჰემი" ბოლო შეხვედრებში ფანტასტიკურ ფორმაშია. ბოლო 6 თამაშში გუნდმა 14 ქულა მოაგროვა და არათუ გასავარდნ ზონას დასცილდა, არამედ, უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაერთო... *„გამარჯვება ალალად დავიმსახურეთ,* - დაასკვნა **ჰარი რედნაპმა**. - *„ჩელსიმ" პრობლემები მხოლოდ ბოლო 15 წუთში შეგვიქმნა, თუმცა დანარჩენი 75 წუთი თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ამიერიდან უეფას თასის საგზურის მოპოვებაზე ფიქრი უკვე შეგვიძლია..."*

**მაიკლ ოუენი** „სენტ ჯეიმს პარკზე" ფეხბურთს დაუბრუნდა, მაგრამ მისმა მონდომებამ „კაჭკაჭებს" მისხალიც ვერ არგო და გუნდი 30-ე ტურის შემდეგ უკვე გასავარდნ ზონაში დაეშვა. მასპინძლებს უკვე 23-ე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, თუმცა **ობაფემი მარტინსმა მანუელ ალმუნიას** პენალტი ვერ გააუტანა. სასჯელი კი ალმუნიას შეცდომას მოჰყვა: ესპანელი გამოსვლაზე შეცდა, ზურგში ხელი უხეშად ჰკრა **რაიან ტეილორს** და მინდორზე დასცა. „მეთოფეებს" პირველ 45 წუთში სამჯერ შეეძლოთ გასროლა, ორჯერ **არშავინს**, ერთხელ - **ვან პერსის**, მაგრამ თავდამსხმელები ამაოდ დაიხარჯნენ. მთელი ფითილი მათ მეორე ტაიმისთვის შემოინახეს. მეორე ნახევარში ყველაფერი ელვის სისწრაფით განვითარდა. 57-ე წუთზე არშავინის საჯარიმოს **ნიკლას ბენდტნერი** გამოეხმაურა. სულ რაღაც ერთ წუთში **ვილიამ გალასის** შეცდომა მარტინსმა გამოიყენა. და აი, სწორედ აქ აფეთქდა პირველ ტაიმის შემდეგ შემონახული ლონდონური დენთი. 64-ე წუთზე **აბუ დიაბიმ** გაიტანა, ხოლო სამ წუთში **სამირ ნასრიმ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**შალვა ბიბილაშვილი**

### მომდევნო ტური

**4 აპრილი. ბლექბერნი-ტოტენჰემი, არსენალი-მანჩესტერ სიტი, ბოლტონი-მიდლსბრო, ჰალ სიტი-პორტსმუთი, ნიუკასლი-ჩელსი, ვესტ ბრომვიჩი-სტოკ სიტი, ვესტ ჰემი-სანდერლენდი, ფულჰემი-ლივერპული. 5 აპრილი. ევერტონი-ვიგანი, მანჩესტერ იუნ.-ასტონ ვილა.**




### პორტსმუთი-ევერტონი 2:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, სოლ კემპბელი, პრეიდარსონი, კაბული, საიმონ დევისი, მულინსი, კრანჩარი, ნაჯენტი (74. კანუ), გლენ ჯონსონი, კრაუჩი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჟაგიელკა, ბაინესი, იაკობსენი (86. გოსლინგი), ფელაინი, ფილ ნევილი, პიენაარი, ოსმანი, ჟო (90. როდველი), საა.

**გოლები:** 0:1 ბაინესი (4), 1:1 კრაუჩი (22), 2:1 კრაუჩი (75).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 17(4)-6(2); **ჯარიმა:** 19-9; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 388

### ბლექბერნი-ვესტ ჰემი 1:1

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი, სამბა, ჟივე, ოოიერი (45. ენდრიუსი), უორნოკი, მოკოენა, პედერსენი, დიუფი, მაკარტი, რობერტსი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, ნილი, ტომკინსი, ილუნგა, სპექტორი, პარკერი, კოვაჩი, ბოა მორტე (79. ვალტერ ლოპესი), ნობლი, დი მიკელე (82. დაიერი), ტრისტანი (90. პეინი).

**გოლები:** 0:1 ნობლი (35), 1:1 ენდრიუსი (51).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 19(3)-6(2); **ჯარიმა:** 14-10; **კუთხური:** 7-1; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 21 672

### ფულჰემი-მანჩესტერ იუნ. 2:0

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, დენი მერფი (68. დაკური), ეტუჰუ, დემპსი (82. გერა), საიმონ დევისი, ზამორა (77. კამარა), ენდრიუ ჯონსონი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ევანსი, რიო ფერდინანდი, ევრა, ოში (70. ტევესი), სქოულზი, ფლეტჩერი, კრისტიანო რონალდო, პარკი, ბერბატოვი (46. რუნი), გიგზი.

**გოლები:** 1:0 მერფი (18-პენ), 2:0 გერა (87).

**გაძევება:** სქოულზი (17. მანჩესტერ იუნაიტედი), რუნი (88. მანჩესტერ იუნაიტედი).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 24(8)-19(7); **ჯარიმა:** 14-12; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 25 625

### სტოკ სიტი-მიდლსბრო 1:0

**სტოკი:** სორენსენი, ადბულა ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი, უილკინსონი (46. კელი), დიაო (51. ეთერინგტონი), ველანი, დელაპი, ლორენსი (83. სიდიბე), ფულერი, ბიტი.

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, ჰუთი, პოგატეცი, ვიტერი, ენდრიუ ტეილორი (87. ადამ ჯონსონი), მაკმაჰონი (81. ჰოიტი), მოჰამედი, დაუნინგი, ონილი, მარლონ კინგი (56. აფონსო ალვეში), თუნჯაი.

**გოლები:** 1:0 შოკროსი (84).

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 10(3)-16(2); **ჯარიმა:** 19-14; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 26 442

### ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი 1:1

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, მარტისი, რობინსონი (75. დორენსი), ცუივერლოონი (74. ბორხა ვალერო), კორენი, გრინინგი, ბრანტი, მორისონი, სიმპსონი (58. ბედნარი), ფორჩუნი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, პოუგრენიე (59. შიტუ), გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, რიკარდო გარდნერი, მუამბა, მაკენი, მეტიუ ტეილორი, კევინ დევისი, ელმანდერი (90. სმოლიარეკი).

**გოლები:** 0:1 მეტიუ ტეილორი (67), 1:1 შიტუ (82-საკ.კარში).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(0)-14(8); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 25 530

### ტოტენჰემი-ჩელსი 1:0

**ტოტენჰემი:** გომესი, მარლონ კინგი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო, ჩორლუკა, პალასიოსი, ჯენასი, მოდრიჩი (87. ოჰარა), ლენონი (90. ზოკორა), რობი კინი, დარენ ბენტი.

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ალექსი, ეშლი კოული, ბოსინგვა, ბალაკი, ლემპარდი, ესიენი (76. მალუდა), ანელკა, დროგბა, ბელეტი (61. კვარეშმა).

**გოლები:** 1:0 მოდრიჩი (50).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 12(5)-20(7); **ჯარიმა:** 14-8; **კუთხური:** 8-8; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 36 034

### ნიუკასლი-არსენალი 1:3

**ნიუკასლი:** ჰარპერი, ბასონგი (38. ბეიე), კოლოჩინი, ხოსე ენრიკე, სტივ ტეილორი (66. ოუენი), ბატი, ნოლანი, დაფი, რაიან ტეილორი, ლიოვენკრანდსი (79. ამეობი), მარტინსი.

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, კოლო ტურე, კლიში, სანია, დიაბი, დენილსონი, ნასრი, არშავინი (75. სონგი), ბენდტნერი (89. ებუე), ვან პერსი.

**გოლები:** 0:1 ბენდტნერი (57), 1:1 მარტინსი (58), 1:2 დიაბი (64), 1:3 ნასრი (67).

*23-ე წუთზე მარტინსმა ვერ გაიტანა პენალტი.*

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 13(4)-19(9); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 44%-57%.

**მაყურებელი:** 49 972

### უიგანი-ჰალ სიტი 1:0

**უიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, მაიკლ ბრაუნი, შარნერი (77. კაპო), ნზოგბია (46. დე რიდერი), უოტსონი, როდალიეგა, მიდო (72. ზაქი).

**ჰალ სიტი:** დიუკი, ზაიათი (61. ფოლანი), მაიკლ ტერნერი, დოსონი (38. რიჩარდ გარსია), რიკეტსი, კილბეინი, მარნი, ჯოვანი, მენდი, მანუჩო, ფეგანი (82. ჰალმოში).

**გოლები:** 1:0 უოტსონი (84)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 19(6)-8(1); **ჯარიმა:** 17-13; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 17 689

### მანჩ. სიტი-სანდერლენდი 1:0

**სიტი:** გივენი, ონუოჰა, დანი, საბალეტა, რიჩარდსი (83. გარიდო), დე იონგი, კომპანი (85. ელსონი), ბოჟინოვი (65. ბელამი), ელანო, რობინიო, რაიტ-ფილიპსი.

**სანდერლენდი:** ფულოპი, კოლინზი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ბერდსლი, ლიდბიტერი, უაიტჰედი, მალბრანკი (73. რიდი), დერილ მერფი (17. დევენპორტი), ედვარდსი, ჯოუნსი (73. სისე).

**გოლები:** 1:0 რიჩარდსი (56)

*მე-20 წუთზე რობინიომ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** მაკარტნი (15. სანდერლენდი)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 21(8)-6(3); **ჯარიმა:** 17-15; **კუთხური:** 7-8; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 43 017

### ლივერპული-ასტონ ვილა 5:0

**ლივერპული:** რეინა, შკრტელი, კარაგერი, აურელიო, არბელოა (77. აგერი), ალონსო (66. ლუკასი), მასკერანო, ტორესი, ჯერარდი (80. ნგოგი), რიერა, კუიტი.

**ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, კერტის დევისი, ლუკ იანგი, რეო-კოკერი (65. გუზანი), ბერი, სტილიან პეტროვი, ეშლი იანგი, მილნერი, კარიუ (89. კრეიგ გარდნერი), ჰესკი (58. აგბონლაორი).

**გოლები:** 1:0 კუიტი (8), 2:0 რიერა (33), 3:0 ჯერარდი (39-პენ), 4:0 ჯერარდი (50), 5:0 ჯერარდი (65-პენ).

**გაძევება:** ფრიდელი (65. ასტონ ვილა)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 19(7)-7(3); **ჯარიმა:** 10-14; **კუთხური:** 4-6; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 44 131

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 29 | 20 | 5 | 4 | 49-18 | 65 |
| 2. ლივერპული | 30 | 18 | 10 | 2 | 54-21 | 64 |
| 3. ჩელსი | 30 | 18 | 7 | 5 | 49-17 | 61 |
| 4. არსენალი | 30 | 15 | 10 | 5 | 48-27 | 55 |
| 5. ასტონ ვილა | 30 | 15 | 7 | 8 | 43-36 | 52 |
| 6. ევერტონი | 30 | 13 | 9 | 8 | 40-31 | 48 |
| 7. უიგანი | 30 | 11 | 8 | 11 | 30-28 | 41 |
| 8. ვესტ ჰემი | 30 | 11 | 8 | 11 | 35-35 | 41 |
| 9. ფულჰემი | 30 | 10 | 10 | 10 | 30-26 | 40 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 30 | 11 | 5 | 14 | 46-37 | 38 |
| 11. ტოტენჰემი | 30 | 10 | 8 | 12 | 36-34 | 38 |
| 12. ბოლტონი | 30 | 10 | 4 | 16 | 32-44 | 34 |
| 13. ჰალ სიტი | 30 | 8 | 9 | 13 | 35-52 | 33 |
| 14. სანდერლენდი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-39 | 32 |
| 15. პორტსმუთი | 29 | 8 | 8 | 13 | 32-46 | 32 |
| 16. სტოკ სიტი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-47 | 32 |
| 17. ბლექბერნი | 30 | 7 | 10 | 13 | 33-49 | 31 |
| 18. ნიუკასლი | 30 | 6 | 11 | 13 | 36-49 | 29 |
| 19. მიდლსბრო | 30 | 6 | 9 | 15 | 21-42 | 27 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 30 | 6 | 6 | 18 | 26-55 | 24 |

**ბომბარდირები:** 15 – ანელკა (ჩელსი); 13 – რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი); 13 – ჯერარდი (ლივერპული), რობინიო (მანჩესტერ სიტი); 10 – ლემპარდი (ჩელსი), ზაქი (უიგანი), დეფო (პორტსმუთი/ტოტენჰემი), აგბონლაორი (ასტონ ვილა); 9 – დარენ ბენტი (ტოტენჰემი), სისე (სანდერლენდი), კევინ დევისი (ბოლტონი), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონშიპი. XL ტური

**ბირმინგემი-ნორვიჩი 1:1**

გოლები: 1:0 ჯერომი (38), 1:1 კლინგენი (53).

**ბლექპული-საუთჰემპტონი 1:1**

გოლები: 1:0 კემპბელი (20-პენ), 1:1 მაკგოლდრიკი (69).

**ჩარლტონი-პრესტონი 0:0**

**ქოვენთრი-დონკასტერი 1:0**

გოლი: 1:0 ბელი (20).

**დერბი-ბარნსლი 0:0**

**იფსვიჩი-უოტფორდი 0:0**

**ნოტინგემი-ვულვერჰემპტონი 0:1**

გოლი: 0:1 კაიტლი (76).

**პლიმუთი-ბარნლი 1:2**

გოლები: 0:1 კოლდველი (16), 1:1 ჯაჯი (17), 1:2 ბლეიკი (78).

**ქუინზ პარკი-ბრისტოლი 2:1**

გოლები: 1:0 ფელპეტო (65), 1:1 მაკინდო (77), 2:1 ტაარაბტი (81).

**შეფილდ უენ.-სვონსი 0:0**

**კრ.პალასი-რედინგი 0:0**

გაძევება: როსენორი (71. რედინგი)

**კარდიფი-შეფილდ იუნ. 0:3**

გოლები: 0:1 კოტერილი (25-პენ), 0:2 უორდი (46), 0:3 ქუინი (87).

გაძევება: გიეპესი (24. კარდიფი), მაკორმაკი (33. კარდიფი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპ. | 40 | 23 | 8 | 9 | 71-47 | 77 |
| 2. ბირმინგემი | 40 | 20 | 12 | 8 | 47-33 | 72 |
| 3. რედინგი | 39 | 19 | 11 | 9 | 65-35 | 68 |
| 4. შეფილდ იუნ. | 39 | 18 | 12 | 9 | 58-37 | 66 |
| 5. ბარნლი | 40 | 18 | 11 | 11 | 62-54 | 65 |
| 6. კარდიფი | 38 | 16 | 15 | 7 | 52-37 | 63 |
| 7. პრესტონი | 40 | 17 | 10 | 13 | 53-50 | 61 |
| 8. სვონსი | 40 | 13 | 19 | 8 | 55-44 | 58 |
| 9. ბრისტოლი | 40 | 15 | 13 | 12 | 49-43 | 58 |
| 10. იფსვიჩი | 40 | 14 | 14 | 12 | 52-44 | 56 |
| 11. ქუინზ პარკი | 40 | 14 | 14 | 12 | 38-38 | 56 |
| 12. კრ.პალასი | 39 | 14 | 9 | 16 | 50-49 | 51 |
| 13. შეფილდ უენ. | 40 | 13 | 12 | 15 | 44-53 | 51 |
| 14. ქოვენთრი | 38 | 13 | 11 | 14 | 42-46 | 50 |
| 15. დონკასტერი | 40 | 14 | 7 | 19 | 33-47 | 49 |
| 16. უოტფორდი | 39 | 13 | 8 | 18 | 57-62 | 47 |
| 17. დერბი | 38 | 12 | 11 | 15 | 48-53 | 47 |
| 18. ბლექპული | 40 | 11 | 14 | 15 | 40-52 | 47 |
| 19. ბარნსლი | 38 | 12 | 8 | 18 | 37-48 | 44 |
| 20. ნორვიჩი | 40 | 11 | 10 | 19 | 50-58 | 43 |
| 21. პლიმუთი | 40 | 11 | 10 | 19 | 37-51 | 43 |
| 22. ნოტინგემ ფ. | 40 | 10 | 11 | 19 | 41-60 | 41 |
| 23. საუთჰემპტონი | 39 | 9 | 13 | 17 | 38-54 | 40 |
| 24. ჩარლტონი | 39 | 6 | 11 | 22 | 41-65 | 29 |

### I ლიგა

ბრისტოლი-პიტერბორო 0:1, ქრიუ-ლიდსი 2:3, ჰარტლპული-მილუოლი 2:3, ჰადერსფილდი-ჩელტენჰემი 2:2, ლესტერი-კოლჩესტერი 1:1, ლეიტონი-უოლსოლი 0:1, ნორთჰემპტონი-სტოკპორტი 4:0, ოლდჰემი-ტრანმერი 0:2, სკანთორპი-ბრაიტონი 2:0, საუთენდი-კარლაისლი 3:0, სვინდონი-ჰერეფორდი 3:0, იოვილი-მილტონი 0:0.

### II ლიგა

აქრინგტონი-ექსეტერი 2:1, ბარნეტი-ლინკოლნი 3:2, ბორნმუთი-ნოთს ქაუნთი 0:1, ბრედფორდი-პორტ ვეილი 0:1, ბერი-ჩესტერი 1:1, დარლინგტონი-ოლდერშოტი 2:0, გრიმსბი-ჯილინგემი 3:0, ლუტონი-მაკლსფილდი 1:0, როტერჰემი-ჩესტერფილდი 3:0, შრუსბერი-მორკომბი 0:0, ვიკომბი-როდჩეილი 0:1, დაგენჰემი-ბრენტფორდი დღეს.

### კონფერენსი

ოლტრინჩემი-ფორესტ გრინი 2:5, ბეროუ-ლიუისი 2:0, ისტბორნი-ბარტონი 1:2, გრეისი-მანსფილდი 2:1, კიდერმინსტერი-ვოკინგი 3:0, ნორთვიჩი-ტორკი 2:3, სელისბერი-რაშდენი 1:1, ვიმუთი-კეტერინგი 0:2, რექსჰემი-ქროული 0:2.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტური

# ბერლინი დაეცა, გაუმარჯოს ვოლფსბურგს!

## შალკეში დიდი წმენდა ახლავე უნდა დაიწყოს

შაბათს, ტურის წინათქმაში ვივარაუდეთ, რომ „ჰერტას“ შტუტგარტში ფეხი დაუცდებოდა და აჰა - ბერლინი შვაბენლანდში მართლაც დაეცა! და ვინ ისარგებლა ამით ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნმა“! და რა თქმა უნდა, ბავარიულ გრანდს არც „ვოლფსბურგი“ ჩამორჩა! **ფელიქს მაგათს** მეორე წრეში რომ საუკეთესო გუნდი ჰყავს, ეს აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, ახლა კი მხოლოდ ის უნდა დავამატოთ, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდებიდან 25-ე ტურში ყველაზე ღირსეულად სწორედ „დესპოტი ფელიქსის“ „მგლები“ გამოიყურებოდნენ: „ვოლფსბურგმა“ ბილეფელდის „არმინია“ სტუმრად 3:0 გაანადგურა.

მაგათს დღეს ერთი ისეთი ფორვარდი ჰყავს, როგორსაც „ბაიერნის“ თავკაცი **იურგენ კლინსმანიც** ინატრებდა. საუბარია **გრაფიტეზე**, რომელიც შაბათის შემდეგ ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა. ფაქტია, რომ „ბაიერნს“ ახლა ნამდვილად არ ჰყავს გრაფიტეს ნახევარი დონის ფორვარდიც კი, რადგან **კლოზე** და **ტონი** ტრავმირებულები არიან, **ლუკას პოდოლსკი** კი ისევ არ უქნია ღმერთს. პოლდი ბავარიელთა ერთადერთი ჯანმრთელი თავდამსხმელია და შაბათს „კარლსრუესთან“ ისე ამაზრზენად გამოიყურებოდა, რომ საკვირველია ან აქამდე როგორ გააჩერეს მიუნხენურ გრანდში. მიუხედავად ამისა, „ბაიერნმა“ **ალექსანდრე იაშვილის** აუტსაიდერ გუნდს თავდასხმის გარეშეც მოუგო. „კარლსრუეს“ ჩვენებურ ფორვარდს კვლავინდებურად არ ათამაშებენ. მაგრამ საინტერესოა, მოახერხებს კი „ბაიერნი“ თავდასხმის გარეშე მომდევნო ტურში „ვოლფსბურგთან“ სასურველი შედეგის მიღწევას ან ამ მატჩის შემდეგ „ბარსელონასთან“ ტოლ-სწორად თამაშს? კლინსმანს ტონის გამოჯანმრთელების იმედი აქვს...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს გერმანიაში მსაჯები ძალიან ხშირად სცოდავენ. ამ ტურში არბიტრებმა სამი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს: ერთი მხრივ დაინდეს **ფრანკ რიბერი**, რომელიც გაძევებას იმსახურებდა, მეორე მხრივ დორტმუნდის „ბორუსიას“ არარსებული პენალტი აჩუქეს და მესამეც: „ჰერტას“ არ დაუნიშნეს ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანი.

მოკლედ, შაბათს გამოჩნდა, რომ „ჰერტაც“ დიდი ვერაფერი ხვითოა, რაც, პრინციპში, მანამდეც ცნობილი იყო, უბრალოდ, ბერლინელთა ბოლოდროინდელი შედეგები აღარ გვაძლევდა ამის მტკიცების უფლებას. „შტუტგარტმა“ „ჰერტას“ 2:0 მოუგო და ახლა შვაბები ისევ ოცნებობენ რომელიმე ევროსაგზურზე. ბერლინელებს კი შეუძლიათ, იმით დაიმშვიდონ თავი, რომ პირველ ადგილზე დარჩნენ, თუმცა უახლოეს მდევრებს, „ბაიერნსა“ და „ვოლფსბურგს“ მხოლოდ ერთი ქულითღა უსწრებენ.

„ჰერტას“ წარმატების გარანტები ბოლო დროს **ანდრეი ვორონინი**, **იოზიპ შიმუნიჩი** და კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** იყვნენ. შესაბამისად, მატჩის 25-ე წუთზე დედაქალაქელთა თავკაცი **ლუსიენ ფავრი** კინაღამ შოკში ჩავარდა - ამ დროს ფრიდრიხმა მძიმე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ამას თან ისიც დაემატა, რომ შიმუნიჩმა ამ სეზონში ყველაზე საშინელი თამაში ჩაატარა. „შტუტგარტის“ პირველი გოლის დროს აყლაყუდა ხორვატმა **მარიო გომესთან** წააგო საჰაერო ორთაბრძოლა, მეორე გოლის დროს **სამი ხედირასთან**, მატჩის შემდეგ კი თქვა, ჩვენ დღეს ერთი ქულაც კი არ დავიმსახურეთ, რადგან ძალიან ცუდად ვითამაშეთ. უპრიანი იქნებოდა, შიმუნიჩს მხოლობით პირში რომ ესაუბრა - მართალია, არც სხვებს მოუკლავთ თავი, მაგრამ თუ შაბათს „ჰერტადან“ ვინმემ ცუდად ითამაშა, პირველ რიგში, ეს სწორედ შიმუნიჩზე ითქმის. არაფერი გამოუვიდა გოლეადორ ვორონინსაც, არადა, მომენტები ჰქონდა. თუმცა ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბერლინელებს არ გაუმართლათ, როცა მსაჯმა **პანტელიჩზე** თამაშის წესების დარღვევა არ დააფიქსირა და შვაბების კარში პენალტი არ დანიშნა. *„მართლა ძალიან ცუდად ვითამაშეთ. უფლება რომ მქონოდა, შესვენებაზე თერთმეტივე ფეხბურთელს შევცვლიდი!“* - ნამატჩევს ჟურნალისტებს შესჩიოდა „ჰერტას“ შვეიცარიელი მწვრთნელი ფავრი. სამაგიეროდ, ხარობდნენ შვაბები და განსაკუთრებით მათი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი**, რომელმაც თქვა, მას მერე, რაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ, გუნდმა ასე კარგად პირველად ითამაშაო.

**რაფაელ ჩიმიშკიანი:** ძალოსანი; სპორტის დამსახურებული ოსტატი; 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; მსოფლიოს ორგზის, ევროპის ექვსგზის ჩემპიონი; ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. აღიარებულია XX საუკუნის საუკეთესო ძალოსნად, საქართველოში.

იუბილარი რაფაელ ჩიმიშკიანი

# მინდვრის ყვავილები დიდხანს ცოცხლობენ...

## რაფაელ ჩიმიშკიანი იმაზეც ალაპარაკდა, რისი თქმაც ადრე შეუძლებელი იყო...

**ოლიმპიურ ჩემპიონს, რაფაელ ჩიმიშკიანს, დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. „ლელოს" რედაქცია ულოცავს ბატონ რაფაელს და მკითხველს სთავაზობს ინტერვიუს, რომელიც მას თამაზ ჭეიშვილმა ჩამოართვა.**

*რაფაელ ჩიმიშკიანს შინ ვესტუმრე, პასტერის ქუჩაზე, 7 ნომერში.*

**- ბატონო რაფაელ, პირდაპირ ოლიმპიადით დავიწყოთ?**

- ოლიმპიადამდე შეკრება გვქონდა.

**- მაშინ, შეკრებით დავიწყოთ.**

- ათი დღე სოჭში ვიყავით; იქიდან, ქალაქ ვიბორგში გადაგვიყვანეს, სადაც 25 დღე ვემზადებოდით. ჰელსინკში გამგზავრებამდე, ერთი კვირით ადრე დაგვეწყო „პრიკიდკები"... 7 დღე გვაწამეს... ქართველებს „იმას" გვეძახდნენ... მოკლედ, ძალოსნებში მარტო მე ვიყავი „ის"...

**- რომელ წონით კატეგორიაში გამოდიოდით?**

- 60 კილოგრამში. საბჭოთა ნაკრებში ყველაზე მეტი პრეტენდენტი ჩემს წონაში იყო. რუსებს ძალიან არ უნდოდათ, რომ საქართველოს წარმომადგენლები ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრილიყვნენ. ო, რამდენი სიმწარე მახსოვს მაგათგან. გამგზავრების წინა ღამით, რომ მეძინა, ჩუმად, ლაჩრულად, კარები და ფანჯარა ღია დამიტოვეს (ამას უკანასკნელი ნაძირალაც არ იკადრებდა), მთელი ღამე „სკვაზნიაკზე" ვიწექი. გავცივდი და ფილტვების ანთება დამემართა. მეკოკიშვილსაც რაღაც „გაუჩალიჩეს", მძიმე ალერგიული შეტევა მისცა, წნევამ აუწია, სახესა და ტანზე გამოაყარა... მოკლედ, დაიძრა ოლიმპიური მატარებელი, მე და არსენ მეკოკიშვილი „კრასნი კრესტის" ვაგონში ვართ, სულ ბოლო ვაგონში. აბა წარმოიდგინეთ, კაცი ოლიმპიადაზე მივდივარ, რომ გავიმარჯვო, ამ დროს „კრასნი კრესტის" ვაგონში ვწევარ. სიცხიანი და იღლიაში თერმომეტრი მაქვს გარჭობილი, თანაც ნემსებს მიკეთებენ... რა ჭკუაზე ვიქნებოდი. არც არსენა იყო ჩემზე კარგ დღეში, მაგრამ შემატყო, რომ ძალიან ვნერვიულობდი და გამამხნევა - რაფო, ნუ გეშინია! ახლა ხომ ბოლო ვაგონში ვართ, იქიდან პირველი ვაგონით დავბრუნდებითო! როგორ, მეთქი, არსენ ბიძია! - გამიკვირდა.

კაცო, რამდენჯერ გითხარი, არსენ ბიძიას ნუ მეძახი, „პროსტო" არსენა დამიძახე!.. როგორ და გავხდებით ოლიმპიური ჩემპიონები და პირველ ვაგონში ჩაგვაბრძანებენ! - მართლაც ეგრე მოხდა...

**- ჩახვედით ჰელსინკში. მერე რა იყო? როგორ მოეწყვეთ?**

- ოლიმპიურ სოფელში დაგვაბინავეს, ფინურად „ატანელიე" ერქვა... მე სისუსტეს ვგრძნობდი, ხუმრობა ხომ არ არის, ფილტვების ანთება გადავიტანე... არადა, რა მაგარ ფორმაში ვიყავი. სანამ ავად გავხდებოდი, 140 კილოგრამის აკვრას სულ თავისუფლად ვახერხებდი.

დაგვირიგეს პატარა ბლოკნოტებივით რაღაცა, სასადილოში შესვლისას თითო ფურცელს მოახევდნენ ხოლმე. მაგიდებზე სხვადასხვა ქვეყნის პატარა ალმები იდგა... რასაკვირველია, ჩვენსაზეც... მე, როგორც ავადმყოფი, „მედსანჩასტში" გამიშვეს, ჩემს ბედზე უფროსი ერთი ებრაელი, ვინმე კუკალევსკი აღმოჩნდა, რომელსაც თურმე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაუმთავრებია და რომ გაიგო ჩემი თბილისელობა სასადილოს ბლოკნოტს წააწერა - „Отова! ить су. им паиком!"... იმ ებრაელის წყალობით ოლიმპიადიდან ოქროს მედლის გარდა, ნახევარი ჩემოდანი შოკოლადი ჩამოვიტანე. მოკლედ, იმ ღვთისნიერმა ექიმმა მითხრა, რახან თბილისელი ხარ, აღარ უნდა ბევრი ლაპარაკი, მე ვიქნები შენი პატრონიო. წამოვიდა და რაც კარგი და გემრიელი ჰქონდათ რუსებს, იმით მკვებავდნენ. ამას დაემატა ნატურალური ხილის წვენები. მოკლედ, გაიხარა შენმა რაფომ... თანაც არ დაგავიწყდეს, წონაშიც უნდა დამეკლო, ამიტომ ფინურ აბანოში დავდიოდი... ერთი სიტყვით, საღ-სალამათი ჯანი დამიბრუნდა... ღმერთის წყალობით, ჩემი თბილისის მადლი და ფესვები იქაც მომწვდა და დამეხმარა... აი, რომ ვლაპარაკობ, ტანში სულ ჭიანჭველები დამდის...

**- ჩვენებურებს გჩაგრავდნენ, ბიძია რაფო? შეიძლება ბიძია რაფო დაგიძახოთ?**

- შეიძლება! გვჩაგრავდნენ რომელია?

**- რა ფორმით?**

- რა ფორმით და... რუსებმა „ფორმა" არ იციან... არ უნდოდათ და ვსიო... არ ვუყვარდით, რა!.. განა შეიძლებოდა გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის ხალიჩაზე არგაშვება?! კარტოზიას მაგივრად ხალიჩაზე ბელოვი გაუშვეს, პირველივე შეხვედრა წააგო. ბალავაძის მაგივრად რიბალკო მიუშვეს, წააგო. რა უნდოდათ?.. მაგათ ჯინაზე ორი ქართველი მოჭიდავე მაინც გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი. არა მგონია, გივის და ვახტანგს წაეგოთ. 1956 წელს მელბურნში გივი კარტოზიამ მაინც ხომ დაამტკიცა ვინც იყო და რაც იყო!..

**- ბიძია რაფო, ეხლა თქვენს გაჩემპიონებაზეც მოყევით.**

- კარგი. პირველ ცდაზე 150 კილოგრამი ავკარი. ამ შედეგით, ყველა ვარიანტში მეორე ადგილი განაღდებული მქონდა. მეორე ცდაზე 132,5 კილოგრამის აწევა მინდოდა. მაგრამ უფლება არ მომცეს, 130-ზე გამიშვეს, რომ საქსონოვს ჩემზე მეტი აეწია... მერე მე 137,5 კილოგრამის აკვრა მოინდომე, ძალიან ვნერვიულობდი, შტანგა დამივარდა და ისე ხმამაღლა შევიგინე ქართულად, მგონი, მთელმა მსოფლიომ გაიგო... საქსონოვი 135 კილოგრამზე არ მივიდა... შეეშინდა! მე 135 კილოგრამი ავკარი და სამი ცდის ჯამით (337,5 კილოგრამი) ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი გავხდი. შხაპიც კი არ მიმიღია, ისე გადავიცვი სპორტული „პიჟამო" და ავტობუსში შევხტი.. მაშინ სხვა დრო იყო, არ გვქონდა მობილური ტელეფონი, რომ ოლიმპიურ სოფელში ჩვენი ბიჭებისთვის მეხარებინა... ვიდრე ავტობუსით არ მივედი, ვერ გაიგეს ეს ამბავი... რომ მივედი, გივი კარტოზიამ ხელში ამიყვანა, მხარზე შემისვა და ისე ამარბენინა ჩვენს სართულზე, ყველა მილოცავდა. იმ ღამეს მაგრა შევუბერეთ...

მერე ბიძია რაფომ მოიწყინა, თავი ჩაღუნა...

აცრემლებული თვალებით შემომხედა და მითხრა: გივი კარტოზია დიდი გულის და მდიდარი სულის პატრონი იყო, ყველას უყვარდა, მეც მიყვარდა. მე რატომღაც ძალიან მფარველობდა, ალბათ ტანდაბალი რომ ვიყავი, იმიტომ...

ერთხელ, შეკრებაზე, ჩვენი საცხოვრებლის უკან, ყვავილებით აჭრელებულ მინდორზე გავედით. გივი ჩაცუცქდა, ყვავილებს, როგორც ბავშვებს, ისე მიეფერა და იცი, რა მითხრა - ესენი სათბურში გაზრდილ ყვავილებს არა გვანან, ამათ მზის გულზე, ღია ცის ქვეშ უხდებათ ცხოვრება, ხან დარში, ხან ავდარში, წვიმაში, ქარში... დღიდან დღემდე სიცოცხლისთვის უწევთ ბრძოლა, ამიტომ ძლიერები და გაკაჟებულები, სიცოცხლის ენერგიით გაჟღენთილები არიან და რომ მოწყვიტო კიდეც დიდხანს ცოცხლობენო... მაშინ გამაკვირვა ამ რკინასავით კაცის სიფაქიზემ. მისი სულის სხვა თვისებებთან ერთად პოეტური სილამაზეც აღმოვაჩინე... ის დღე მეხსიერებაში ჩამრჩა და რაც გივი კარტოზია გარდაიცვალა, მას მერე ყოველ წელიწადს, 25 მარტს, მის დაბადების დღეს, გივის საფლავზე, მინდვრის ყვავილები მიმაქვს და მიმოვაბნევ ხოლმე... განა ვარდებს ან ტიტებს არ მივიტან, მაგრამ მინდვრის ყვავილები დიდხანს ცოცხლობენ და გივის საფლავიც ცოტა დიდხანს იქნება გალამაზებული...

ამ მონათხრობმა ძალიან დამადარდიანა და საუბრის თემა რადიკალურად შევცვალე.

**- ბიძია რაფო, თუ არ გეწყინებათ, ერთი რამე უნდა გკითხოთ...**

- მკითხე, აჰა.

**- თქვენი სომხური გვარი სპორტულ კარიერაში ხელს არ გიშლიდათ?**

მან გამჭოლი მზერით შემომხედა და პირდაპირ მიპასუხა:

- ალალად გეტყვით, მიშლიდა! ერთხელ, „დინამოს" ხელმძღვანელობამ შემომთავაზა, გვარი შეიცვალე, დედის გვარზე გადადი, წინსვლაში მოგეხმარებაო... დედა ბერიძე იყო, ქართულ იავნანას მიმღეროდა... ეგრე გამზარდა. მაშინ გვარის შეცვლაზე უარი ვთქვი, მამას ვერ ვუღალატებ-მეთქი. დღეს თუ მამას ვუღალატე, ხვალ თქვენ გიღალატებთ და მოღალატე კაცი გინდა ყოფილა, გინდა არა... ეგ გინდათ-მეთქი?..

როცა სახელი გამივარდა, როგორც ახლა იტყვიან, პოპულარული გავხდი, ბევრი მოწვევა მომდიოდა სხვა რესპუბლიკებიდან. საუკეთესო პირობებს მთავაზობდნენ სომხეთში, უკრაინაში, რუსეთში. განა არ შემეძლო წასვლა?.. იცი, მე თბილისის გარეშე ერთ თვესაც ვერ ავძლებ და საქართველოს და თბილისის სიყვარულში ვერავინ შემეჯიბრება... მერე რა, რომ გვარად ჩიმიშკიანი ვარ... განა ცოტაა ცუდი ქართველი, ცუდი უკრაინელი, თუნდაც ცუდი სომეხი, გვარი არ ნიშნავს კაცობას... მაგას შენი საქმე, შენი მოქცევა, შენი ბუნება განსაზღვრავს... მე დღეს ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ მყავს საყვარელი ცოლი მარია. ოთხი საყვარელი შვილი, ერთი ბიჭი და სამიც გოგო, ჩემი ხუთივე შვილიშვილი უჩემოდ ვერა ძლებს. მყავს ბევრი ერთგული მეგობარი და ჩემს ერთგულებაში არც იმათ ეპარებათ ეჭვი. ხალხს დღესაც ვახსოვარ და მათგან სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობ...

**- ისე, ჩვენში დარჩეს, ბიძია რაფო, და წლებს ხომ არ იმატებ?.. ჰა, ჰა, 60 წლის „ბიჭივით" გამოიყურები.**

- თფუ, თფუ, თფუ! - მაგიდაზე სამჯერ დავაკაკუნებ, თვალი არ მეცეს, ბიჭო! - ამაზე ორივენი გავმხიარულდით...

*გამოვემშვიდობე ოლიმპიურ ჩემპიონს, რაფაელ ჩიმიშკიანს. მასთან სულ რაღაც საათ-ნახევარი დავყავი და ის ჩემთვის უკვე ბიძია რაფო გახდა. გამოვემშვიდობე უბედნიერეს კაცს, რომლის ოპტიმიზმი, მიუხედავად ასაკისა, დადებითი ენერგეტიკული მუხტი, საოცრად გადამდებია...*

*ქუჩაში გამოვედი. იყო ერთი ჩვეულებრივი, ადრეული გაზაფხულის თბილისური დღე... ჩაფიქრებული გამვლელები, ვინ აჩქარებული ნაბიჯით, ვინ ტაატით თავიანთი გზით მიდიოდნენ... ზოგი ალმა, ზოგიც დალმა..*

*მივდიოდი და ბიძია რაფოზე ვფიქრობდი, რომელიც თავისი შინაარსით, კაცობით, მოყვასისა და სიცოცხლის უზომო სიყვარულით, უშრეტი ენერგიით, იმ მინდვრის ყვავილებს მაგონებდა, რომლებზეც, ოდესღაც, მისი ძმაკაცი აგრერიგად იყო შეყვარებული...*

*ბიძია რაფო, ჩემო ტკბილო ადამიანო, მჯერა, რომ კიდევ დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებ სიყვარულის თქვენ მიერ შექმნილ აურაში... მინდვრის ყვავილები ხომ დიდხანს ცოცხლობენ.*

*ღრმა პატივისცემით,*

**თამაზ ჭეიშვილი**

***P.S.** ისე, ჩვენში დარჩეს და, ასეთი მონაცემების სპორტსმენი, როგორც რაფაელ ჩიმიშკიანია, ცოტა გვიან რომ დაბადებულიყო, თუნდაც 1980 წელს, დღეს ალბათ მილიონერი იქნებოდა და გასულ საუკუნეში გამოშვებული „ოპელ-ვექტრათი" კი არ ივლიდა, არამედ ახალთახალი „იაგუარით" ან „ლამბორჯინით" და , როგორც დღეს იტყვიან, ხოლმე, მოხუცებულობაში ღირსეულ ცხოვრებას „ასი პროცენტით გაინაღდებდა"... თუმცა სულით მდიდარი კაცი ცხოვრებას არც დღეს უჩივის...*

სამთომთხილამურობა. სუხია-2009

# შეჯიბრებაც, აქტიური დასვენებაც

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის სპორტული შეჯიბრებები, რომლებსაც სილაღე და ზეიმურობა განსაკუთრებით ამშვენებს. ასეთთა შორის, ალბათ, უდავოდ პირველობს აფხაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპული **სულხან სულხანიშვილის** ტრადიციული ტურნირი, რომელიც ამჯერად უკვე მეჩვიდმეტედ ჩატარდა და გუდაურმა უმასპინძლა. „სუხია-2009" განსაკუთრებით გამოირჩეოდა მონაწილეთა სიმრავლითაც და ოსტატობითაც, თუმცა მოქმედი სპორტსმენები მასში არ მონაწილეობენ. ამის უფლება მხოლოდ მოყვარულებს და იმ ოსტატებს აქვთ, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში არსად უასპარეზიათ ოფიციალურ შეჯიბრებაში.

ქალთა შორის სტარტზე 23 მოთხილამურე დადგა. აქ პირველობა არავის დაუთმო გუდაურელმა **თამარ გაგნიძემ** — 0:47.44; გამარჯვებულს 0,44 წამით ჩამორჩა ბაკურიანელი **მანანა წერეთელი**, მესამე ადგილზე კი თბილისელი **თაკო რობაქიძე** გავიდა — 0:50.76. ვაჟთა შეჯიბრებაში 70-ზე მეტი სპორტსმენი ჩაება. აქ ადგილები ასე განაწილდა: **1. ნუგზარ კიკნაძე** — 0:41.91. **2. გიორგი მახარაშვილი** — 0:42.69, **3. გიორგი თედიაშვილი** — 0:42.91. სამივე სპორტსმენი ბაკურიანელია. ქალებისთვისაც და ვაჟებისთვისაც შეჯიბრება გიგანტურ სლალომში ჩატარდა. სპორტულ ასპარეზობასთან ერთად მონაწილეთათვის და გულშემატკივრებისთვის ეს იყო აქტიური გართობა-დასვენების დაუვიწყარი დღე.

ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის", კავშირი „სუხია" და საზოგადოებრივი მაუწყებელი. შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ყველაფერი გააკეთა სასტუმრო „გუდაურის" ხელმძღვანელობამ.

**თენგიზ თომაშვილი**
**გუდაური-თბილისი**

კალათბურთი

საქართველოს XVIII ჩემპიონატი

# როცა მოხსნაზე მეტად სამქულიანი ფასობს

**თბილისი, სპორტის სასახლე**

**22 მარტი**

**ავიამშენი–შსს 82:62**

19:11, 15:20, 30:13, 18:18

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (10ქ, 3პ), მოსეშვილი (2ქ), ნიკოლაძე (17ქ, 3პ), კვიმსაძე (1ქ, 5მ), მათიაშვილი (2დ), ნინიაშვილი (9ქ, 7მ, 3პ), ნაცვლიშვილი (9ქ, 11მ, 3პ), პირველაშვილი (12ქ), შერმადინი (12ქ, 6მ), ბოისა, 8ქ, 4პ, 6მ), დ. ბერიშვილი (2ქ)

შსს: შენგელია (13ქ, 12მ), მიქაბერიძე (1ქ, 10მ), ბერუაშვილი (5ქ, 6მ, 3პ, 2დ), ბ. ნოზაძე (7ქ, 5მ), პატარაია (18ქ), ამაშუკელი (3ქ), ფაიქრიძე (5ქ, 7მ), აბულაძე (9ქ, 8მ), ი. ბაქრაძე (1ქ, 5მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**სასოფლო–ნტდ 83:77**

21:20, 25:17, 17:23, 20:17

სასოფლო: გულისაბედაშვილი (7ქ, 5მ, 3პ), მარხვაშვილი (19ქ), ტყეშელაშვილი (6ქ), ნივნივაძე (13ქ, 11პ), ათანელიშვილი (2ქ), ჩაჩიბაია (3ქ), ყველაშვილი (15ქ, 7), გ. ბარბაქაძე (18ქ), ბოქოლიშვილი

ნტდ-თბილისი: ჩიტაშვილი (2ქ, 4პ), ფაშაევი (12ქ, 6მ, 5პ), ნიფტალიევი (6ქ, 5პ, 5მ), როდუმტა (15ქ, 15მ, 3დ), ბახშიევი (12ქ, 4პ), დ. ბარბაქაძე (22ქ, 6მ), ათუაშვილი (8ქ), სუხიშვილი, სარიევი, ტეტელაშვილი

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**20 მარტი. რუსთავი**

**ენერჯი–მაკაბი 132:49**

37:17, 27:8, 27:14, 41:10

ენერჯი: გამყრელიძე (14ქ, 5პ), დვალიშვილი (23 ქ, 18მ, 3პ, 2დ), ლეჟავა (15ქ), დიდია (24ქ, 9მ, 4პ), ხმელიძე (14ქ, 6მ), ბაბიაშვილი (4ქ), ცეკვავა (7ქ, 5მ), მაჭავარიანი (6ქ, 6პ), უგრეხელიძე (9ქ, 6მ), აბაიშვილი (8ქ, 4პ), ტუჯანი (4ქ, 6მ, 3პ, 2დ), ჭოჭუა (4ქ)

მაკაბი: კილაძე (5ქ), ჩლაიძე (6ქ), ჯიქია (5ქ), არონია, ანთაძე (12ქ, 7მ), ლონდარიძე (14ქ, 10მ, 2დ), კოპალიანი (2ქ), აპმედიანი (3ქ), სუდაძე, ჯანგველაძე, მჭედლიშვილი, თევზაძე (2ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

**ბათუმი**

**ბათუმი–დინამო 65:92**

22:16, 26:19, 6:21, 11:36

ბათუმი: გვაზავა (3ქ), მაისურაძე, თავართქილაძე (2ქ, 12პ, 4ჩ), დოლიძე (6ქ, 3პ), კეშელავა (29ქ), ბოლქვაძე (22ქ, 11მ), შალიკიანი, კვერნაძე (3ქ)

დინამო: ნანიტაშვილი (4პ), სორდია (23ქ, 8მ, 7პ), ლაფანაშვილი (10ქ, 8მ, 4პ, 4ჩ), სიგუა (7ქ, 9პ, 4ჩ), დოლიძე, ვ. ბოლქვაძე, კორკოტაძე (2ქ), ქადარია (20ქ, 9მ), ხანიაშვილი (18ქ, 7მ), ხიზანიშვილი (12ქ, 7მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. მაჭავარიანი

გუშინ, სპორტის სასახლის დიქტორმა "სასოფლო"-"ნტდ-თბილისის" მატჩის ბოლოს გამოაცხადა: დასრულდა მატჩი საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებებს შორის. ქართველებმა 29:21 გაიმარჯვეს. ამას მოჰყვა ოვაციები, თუმცა სპორტის სასახლის ტრიბუნები მეჩხერად იყო შევსებული. ამის მიზეზი უთუოდ რაგბი უნდა ყოფილიყო – საკალათბურთო ტურის ცენტრალური მატჩი საქართველო-რუსეთის სარაგბო შეხვედრას დაემთხვა და ნამდვილად ვერავის გავამტყუნებთ, კალათბურთს რაგბი რატომ ამჯობინეთო. გაგახსენებთ, რომ 2002 წელს იმავე რუსეთთან გადამწყვეტ სარაგბო შეხვედრას საკალათბურთო ტურის მთავარი მატჩი დაემთხვა...

შეიძლება საკალათბურთო შეხვედრის გადატანის მოთხოვნა ზედმეტად თამამად ჟღერდეს, მაგრამ ამით კალათბურთიც მოიგებდა, მეტი გულშემატკივარი მივიდოდა და რაგბში რუსების დამარცხებითაც მეტი ქართველი გაიხარებდა.

როგორც მიხვდით, რაგბის გამოტოვებით ამ ფრაზების ავტორსაც გული დასწყდა, თუმცა სპორტის სასახლეში მოსაწყენად ნამდვილად ვერავინ მოიცალა.

ტურის ცენტრალურ მატჩში ორი თანაბარი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს – "სასოფლო" და "ნტდ-თბილისი". სტუდენტებს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავთ, ხოლო "ნახევრადბაქოელებს" – საუკეთესო წინა ხაზი. ჰოდა, გუშინდელ დაპირისპირებას უნდა გაერკვია დღესდღეობით ქართულ კალათბურთში მოხსნები უფრო მეტს წყვეტენ, თუ – სამქულიანები. წინასწარ გეტყვით: "სასოფლომ" 23-დან 13 სამქულიანი გამოიყენა (56.5 პროცენტი), ხოლო ნტდ-მ 21-დან – 4. "სასოფლომ" ბურთი 33-ჯერ მოხსნა, ხოლო ნტდ-მ - 44-ჯერ. როგორც ხედავთ, სხვაობა ორივე კომპონენტში დიდია. ამიტომაც გამოვიდა თანაბარი თამაში, თუმცა საბოლოოდ მაინც სტუდენტებმა იმარჯვეს – 83:77.

ორი სიტყვა მატჩის მიმდინარეობასაც შევანიოთ. საწყის წუთებზე **ნუგზარ კანდელაკის** შეგირდები დაწინაურდნენ – 14:6, თუმცა სასოფლოელებმა მეტოქის პერიმეტრი მთლიანად მოაშიშვლეს და 13:0 სპურტი მოაწყვეს – 19:14.

ისევ და ისევ ზუსტი შორეული ტყორცნების შედეგად მესამე პერიოდის მეცხრე წუთამდე **მიხეილ კობეშავიძის** სტუდენტები 63:51-ს იგებდნენ, თუმცა ნტდელებმა დროის უმოკლეს მონაკვეთში 9:0 გაქცევა მოაწყვეს და მესამე რაუნდი 63:60 დასრულდა.

მეოთხე პერიოდში სასოფლოელთა მწვრთნელმა თამაში "დაადინჯა", სწრაფმა იერიშებმა და სამქულიანებმა იკლო. შესაბამისად, იმატა საჯარიმოების რაოდენობამ. თანაგუნდელებს ფარქვეშიდან წამოეხმარა **გიორგი ყველაშვილი**, რომელიც რამდენჯერმე მეტოქის კალათს ეულად შეატოვა **ბექა ნივნივაძემ**. "ნტდ-თბილისის" მხრიდან იყო შორეული ტყორცნების მცდელობები, მაგრამ გუშინ ნუგზარ კანდელაკის გუნდს შეტევაში ბევრი არაფერი გამოსდიოდა.

ინდივიდუალურ სტატისტიკაზეც უნდა ვთქვათ. მატჩის სნაიპერი **გიორგი მარხვაშვილი** გახდა, რომელმაც 6-დან 5 სამქულიანი გამოიყენა და 19 ქულას გამორჩა. მასზე ერთით ნაკლები ჩააგდო **გიგი ბარბაქაძემ**, რომელიც სასოფლოელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იყო. ბექა ნივნივაძემ ორმაგი დუბლი შეასრულა – 13 ქულა, 11 პასი. ნტდ-ს რიგებში ორ კალათბურთელს გამოვარჩევთ, გიგი ბარბაქაძის უფროს ძმას, დათოს (22 ქულა) და **პლასიდე როდუმტას**, რომელიც შეტევაში მეტად აქტიური იყო – 15 ქულა, 15 მოხსნა.

ნაგების მიუხედავად "ნტდ-თბილისს" კარგი შანსი აქვს მეოთხე ადგილს თავი აარიდოს. ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გაურკვევია "სასოფლოს", რომელიც ბოლო ტურში "ავიამშენს" ეთამაშება. 25 მარტს, ოთხშაბათს ამ წყვილის გარდა "ნტდ-თბილისი"-თსუ-ს დაპირისპირება შედგება. გადახედეთ სატურნირო ცხრილს და დაინახავთ რომ სწორედ ეს ოთხეული გაინაწილებს მეორე-მეხუთე ადგილებს. მეოთხე-მეხუთეობა იმითაა ცუდი, რომ ნახევარფინალში გასვლის შემდეგ მეტოქე უთუოდ "ენერჯი" იქნება.

სპორტის სასახლეში გამართულ პირველ მატჩში შსს-მ კიდევ ერთი კარგი ტაიმი ჩაატარა – ვიცე-ჩემპიონ "ავიამშენს" საწყის 20 წუთში თანაბრად ებრძოლა, თუმცა მესამე პერიოდში ძალა აღარ ეყო და 13:30 წააგო.

ამ მატჩში მოედანზე დაბრუნდა ტრავმირებული **დავით ბერიშვილი**, რომელსაც ფეხის კუნთი ჰქონდა დაზიანებული.

ბათუმში ადგილობრივმა გუნდმა "დინამოსთან" წააგო. თბილისელებს გამარჯვებისკენ **ირაკლი სორდია** გაუძღვათ, რომელმაც 23 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა "დინამოს" მეფარე **ქადარიამ** – 20 ქულა, 9 მოხსნა.

სეზონი რუსთავში დაასრულა "მაქაბიმ". **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდებს სხვებზე ერთით მეტი, 18 მატჩი აქვთ ჩატარებული და ბოლო ტურში ისვენებენ. ვინაიდან ცნობილია, რომ ისინი პლეიოფში ვერ ითამაშებენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ "მაქაბისთვის" ჩემპიონატი დამთავრებულია. ახალგაზრდულ მეტოქესთან ბოლომდე დაიტვირთა რუსთაველთა ჭაბუკი მეფარე **აკაკი დვალიშვილი**, რომელმაც უმაღლეს ლიგაში პირადი რეკორდები დაამყარა – 23 ქულა და 18 მოხსნა მიითვალა.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 15 | 15 | 0 | 30 |
| 2. ავიამშენი | 15 | 11 | 4 | 26 |
| 3. სასოფლო | 15 | 11 | 4 | 26 |
| 4. ნტდ | 15 | 10 | 5 | 25 |
| 5. თსუ | 15 | 10 | 5 | 25 |
| 6. ბათუმი | 15 | 5 | 10 | 20 |
| 7. დინამო | 15 | 4 | 11 | 19 |
| 8. შსს | 15 | 2 | 13 | 17 |
| 9. მაკაბი | 16 | 0 | 16 | 16 |

ვაჟა სიმონიშვილი

**ლეგიონერები**

**ადრიატიკის ლიგა**

**ზადარი–ვოივოდინა 80:71**

ვლადიმერ ბოისა: 30 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**უნიკახა–ფუენლაბრადა 91:78**

ნიკოლოზ ცქიტიშვილი: 14 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი

**რეალი–ვალენსია 80:76**

თორნიკე შენგელია: 11 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა

**კახასოლი–მურსია 83:81**

ტაირონ ელისი: 30 წუთი, 16 ქულა. 1 მოხსნა, 2 პასი

**უკრაინის ჩემპიონატი**

**პოლტავა–კიევი 75:64**

მანუჩარ მარკოიშვილი: 38 წუთი, 21 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# ზაზამ სამი ჩაჭრა, კლიპერსმა ატლანტა გაჭრა

ზედიზედ შვიდი საშინაო შეხვედრის მოგების შემდეგ "ატლანტა ჰოქსი" "კლივლენდს" ესტუმრა და 96:102 დამარცხდა. **ლებრონ ჯეიმსის** თანაგუნდელი კლივლენდელები აღმოსავლეთის კონფერენციაში პირველ ადგილზე არიან. მათ 69-დან 56 მატჩი აქვთ მოგებული და ამავე კონფერენციის მეოთხე გუნდის, "ატლანტას" (41 მოგება, 29 წაგება) ძლევა არ გასჭირვებიათ.

საბოლოო ანგარიშს თუ დახედეთ, შეიძლება გაგიკვირდეთ – "კლივლენდმა" მხოლოდ 6 ქულის სხვაობით გაიმარჯვა და როგორ არ გაუჭირდაო. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მასპინძლებმა 20-ქულიან უპირატესობას პირველივე ტაიმში მიაღწიეს – 53:33. ამ დროს "ჰოქსის" მწვრთნელმა შემადგენლობა არაერთხელ შეცვალა, მაგრამ "კავალიერსის" შემჩერებელი ოპტიმალური ხუთეული ვერ მონახა. მეოთხე პერიოდის დასაწყისში "კლივლენდი" 18 ქულის სხვაობით იგებდა (81:63) და, მიუხედავად იმისა, რომ თავს მოდუნების უფლება მისცა, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა.

ზაზა ფაჩულიამ ქულამწირ პირველ პერიოდში თანაგუნდელებს 4 საჯარიმო შეაწია. ორქულიანები კი არცთუ ზუსტად ისროლა – 5-დან 1 ჩააგდო. მან "კლივლენდთან" სეზონის რეკორდი გაიმეორა – 3 ჩაჭრა მიითვალა. ამდენივე წართმევა ზაზას "კლიპერსთან" 14 იანვრის მატჩში ჰქონდა.

მორიგ მატჩს "ატლანტა" 23 მარტს "მინესოტასთან" შინ გამართავს.

**კლივლენდი–ატლანტა 102:96.**

ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა, 2 ფოლი, 1 შეცდომა.

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 04:10 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 02:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 09:43 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:33 | ფოლი: 1 |
| 09:33 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| 07:04 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 06:33 | ფოლი: 2 |
| 06:18 | საჯარიმოები: 2\1 (1ძ, 26:43) |
| 03:59 | საჯარიმოები: 2\1 (2ძ, 29:46) |
| 03:24 | ჩაჭრა: 1 (უილიამსს ჩაუჭრა) |
| 03:19 | შეცდომა: 1 |
| 01:50 | პასი: 1 (ევანსი 2ძ, 33:50) |
| 00:38 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 00:29 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:26 | ჩაჭრა: 2 (სმიტს ჩაუჭრა) |
| 00:26 | საჯარიმოები: 2\2 (4ძ, 35:53) |
| 00:28 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 09:08 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:05 | ჩაჭრა: 3 (ჯექსონს ჩაუჭრა) |
| 09:04 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:04 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 09:04 | ორქულიანი: 6ძ (76:87) |
| 09:04 | საჯარიმო: 1\0 |
| 07:00 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

სამთო-თხილამურობა

# ორი ქართველი კვარცხლბეკზე

ჩვენმა სამთო-მოთხილამურეებმა წარმატებით იასპარეზეს იტალიურ პრედაძოში, სადაც ამ ქვეყნის ახალგაზრდული პირველობა გაიმართა. შაბათს გიგანტურ სლალომში ორივე ცდის ფინიშს 74 მონაწილემ უწია. **ვახტანგ თედიაშვილი** მე-12 ადგილზე გავიდა, **ჯაბა გელაშვილი** - მე-14-ზე, ხოლო **კოტე ვახტანგიშვილი** - 22-ეზე. **ალექსი ბენიანიძემ** ვერ დაასრულა პირველი ცდა. ჩვენებურებმა კიდევ უფრო კარგად გუშინ იასპარეზეს, როცა სლალომში კვარცხლბეკის ორი ადგილი მოიპოვეს. პირველზე იტალიელი **ლუკა დე ალიპრანდინი** გავიდა, მეორე ადგილზე ვახტანგ თედიაშვილია, მესამეზე - კოტე ვახტანგიშვილი. თანამემამულეებს ბევრად არც 16 წლის ჯაბა გელაშვილი ჩამორჩა, რომელიც მე-6 ადგილზე გავიდა. როგორც ნაკრების თავკაცმა **გერა აბრამიშვილმა** გვითხრა, სამივე ქართველმა სლალომში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს რეიტინგი. ალექსი ბენიანიძეს ამჯერად მეორე ცდაზე მოეცარა ხელი. გოგონებში **ნინო ნიკლაურმა** სლალომში მე-8 ადგილი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების ლიდერი სხვა ნევრებთან ერთად არ იმყოფებოდა, **იასონ აბრამაშვილმა** გერმანულ ობერიოხში გერმანიის ჩემპიონატში იასპარეზა, სადაც მას სლალომში ხელი მოეცარა, ხოლო გიგანტურ სლალომში იასონი 28-ე ადგილზე გავიდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი

# ლა პალმასში, სამი ქართველით

ესპანეთის ქალაქ ლა პალმასში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში ორი ქართველია, **ეკა გორგოძემ** (601) 6:4, 6:3 მოუგო პირველ წრეში „უაილდ ქარდით" გერმანელ **იასმინ ვოირს**, რომელიც წყვილებში მსოფლიოს საუკეთესო ასეულში შედის. **სოფიო ქვაცაბაია** (661) პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ის მე-16 ნომრად განთესილ ფრანგ **ნატალი პიკეონს** (513), რომელთანაც კარიერაში ორჯერ აქვს ნაგებული. გორგოძის მეტოქე მეორე წრეში მე-6 ნომრად განთესილი ბრიტანელი **ემილი უებლეი-სმითია** (347). ამ ტურნირში ძირითადი ბადიდან ჩაებმება საქართველოს მეორე ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (212).

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)

# დღეს გაგამარუს ბედი წყდება

გუშინ დასავლეთის მე-8 მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ლიდერთა ხუთეულში მოხვედრის შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან - მე-4 მაეგაშირა **ტაკეკაძეს** რომ მორეოდა, 6-2 ბალანსის წყალობით ორი ოძეკის გვერდით დამკვიდრდებოდა სატურნირო ცხრილში.

კოკაიმ შაბათს მძიმეწონოსან **ივაკიამას** აჯობა, ქართველი სასწაულად დაუსხლტა თითქმის გამარჯვებულ ივაკიამას და ჰიკიოტოშის ილეთით ბაშოზე მე-5 გამარჯვება მოიპოვა. გუშინ „პატარა ტანკმა" ტაკეკაძემ კოკაის ოშიდაშით აჯობა. ლევანის ბალანსი 5-3-ია და დღეს გამარჯვების შემთხვევაში ქართველს კვლავ შეუძლია ლიდერთა შორის დაბრუნდეს. კოკაის მეტოქე მე-4 მაეგაშირა **იოშიკაძეა**. კოკაი იოშიკაძეს აქამდე შვიდჯერ შეხვდა და სამჯერ მოუგო.

ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ შაბათს **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ყოფილ კომუსუბი **შიმოტორის** აჯობა. სამწუხაროდ, ეს ეპიზოდური გაბრწყინება გამოდგა, გუშინ ჩვენებურმა მეხუთე მარცხი ინვნია, მას **ჩიოჰაკუჰომ** აჯობა. ტოჩინოშინს 3-5 ბალანსი აქვს და ბაშოზე მხოლოდ ორი მარცხის უფლებალა აქვს. მისი დღევანდელი მეტოქე 35 წლის **ტოიოძაკურაა**, ვისაც მხოლოდ ერთხელ შეხვდა და მოუგო.

ბაშოზე მეტოქეებს ერთმანეთის მიყოლებით იცილებენ დიდი ჩემპიონები **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო**. მათ 8-8 გამარჯვება აქვთ. იოკოძუნებს კვალში ორი ოძეკი უდგას, **კაიოს** და **კოტომიცუკის** 6-6 გამარჯვება აქვს.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მე-3 ნომერმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ოშიდაშით აჯობა ყოფილ ელიტელ **ჯუმონჯის**. ქართველს 3-1 ბალანსი აქვს და, შესაძლოა, კიდევ ერთი გამარჯვება ეყოს ძურიოს დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად. გუშინ ის ისვენებდა, დღეს გაგამარუ **კოტოიუტაკას** ხვდება, რომელიც ასევე მე-3 ნომერია მაკუშიტას დივიზიონში და ჩვენებურის მსგავსად 3-1 ბალანსი აქვს. მოკლედ, დღეს გაგამარუს კარიერაში უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლა ელის.

VII დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 8)-ივაკიამა (მ 10) 1:0 (ჰიკიოტოში), ტოჩინოშინი (მ 10)-შიმოტორი (მ 14) 1:0 (იორიკირი)**, ასაშორიუ (ი)-კისენოსატო (ს) 1:0, ჰაკუჰო (ი)-მიაბიამა (მ 3) 1:0, კოტოშოგიკუ (მ 2)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, კაიო (ო)-კიოკუტენჰო (კ) 1:0, ჰარუმაფუჯი (ო)-გოეიდო (კ) 1:0, კოტომიცუკი (ო)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, კოტოოშუ (ო)-ბარუტო (ს) 1:0, ტოჩიოძანი (მ 2)-კაკურიუ (მ 1) 1:0, ჰომაშო (მ 7)-ტოკიტენკუ (მ 3) 1:0, ამინიშიკი (მ 5)-ტაკეკაძე (მ 4) 1:0.

VIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 8)-ტაკეკაძე (მ 4) 0:1 (ოშიდაში), ტოჩინოშინი (მ 10)-ჩიოჰაკუჰო (მ 13) 0:1 (ჰიკიოტოში)**, ჰაკუჰო (ი)-ბარუტო (ს) 1:0, ასაშორიუ (ი)-მიაბიამა (მ 3) 1:0, კოტომიცუკი (ო)-კაიო (ო) 1:0, კაკურიუ (მ 1)-ჰარუმაფუჯი (ო) 1:0, ტოკიტენკუ (მ 3)-კოტოოშუ (ო) 1:0, ჩიოტაიკაი (ო)-კისენოსატო (ს) 1:0, გოეიდო (კ)-კიოკუტენჰო (კ) 1:0, კოტოშოგიკუ (მ 2)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, ტოჩიოძანი (მ 2)-ამინიშიკი (მ 5) 1:0, ჰომაშო (მ 7)-იოშიკაძე (მ 4) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 8-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა).6-2: კაიო (ოძეკი), კოტომიცუკი (ოძეკი). ... 5-3: კოკაი (მაეგაშირა 8)... 3-5: ტოჩინოშინი (მ 10).

IX დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 8)-იოშიკაძე (მ 4), ტოჩინოშინი (მ 10)-ტოიოძაკურა (მ 16), ასაშორიუ (ი)-ბარუტო (ს), ჰაკუჰო (ი)-კოტომიცუკი (ო), კოტოოშუ (ო)-ჰარუმაფუჯი (ო), კაიო (ო)-ჩიოტაიკაი (ო), კისენოსატო (ს)-ჰოკუტორიკი (მ 1), გოეიდო (კ)-კაკურიუ (მ 1), კიოკუტენჰო (კ)-კოტოშოგიკუ (მ 2), ტოჩიოძანი (მ 2)-მიაბიამა (მ 3), ტოკიტენკუ (მ 3)-ტაკამისაკარი (მ 7), ტაკეკაძე (მ 4)-ჰომაშო (მ 7).**

ნიკოლოზ ნეფარიძე

რაგბი. ექვსი ერი



# სამყურების დიდი სლემი

ირლანდიის მორაგბეთა ნაკრებმა თავის ისტორიაში მეორედ დიდი სლემი შეასრულა. სამყურებმა ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში ყველა შეხვედრა მოიგო. ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში კარდიფში „მილენიუმზე" გაირკვა. ირლანდიის ნაკრებმა მასპინძლები უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში - 17:15 დაამარცხა და ევროპის საუკეთესო გუნდი შეიქნა.

პირველი ნახევარი მასპინძლებმა **სტეფან ჯოუნსის** ორი საჯარიმო დარტყმის წყალობით მოიგეს - 6:0. ორივე გუნდი საკმაოდ მოტივირებული იყო და რამდენჯერმე მოედანზე მორაგბეებმა მუშტი-კრივის გამართვა სცადეს, რაც ასეთი მაღალი დონის შეხვედრებში იშვიათად ხდება. თუმცა ამ შეხვედრის ფასი იმდენად ძვირი იყო, რომ მოთამაშეთა ასეთი საქციელი შეძლება გავამართლოთ კიდეც. ყოველივე ეს მატჩის არბიტრმა, ინგლისელმა **უენ ბარნსმაც** გაითვალისწინა და მოედნიდან არავინ გაუძევებია.

თუ პირველ ტაიმში თამაში თანაბარი იყო, მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში ირლანდიელებმა აშკარად დაჯაბნეს მასპინძლები. 44-ე წუთზე სამყურების ლიდერმა, შუამარბმა **ბრაიან ოდრისკოლმა**, რომელიც ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო, უელსელები დაალელოვა, გარდასახვა **რონან ოგარამ** დაარტყა ზუსტად - 7:6.

ცხადია მინიმალური სხვაობით ანგარიშში დაწინაურება ირლანდიელებს დამშვიდების საფუძველს არ აძლევდა. არც დამშვიდებულან და სამ წუთში უკვე გარემარბმა **ტომი ბოუმ** იყოჩაღა. ოგარამ ისევ გარდასახა და სხვაობა რვა ქულამდე გაიზარდა - 14:6.

მომდევნო ათ წუთში უელსელმა სტეფან ჯოუნსმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა - 12:14. მატჩის მიწურულს მოვლენები დრამატულად განვითარდა. 76-ე წუთზე იმავე ჯოუნსმა არეკნით მასპინძლები დააწინაურა - 15:14. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. რონან ოგარამ ორ წუთში არეკნითვე უპასუხა და თავისიანებს -17:15 მოაგებინა.

მეორე ადგილი გათამაშებაში ინგლისს ერგო. პომებმა შინ თვიქნემზე შოტლანდიის ნაკრებს სძლიეს - 26:12 და კალკუტას თასი დაიბრუნეს, რომელიც ამ ორი ქვეყნის ნაკრებების შეხვედრებში თამაშდება.

სტუმრებმა ინგლისელებს დასაწყისშივე ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს და მე-9 წუთზე **კრის პატერსონის** საჯარიმო დარტყმით ანგარიშიც გახსნეს - 3:0. ინგლისელებმა ამის შემდეგ მატჩის სადავეები ხელთ კი იგდეს, მაგრამ შედეგიანი შეტევის განხორციელება მხოლოდ 23-ე წუთზე შეძლეს. ლელო გარემარბმა **უგო მონიმ** გაიტანა, რომელიც ამ შეხვედრაში ინგლისელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. **ტობი ფლუდმა** გარდასახვა ვერ გაიტანა - 5:3.

რვა წუთში თავი უკვე მასპინძელთა შუამარბმა **რიკი ფლუთმა** გამოიჩინა, ფლუდმა ამჯერად გარდასახვის გატანა შეძლო. მანვე ტაიმის მიწურულს კიდევ ერთი საჯარიმოც გაიტანა და მასპინძლები 12 ქულით დაწინაურდნენ - 15:3. მეორე ნახევარში შოტლანდიელებს თამაშის გადარჩენის შანსი არ მისცემიათ. მათ მხოლოდ სამი საჯარიმოს გატანა შეძლეს. ინგლისელთა ანგარიშზე კი, ერთი გარდაუსახავი ლელო და ორი საჯარიმოა - 26:12.

უხვლელოიანი გამოდგა იტალიელთა დაპირისპირება საკუთარ მოედანზე საფრანგეთის ნაკრებთან. ფრანგებმა მასპინძლებს შვიდი ლელო გაუტანეს, რაზეც იტალიელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. „ლე ბლომ" არაფრის მომცემი შეხვედრა - 50:8 მოიგო.

ბესიკ ჯანგავაძე

**ექვსი ერი**

**V ტური**

**უელსი-ირლანდია 15:17**

**უელსი** (15-9) ბერნი (შანკლინი 70), მ.ჯოუნსი, რობერტსი, ჰენსონი, შ.ვილიამსი, ჰუკი (ს.ჯოუნსი 75), ფილიპსი. (1-8) ეპი, ბენეტი (რისი 57), რ.თომასი, ჩარტერისი (დევისი 66), ა.ჯოუნსი, ჯ.თომასი, დ.ჯოუნსი, პაუელი.

**4ს,ა:** ს.ჯოუნსი

**ირლანდია** (15-9) ქარნი (მერფი 75), ბოუ, ოდრისკოლი, დარსი, ფიცჯერალდი, ოგარა, სტრინგერი (ოლირი 65). (1-8) ჰორანი, ბესტი, ჰეისი, ოკალაჰანი, ოკონელი, ფერისი, ვოლესი, ლეამი (ჰიზლიფი 30).

**2ლ:** ოდრისკოლი, ბოუ. **2გ,ა:** ოგარა

**მსაჯი:** უეინ ბარნსი (ინგლისი)

**ინგლისი-შოტლანდია 26:12**

**ინგლისი** (15-9) არმითიჯი, კეიტო, თინდოლი, ფლუთი, მონი (თაითი 70), ფლუდი (გუდი 40), ელისი (კერი 55). (1-8) შერიდანი, მირსი (ჰართი 57), ვიქერი, ბორსვიქი, შოუ, ქროფთი, ვორსლი (ქენედი 68), ისთერი.

**3ლ:** მონი, ფლუთი, თაითი. **2ს,გ:** ფლუდი. **ა:** გუდი.

**შოტლანდია** (15-9) პატერსონი, დანიელი, მ.ევანსი, მორისონი (დე ლუკა 70), ტ.ევანსი, გოდმენი, ბლერი (კაზიტერი 51). (1-8) დიკინსონი, ფორდი (ჰალი 57), მურეი, ვაითი, ჰემილტონი, სთრეოქოში, ბარქლეი (გრეი 67), ტეილორი.

**4ს:** პატერსონი

**მსაჯი:** მარიუს იონკერი (ს.აფრიკა)

**იტალია-საფრანგეთი 8:50**

**იტალია** (15-9) მარკატო (ორკუერა 70), რუბინი, კანალე, მირკო ბერგამასკო, პრატიკეტი, მაკლეინი, გრიფინი (კანავოზიო 66). (1-8) პერუჯინი, ჯილარდინი, ნიეტო (კასტრაჯოვანი 50), დელაპე (დელ ფავა 50), ბორტოლამი (სოლე 64), ძანი, მაურო ბერგამასკო, პარისე.

**ლ:** პარისე, **ს:** მარკატო.

**საფრანგეთი** (15-9) მედარი, მალზიო, ბასტარო (ფრიცი 48), ჟოზიონი, ემონსი, ტრინ-დუკი (ტრაი 48), პარა. (1-8) ფორი (დომინგო 51), შარუევსკი (კაისერი 59), მარკონე, ნალე, ტიონი (ბონერი 48), დიუზოტუარი, შაბალი, არინორდოკი (პიკამოლი 68).

**7ლ:** მედარი (2), მლზიო, ტრინ-დუკი, შაბალი, ემონსი. **3გ,3ს:** პარა.

**მსაჯი:** ალან როლანი (ირლანდია)

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ირლანდია | 5 | 5 | 0 | 0 | +48 | 10 |
| 2.ინგლისი | 5 | 3 | 0 | 2 | +54 | 6 |
| 3.საფრანგეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +23 | 6 |
| 4.უელსი | 5 | 3 | 0 | 2 | +19 | 6 |
| 5.შოტლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | -23 | 2 |
| 6.იტალია | 5 | 0 | 0 | 5 | -121 | 0 |

ველოსპორტი. პროტურის სერია. მილანი-სან რემო

# არმსტრონგის ფიასკო

2009 წლის სეზონის პირველი კლასიკური რბოლა იტალიაში ჩატარდა. წლევანდელი მილანი-სან რემო, პირველ რიგში იმით იწვევდა ყურადღებას, რომ მასში ლეგენდარული ამერიკელი **ლენს არმსტრონგი** მონაწილეობდა. დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ, ეს იყო ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონის პირველი გამოსვლა ევროპაში.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რბოლა ლენსის სრული კრახით დასრულდა. ამერიკელი 125-ე მივიდა ფინიშთან და გამარჯვებულთან 8 წუთი და 19 წამი წააგო.

ბუნებრივია, რბოლის შემდეგ ჟურნალისტები არმსტრონგის ასეთი სუსტი გამოსვლის მიზეზებით დაინტერესდნენ, მაგრამ ლენსმა უარი თქვა მათთან საუბარზე და მხოლოდ ის განაცხადა, რომ საინტერესო რბოლა იყო და ფიზიკურად თავს კარგად გრძნობდა.

ასეთი დაბალი შედეგის მიუხედავად, არმსტრონგის მარცხი გასაკვირი მაინც არ ყოფილა. აქამდე ის ექვსჯერ მონაწილეობდა მილან-სან რემოზე და საუკეთესო შედეგად 1996 წლის რბოლაში დაკავებული მე-11 ადგილი იყო.

არმსტრონგისთვის ეს მესამე რბოლა იყო ველოსპორტში დაბრუნების შემდეგ. იანვარში მან 29-ე ადგილი დაიკავა ავსტრალიაში გამართულ Tour Down Under-ში, ხოლო კალიფორნიის ტურის საერთო ჩათვლაში მეშვიდე პოზიცია ერგო. ლენსი ორშაბათიდან ხუთდღიან "კასტიალის ვუელტაში" ჩაებმება.



მილანი-სან რემოს ტრიუმფატორი ბრიტანელი **მარკ კავენდიში** გახდა. მან და გერმანელმა **ჰაინრიხ ჰაუსლერმა** ერთდროულად დაასრულეს რბოლა და ფოტოფინიშით გამარჯვება ბრიტანელ ველომრბოლს მიანიჭეს. 23 წლის კავენდიში პირველი ბრიტანელია 1964 წლის შემდეგ, ვინც ეს კლასიკური ერთდღიანი რბოლა მოიგო.

**მილანი-სან რემო**

1. **კავენდიში** (ბრიტანეთი) - 6:42,31; 2. **ჰაუსლერი** (გერმანია) - იგივე დრო; 3. **ჰუშოვდი** (ნორვეგია) - +0.2; 4. **დევისი** (ავსტრალია) - იგივე დრო; 5. **პეტაკი** (იტალია) - იგივე დრო; 6. **ბენატი** (იტალია) - იგივე დრო.

გია თვალაბეიშვილი

ფორმულა 1

# ახალი წესები მომავალი წლიდან?

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) გამოაცხადა, რომ, შესაძლოა, ქულათა დარიცხვის ახალი სისტემის ამოქმედებამ ერთი წლით გადაიწიოს. FIA ანგარიშს უწევს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების აზრს - საჯინიბოების ხელმძღვანელებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ჩემპიონის გამოვლენის ახალი წესის გამო. კერძოდ, ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციამ (FOTA) ეჭვი შეიტანა მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. FOTA-ს მიაჩნია, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაუშვებელია რეგლამენტში ცვლილების შეტანა პირველობის მონაწილეთა თანხმობის გარეშე.

*"17 მარტს FIA-ის მსოფლიოს საბჭომ უარყო FOTA-ის მიერ შემოთავაზებული ქულათა დარიცხვის ახალი სისტემა (12-9-7-5-4-3-2-1) და მოიწონა ცვლილება, რომელიც ფორმულა 1-ის კომერციულ უფლებათა მფლობელმა ბერნი ექლსტოუნმა შემოგვთავაზა.*

*თუ რაიმე მიზეზთა გამო გუნდები არ ეთანხმებიან ახალ სისტემას, მისი შემოღება 2010 წლამდე გადაიდება",* - წერია FIA-ის ოფიციალურ წერილში.

შეგახსენებთ, რომ ფედერაციის მსოფლიოს საბჭომ გადაწყვიტა ჩემპიონი გამარჯვებების რაოდენობით გამოავლინოს. სეზონის ტრიუმფატორი ის პილოტი გახდება, ვისაც ყველაზე მეტი ეტაპი ექნება მოგებული. ქულათა დარიცხვის ძველი სისტემა (10-8-6-5-4-3-2-1) ძალაში რჩება და ქულებს იმ შემთხვევაში დათვლიან, თუ ტიტულისთვის მებრძოლ პილოტებს ქულათა ერთნაირი რაოდენობა ექნებათ.

გია თვალაბეიშვილი

# ბულგარეთს ფორმულა უნდა

ბულგარეთი ფორმულა 1-ის ეტაპის გამართვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. ქვეყნის მოტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბოგდან ნიკოლოვმა** განაცხადა, რომ უკვე შეგროვილია თანხა 2011 წელს მოტოგრანპრიში ეტაპის ჩასატარებლად და ახლა ეს ორგანიზაცია ფორმულა 1-ის ეტაპის მასპინძლობის შესაძლებლობას განიხილავს.

როგორც ბულგარული პრესა წერს, თითქმის მიღწეულია შეთანხმება ფორმულა 1-ის ფაქტობრივ მფლობელ **ბერნი ექლსტოუნთან**. როგორც კი კონტრაქტს ხელი მოეწერება, ბულგარული მხარე მაშინვე ახალი ტრასის მშენებლობას დაიწყებს.

*"ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ კვირას ველით",* - ამბობს ბოგდან ნიკოლოვი.

თუმცა ბულგარეთში მოტოსპორტის ფედერაციის ალტერნატიული ორგანიზაცია - საავტომობილო ფედერაცია არსებობს, რომლის პრეზიდენტ **გეორგი იანკულოვს** ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება აქვს. მას მიაჩნია, რომ ასეთი გრანდიოზული გეგმები არ შეესაბამება ქვეყანასა და მთლიანად მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას: *"ამ იდეის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის სიტუაციაში ეს რთული ამოცანა იქნება, რადგან სპონსორები მასიურად ტოვებენ ავტოსპორტს".*

გია თვალაბეიშვილი

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**20 მარტი**

**ნიუ ჯერსი-მინესოტა 4:0**

0:0, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ელიაში-29, 2:0 ჯონტა-18 (პარიზე-45, მოტო-13), 3:0 ოდუია-7 (კლარკსონი-14, შენეპანი-7), 4:0 ელიაში-30 (პარიზე-46, მარტინი-24).

**კაროლინა-აილენდერსი 5:4**

2:0, 1:4, 2:0

**გოლები:** 1:0 კულენი-21 (რეი უიტნი-41, კორვო-18), 2:0 ლაროუზი-15 (კულენი-21, რეი უიტნი-42), 2:1 ნილსენი-6 (ოკსოპო-15, ვიტი-8), 2:2 პარკი-12 (ჯეკმენი-3, მაკამონდი-9), 2:3 ჟერვე-2 (ჰილბერტი-15, ჯეკმენი-4), 2:4 ოკსოპო-17 (მტრაიტი-38, ნილსენი-21), 3:4 ტ. რუუტუ-22 (ე. კოული-19), 4:4 კულენი-22 (ბრინდამორი-29, კორვო-19), 5:4 ლაროუზი-16 (რეი უიტნი-43, კორვო-20).

**ბაფალო-ფილადელფია 4:6**

0:1, 3:3, 1:2

**გოლები:** 0:1 მ. რიჩარდსი-28 (ტიმონენი-33), 1:1 ვანეკი-35 (პომინვილი-36, კონოლი-20), 2:1 მური-13 (კალეტა-3, პეი-13), 2:2 საიმონ განიე-28 (მ. რიჩარდსი-45, ჟირუ-11), 3:2 დ. როი-26 (პეხტი-13, სტეფორდი-24), 3:3 ბრიერი-6 (მ. კარლი-14, ემემი-8), 3:4 ბრიერი-7 (მ. რიჩარდსი-46, მ. კარლი-15), 3:5 ნუბლი-25 (ჟირუ-12, ტიმონენი-34), 3:6 ჯ. კარტერი-39 (ტიმონენი-35), 4:6 ბატლერი-1 (აფინოგენოვი-13, მური-30).

**ჩიკაგო-ედმონტონი 4:5 (ბ)**

2:2, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პენერი-15 (გრებეშკოვი-28, ჰემსკი-36), 1:1 ბოლანდი-17 (სიბრუკი-13, კეიტი-29), 1:2 კოლიანო-17 (რედო-7, პიზანი-7), 2:2 ბარიში-6 (ბ. კემპბელი-39, ფრეზერი-11), 2:3 მორო-14 (პენერი-18, ბროძიაკი-14), 3:3 ბარკერი-6 (ბოლანდი-25, ჰავლატი-39), 3:4 სემ განიე-14 (ნილსონი-18, როლოსონი-1), 4:4 ჰავლატი-22 (სიბრუკი-14, კეიტი-30).

**ბულიტები გაიტანეს:** ო'სალივანი (ედმონტონი), კოტალიკი (ედმონტონი).

**პიტსბურგი-ლოს ანჯელესი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კროსბი-28, 2:0 მალკინი-33 (კროსბი-66, გონჩარი-9), 3:0 კენედი-13 (კუკი-18, გილი-6), 4:0 გერინი-19 (მალკინი-71), 4:1 პანძუში-17 (დოუტი-19, კოპიტარი-36).

**ატლანტა-დეტროიტი 3:6**

0:1, 0:2, 3:3

**გოლები:** 0:1 რაფალსკი-10 (ფრანცენი-20, ზეტერბერგი-35), 0:2 დაციუკი-29 (ფრანცენი-21, ერონვალი-40), 0:3 ჰუდლერი-21 (ლებდა-10, ბ. სტიუარტი-13), 0:4 ფრანცენი-30 (ლიდსტრიომი-36, ზეტერბერგი-36), 1:4 ლიტლი-31 (ტ. უაიტი-45, ვიაჩ. კოზლოვი-43), 1:5 მარიან პოსა-36 (ზეტერბერგი-37, ლიდსტრიომი-37), 2:5 ვიაჩ. კოზლოვი-21 (ენსტრიომი-19, კოვალჩუკი-43), 2:6 კლირი-14 (ზეტერბერგი-38, მარიან პოსა-28), 3:6 კ. სტიუარტი-4 (ბოგოსიანი-8, კრაბი-5).

**კალგარი-სენტ ლუისი 2:3**

0:1, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ოში-11 (ბეკსი-21), 1:1 კამალერი-35 (ო. იოკინენი-24, იგინლა-51), 2:1 ბოიდი-11 (იგინლა-52, ო. იოკინენი-25), 2:2 ე. მაკდონალდი-12 (ბოიესი-32, ჯეკმენი-15), 2:3 მაკლემანი-12 (სტენი-17, კრომბინი-9).

**21 მარტი**

**სან ხოსე-დალასი 5:2**

2:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ლ. ერიქსონი-33 (ბ. მორისონი-13, რიბეირო-49), 1:1 ჯ. ტორნტონი-23 (მარლო-33, ბოილი-36), 2:1 სეტოგუჩი-26 (ლუკოვიჩი-7, პაველსკი-29), 3:1 პაველსკი-21, 4:1 მ. მიხალეკი-21 (სეტოგუჩი-30, პაველსკი-30), 4:2 რობიდასი-3 (გროსმანი-30, ოტი-21), 5:2 მარლო-37.

**მონრეალი-ტორონტო 2:5**

0:2, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 კულემინი-12 (პონიკაროვსკი-31, გრაბოვსკი-20), 0:2 გრაბოვსკი-18 (პონიკაროვსკი-32, შენი-9), 0:3 პონიკაროვსკი-20 (გრაბოვსკი-21, კულემინი-13), 0:4 პონიკაროვსკი-21 (კულემინი-14, კუბინა-26), 1:4 ლაპიერი-13 (ჰიგინსი-9), 2:4 ლაპიერი-14 (ტანგეი-19, ო'ბირნი-5), 2:5 ჯ. ბლეიკი-25 (გრაბოვსკი-22, სტრალმანი-12).

**ოტავა-აილენდერსი 5:2**

0:0, 4:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ნილი-3 (ი. რუუტუ-13), 2:0 კუბა-3 (ალფრედსონი-46, ბელი-12), 3:0 ფიშერი-12 (ფოლინო-10, შენონი-8), 4:0 ჰიტლი-34 (სპეცა-37, ალფრედსონი-47), 4:1 ბეილი-4 (კომო-17, ნილსენი-22), 5:1 ფოლინო-16 (ალფრედსონი-48, ბელი-13), 5:2 ბეილი-5 (ოკსოპო-16, ტამბელინი-7).

**რეინჯერსი-ბაფალო 5:3**

1:0, 3:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ნესლუნდი-22 (მ. სტაალი-12, ანტროპოვი-28), 2:0 დრური-18 (მარა-14, ანტროპოვი-29), 2:1 პეი-10 (მური-31, აფინოგენოვი-14), 3:1 კელეპანი-18 (დუბინსკი-27), 4:1 ჟერდიოვი-21 (გომესი-38, ეიველი-9), 4:3 მაკარტური-13 (გოსტადი-16, კალეტა-4), 4:3 ლიდმანი-3 (ვანეკი-23, პომინვილი-37), 5:3 კელეპანი-19 (სიოსტრიომი-4, ჟირარდი-14).

**კაროლინა-ვაშინგტონი 4:1**

0:0, 1:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ბრინდამორი-13 (ი. იოკინენი-16, სამსონოვი-30), 1:1 მ. გრინი-28 (ბექსტრიომი-57, ოვეჩკინი-44), 2:1 პიტკანენი-7 (ე. სტაალი-31, ლაროუზი-12), 3:1 ბაბჩუკი-12 (საიდენბერგი-22, რეი უიტნი-44), 4:1 კორვო-14.

**ფლორიდა-კოლამბუსი 1:3**

1:0, 0:0, 0:3

**გოლები:** 1:0 ოლეში-3 (ტარნავსკი-5, მაკლინი-10), 1:1 ტორესი-9 (ჰუსელიუსი-30, რასელი-17), 1:2 ტორესი-10 (ვეკა-17), 1:3 ვერმეტი-14.

**ტამპა ბეი-ატლანტა 3:4 (ბ)**

0:2, 3:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-22 (ენსტრიომი-20, კ. არმსტრონგი-12), 0:2 ტ. უაიტი-20 (ვიაჩ. კოზლოვი-44, კოვალჩუკი-44), 1:2 სტემკოსი-17 (კრაიჩეკი-14, სენტ ლუისი-46), 2:2 სტემკოსი-18 (ლეშოფი-4, ლეკავალიე-38), 2:3 კოვალჩუკი-37 (ტ. უაიტი-46, ენსტრიომი-21), 3:3 პროსპალი-18 (კრაიჩეკი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა).

**ფინიქსი-ვანკუვერი 5:1**

1:0, 3:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ვინიკი-3 (ზაუერი-6, პანეალი-18), 2:0 დოუნი-27 (იენდლი-23, კალინინი-15), 3:0 ჟოვანოვსკი-7 (რაინპრეხტი-23, პრუხა-9), 4:0 ტიხონოვი-8, 5:0 ლომბარდი-12 (აპშოლი-18), 5:1 ბაროუზი-24 (ედლერი-23, რ. ჯონსონი-6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# მიურეის კომპლექსი

ინდიანუელსის მამაკაცთა ტურნირის ნახევარფინალები იმ ჩოგბურთელთა გამარჯვებით დასრულდა, რომლებიც თავიანთ მეტოქეებს ურთიერთშეხვედრებში უგებდნენ. და ამ ეტაპმა მორიგი თავის ტკივილი გაუჩინა **როჯერ ფედერერს**.

შვეიცარიელმა ისევ ვერ მოახერხა **ენდი მიურეის** დამარცხება. ეს ჩოგბურთელები მერვედ შეხვდნენ ერთმანეთს და მეექვსედ გამარჯვება ბრიტანელმა იზეიმა. რაც მთავარია, შარშანდელი სექტემბრიდან მოყოლებული, მიურეიმ ზედიზედ მეოთხედ მოუგო როჯერს. აქამდე ასეთი რამ არავის გაუკეთებია. მანამდე ფედერერი ზედიზედ სამჯერ არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანს** ჰყავდა დამარცხებული.

შაბათის ნახევარფინალი ფედერერისთვის კარგად დაიწყო. მეოთხე გეიმში შვეიცარიელმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიილო. და უცებ, ერთი ხელის მოსმით როჯერის თამაშში ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა. ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე და საქმე იქამდე მივიდა, რომ მიურეიმ არათუ გადაარჩინა თავისი გეიმი, ცოტა ხანში შვეიცარიელის მოწოდებაც აიღო. პარტიის ბოლოს ფედერერმა კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა მეტოქეს და მიურეის სეტზე ჩაწოდებაც არ დასჭირდა პარტიის მოსაგებად - 6:3.

ფედერერს სასწრაფოდ რაღაც უნდა ელონა და მან მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება. როჯერმა მეორე სეტის დასაწყისშივე შეუტია მიურეის და როგორც იქნა, აიღო პირველი ბრეიკი. მაგრამ მსოფლიოს მეორე ჩოგანი სტაბილურობით ვერ დაიკვეხნიდა და ენდიმაც შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება. იქვე, შოტლანდიელმა მეორე ბრეიკისთვისაც იბრძოლა, მაგრამ ბოლო მომენტში არ გაუმართლა. როჯერმა მომენტი დაიჭირა და ის, რაც ენდიმ ვერ შეძლო, მან გააკეთა - მეორე ბრეიკმა შვეიცარიელს სეტი მოაგებინა - 6:4.

თითქოს მესამე სეტში ფსიქოლოგიური უპირატესობა შვეიცარიელის მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მოვლენათა განვითარება ძალიან ჰგავდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის გადამწყვეტ სეტს - პირველმა სამმა გეიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, შემდეგ კი ფედერერმა საკუთარი შეცდომების ხარჯზე დათმო თავისი მოწოდება. მაგრამ აქ მიურეიმ შეძლო ის, რაც მელბურნში **რაფაელ ნადალმა** ვერ გააკეთა - მეტოქის ზედიზედ ორი მოწოდება მოიგო. თუმცა სიტყვა "შეძლო" ნაკლებად შეესაბამებოდა ამ სიტუაციას - ამჯერადაც ფედერერმა დაურიგა მეტოქეს საჩუქრები. თუმცა ბოლოს როჯერმა მიღებაზე ბრძოლა გაუმართა ენდის, ორი ბრეიკ-პოინტიც მიიღო, მაგრამ ეს დროებითი წარმატება იყო და მიურეიმ მეოთხე მატჩ-პოინტიდან გაიფორმა ფინალის საგზური.

შოტლანდიელის მეტოქე იმ შეხვედრაში ირკვეოდა, რომელსაც მთელი ამერიკა მოუთმენლად ელოდა. მიურეის სეხნია - **ენდი როდიკი** რაფაელ ნადალს ხვდებოდა. რა თქმა უნდა, როდიკს ძალიან უნდოდა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თავის გამოჩენა, მით უმეტეს, რომ ინდიან უელსი ერთადერთი ამერიკული "მასტერსია", რომელიც მას არასოდეს მოუგია.

რაფაელის მოწოდებაზე პირველივე გეიმში როდიკმა ბრეიკ-პოინტი მიილო, მაგრამ ესპანელმა მალე გამოასწორა სიტუაცია და პრობლემები აღარ შექმნია, მეშვიდე გეიმში კი თავისი საფირმო შემოვლითი დარტყმებით ბრეიკი გაიფორმა. როდიკმა დაკარგული მოწოდების დაბრუნება ვეღარ შეძლო - 6:4.

მეორე სეტი უფრო საინტერესო იყო. ნადალმა სწრაფად გააკეთა ბრეიკი, მაგრამ იქვე, თავისი შეცდომებით გაათანაბრა ანგარიში. რაფა მეორედ წინ ისევ მეშვიდე გეიმში გაიჭრა და თითქოს მატჩმა ინტრიგაც დაკარგა, მაგრამ ესპანელი ვერ ეღირსა მატჩზე ჩაწოდებას, ტაიბრეიკში კი როდიკი დაწინაურდა კიდეც, თუმცა ამერიკელს ძვირად დაუჯდა თავის მოწოდებაზე ზედიზედ ორი ბურთის წაგება. საერთო ჯამში, ენდი ცუდად არ გამოიყურებოდა და მან დაამტკიცა, რომ ამ სეზონში მისი კარგი შედეგები შემთხვევითობა სულაც არ გახლავთ.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6) 6:2, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 7)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 6:3, 6:2.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ენდი როდიკი (აშშ, 7) 6:4, 7:6 (4); **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) 6:3, 4:6, 6:1.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 4)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8) 6:3, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 5)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:2, 6:3.



კრივი

# კლიჩკოს ცხრა რაუნდი დასჭირდა



გასული უიქ ენდის მთავარ ბრძოლაში **ვიტალი კლიჩკომ** დაამარცხა კუბელი **ხუან კარლოს გომესი** და შეინარჩუნა სუპერმძიმე წონაში WBC-ის საჩემპიონო ქამარი. უკრაინელმა წინასამატჩო დაპირება ვერ აასრულა და მეხუთე რაუნდში ნოკაუტში ვერ გაგზავნა მოწინააღმდეგე. უფრო მეტიც, ბრძოლის საწყის რაუნდებში ოდნავი უპირატესობა კუბელ მოკრივეს ჰქონდა. მაგრამ შეხვედრა მაინც პროგნოზირებადი შედეგით დასრულდა და კლიჩკომ მეცხრე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა.

ბრძოლის წინ პატარა სკანდალს ჰქონდა ადგილი. ხუან კარლოს გომესის მენეჯერ **აჰმეთ ონერს** არ გამოპარვია, რომ შტუტგარტის სპორტულ დარბაზში დაგებული რინგი სტანდარტულზე ოთხი ნაბიჯით მოკლე იყო. კუბელის გუნდი ბრძოლის გაუქმებით დაიმუქრა, მაგრამ ორივე მხარის მენეჯერთა მოლაპარაკებების შემდეგ, ყველა პრობლემა მოგვარდა და მოკრივეები რინგზე გავიდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება უკრაინელის მორიგი მეტოქე. WBC-მა ცოტა ხნის წინ უკრაინელს **ოლეგ მასკაევთან** ბრძოლა დაავალდებულა და სავარაუდოდ, სწორედ ეს რუსი უნდა გახდეს ვიტალის შემდეგი მოწინააღმდეგე, მაგრამ უკრაინელმა ერთხელ უკვე განაცხადა, რომ არ სურს მასკაევთან შეხვედრა, რადგან ეს იქნება ურეიტინგო და მისთვის არაფრისმომცემი ბრძოლა.

**ბრძოლის სტენოგრამა**

**I რაუნდი.** გომესმა პირველივე წუთებიდან შეუტია უკრაინელს, მაგრამ მისი დარტყმები ზუსტი და სახიფათო არ ყოფილა.

თანაბარი რაუნდი. გომესი პრესინგს მიმართავს და ეს არც ისე ცუდად გამოსდის. კლიჩკო ფრთხილად მოქმედებს და არ ცდილობს კუბელის ტემპის აყოლას.

**II რაუნდი.** გომესი მოწინააღმდეგესთან დისტანციის შემცირებას ცდილობს და ახლო მანძილიდან არ აძლევს უკრაინელს ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალებას.

რინგზე დაძაბული სიტუაციაა. ჩემპიონი ოდნავ შეშფოთებულია მოვლენათა ამგვარი განვითარებით. კუბელი კლიჩკოს არ აძლევს მის ჩვეულ სტილში მოქმედების საშუალებას.

**III რაუნდი.** გომესმა ბაგირებთან მიიმწყვდია ვიტალი. კუბელი კარგად მუშაობს ახლო დისტანციაზე.

დარბაზი კლიჩკოს უჭერს მხარს, მაგრამ უკრაინელი ჯერ გონს ვერ მოდის და კუბელი ინიციატივას ინარჩუნებს. გომესი კი არ ცდილობს მოვლენათა ფორსირებას და ჩვეულ სტილში მანევრირებს: დარტყმა - უკან დახევა.

**IV რაუნდი.** კლიჩკო მარჯვნიდან ცდილობს გომესის დაცვის გარღვევას. ჯერ არ გამოსდის. ბრძოლა რინგის ცენტრში მიმდინარეობს.

მოკრივეები სულ უფრო ხშირად ხვდებიან კლინჩში. უკრაინელი საერთოდ ვერაფერს უხერხებს კუბელის დაცვას.

**V რაუნდი.** ვერც კლიჩკო და ვერც გომესი ვერ ახერხებენ სერიოზული ხიფათის შექმნას თუმცა, კუბელს მარჯვენა თვალთან სისხლი წასკდა...

კლიჩკო ნელ-ნელა ხელთ იღებს ინიციატივას.

**VI რაუნდი.** ვიტალიმ, როგორც იქნა, იპოვა თავისი დისტანცია და ორჯერ მარჯვნიდან ზუსტი დარტყმა განახორციელა. გომესი უხერხულად დაეცა, მაგრამ საკუთარი ნებით - ფეხი დაუცდა. ბრძოლა გრძელდება.

გააფთრებული ორმხრივი დარტყმების შემდეგ კლიჩკოს შუბლზე ჭრილობა გაეხსნა.

**VII რაუნდი.** გომესი კარგად მოქმედებს. დისტანცია დაარღვია და უკრაინელს წინა რაუნდში მოპოვებული უპირატესობის განვრცობის საშუალება არ მისცა.

კონტრშეტევისას კლიჩკომ ზუსტად მოიქნია ხელი. რეფერიმ გომესს ნოკდაუნი დაუთვალა!

ვიტალი უპირატესობის განმტკიცებას შეეცადა და კიდევ ერთხელ წააქცია კუბელი. გომესმა გაუძლო.

**VIII რაუნდი.** გომესს მარჯვენა თვალთან ღრმა ჭრილობა აქვს. ვიტალიმ ორმაგი დარტყმა მიაყენა და ხუან კარლოსმა ძლივს შეინარჩუნა წონასწორობა.

**IX რაუნდი.** ვიტალის თავით დარტყმისთვის ქულა აართვეს.

კლიჩკომ ისევ დააგდო რინგზე მეტოქე, მაგრამ ხუან კარლოსი ბრძოლას აგრძელებს.

კიდევ ერთი შედეგიანი შეტევის შემდეგ, რეფერიმ ბრძოლის გაჩერების გადაწყვეტილება მიიღო.

# ჟუსტინს კინოში დაუძახეს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ჟუსტინ ანენი** მონაწილეობას მიიღებს ფრანგულ ტელესერიალში, რომლის სახელწოდებაა "შესანიშნავი ცხოვრება" (Plus beile la vie). ბელგიელმა ჩოგბურთელმა საკუთარი თავი უნდა განასახიეროს.

ეს სერიალი ყოველდღე ტელეარხ France 3-ის ეთერში გადაიცემა. მისმა პროდიუსერმა **ანჟელ ზიმემ** განაცხადა, რომ ანენი მაშინვე დათანხმდა გადაღებებში მონაწილეობას.

*"ჟუსტინი სერიალების დიდი მოყვარულია და ერთ-ერთ ეპიზოდში საკუთარ თავს განასახიერებს. გადაღებები მარსელშია დანიშნული"*, - ამბობს მადამ ზიმე. მისი თქმით, იმ ეპიზოდის სცენარი, რომელშიც მაყურებელი ლეგენდარულ ჩოგბურთელს იხილავს, სპეციალურად ჟუსტინისთვის დაიწერა.

ანენმა შარშან მაისში, 25 წლის ასაკში დაასრულა კარიერა. ბელგიელის ანგარიშზეა "დიდი სლემის" შვიდი ტიტული: ავსტრალიის ღია პირველობა (2004), როლან გაროსი (2003, 2005, 2006, 2007) და აშშ-ის ღია პირველობა (2003, 2007). 2004 წელს, ანენი ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სერ ჩარლზი გაფიცვას წინასწარმეტყველებს



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდამ **ჩარლზ ბარკლიმ** საინტერესო ინტერვიუ მისცა ერთ-ერთი რადიოს. კერძოდ, "სერ ჩარლზმა" აღნიშნა, რომ მალე NBA-ში გაფიცვა დაიწყება.

"ლიგის მოთამაშეებს შემიძლია ვურჩიო - ფული დააგროვონ, რადგან სამუშაოსთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნებათ. ლიგაში ლოკაუტი გარდაუვალია: კალათბურთელებს ძალიან მაღალი ხელფასები აქვთ, ჩვენ კი აშკარა კრიზისს განვიცდით. ეკონომიკური მდგომარეობით შეწუხებული ვარ. ბევრმა ჩემმა მეგობარმა დაკარგა სამსახური. ვერ ვიტან იმ ადამიანებს, რომლებიც ბარაკ ობამას წინააღმდეგ გამოდიან. ჩვენ ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ პრეზიდენტს ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების საქმეში", - ამბობს ბარკლი.

ჩარლზი კიდევ ერთ საინტერესო მოსაზრებას ახმოვანებს. მას მიაჩნია, რომ ახალგაზრდა კალათბურთელები ადრე ხვდებიან ლიგაში და ისინი კიდევ ორი წლით უნდა დააყოვნონ სტუდენტურ ლიგაში.

"ჩემი აზრით, ახალგაზრდა კალათბურთელები უნივერსიტეტებში ორი წლით უნდა რჩებოდნენ. დრაფტი კალათბურთელის პოტენციალს ეფუძნება, მაგრამ სინამდვილეში, ბევრს არ შეუძლია NBA-ში თამაში. ავიღოთ, მაგალითად, ბრენდონ ჯენინგსი, რომელიც პირდაპირ სკოლიდან წავიდა ევროპაში სათამაშოდ. მას NBA-სთან არანაირი კავშირი არ აქვს", - აცხადებს ლეგენდარული კალათბურთელი.

როგორც იცით, ბარკლიმ ცოტა ხნის წინ, მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო, რამდენიმე დღე ციხეში გაატარა: "საპატიმროში გატარებული დრო ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რაც შეიძლებოდა ჩემს ცხოვრებაში მომხდარიყო. გავაცნობიერე თუ რა იოლია დალიო და შემდეგ საჭეს მიუჯდე, მაგრამ ამით ხომ სხვებს უქმნი საფრთხეს. ბედნიერი ვარ, რომ არავისთვის მიმიყენებია ზიანი".

# მანუ და ბინუმი ბრუნდებიან

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** განაცხადა, რომ მისი გუნდის ახალგაზრდა ცენტრმა **ენდრიუ ბინუმმა**, შესაძლოა, რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე შეძლოს მოედანზე დაბრუნება. როგორც მწვრთნელი ამბობს, ის ძალიან არ დატვირთავს ბინუმს და ბოლო ტურებს პლეი ოფის თამაშებამდე კალათბურთელის ფორმაში შესასვლელად გამოიყენებს. როგორც იცით, ბინუმი იანვარში მარცხენა მუხლის ტრავმის გამო გამოეთიშა ჩემპიონატს და ის უახლოეს დღეებში შეუდგება მსუბუქ ვარჯიშებს.

"დღეისთვის ასეთი სიტუაციაა - ენდრიუ კიდევ ერთი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას, მაგრამ პლეი ოფისთვის ის აუცილებლად ჩვენს რიგებში იქნება", - ამბობს ფილ ჯექსონი.

■ ■ ■

უფრო ადრე დაუბრუნდება მოედანს "სან ანტონიო სპურსის" მცველი **მანუ ჯინობილი**. არგენტინელმა ტერფის ტრავმის გამო უკვე თვეზე მეტი გამოტოვა და ექიმების ვარაუდით, ამ კვირას უნდა ჩადგეს მწყობრში.

ჯინობილიმ ამ სეზონში მხოლოდ 38 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 16.1 ქულა, 4.7 მოხსნა და 3.5 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

ღირსშესანიშნავი აღმოჩნდა **ჟიდრუნას ილგაუსკასისთვის** რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტური. ლიტველი კალათბურთელი "კლივლენდ კავალიერზის" ისტორიაში მეოთხე მოთამაშე გახდა, ვინც ათიათასქულიან ზღვარს გადააბიჯა. ეს მოხდა "ატლანტასთან" შეხვედრის პირველ მეოთხედში, როდესაც ბალტიისპირელმა ლეგიონერმა ორი საჯარიმო გამოიყენა.

ილგაუსკასი 11 წელია NBA-ში თამაშობს, თუმცა მისი კარიერის დიდი ნაწილი ტრავმებმა შეაფერხეს. კერძოდ, ლიტველმა მთლიანად გამოტოვა 1996-97 და 1999-2000 წლების ჩემპიონატები, ხოლო 2000-01 წლების სეზონში მხოლოდ 24 მატჩი ჩაატარა.



ილგაუსკასამდე "კლივლენდის" რიგებში 10 ათასი ქულის დაგროვება შეძლეს - **ლებრონ ჯეიმსმა, ბრედ დოჰერტიმ და ოსტინ კარმა.**

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## 20 მარტი

**ინდიანა-დალასი 92:94**

23:25, 23:26, 30:26, 16:17

ი: გრეინჯერი (18+11 მოხსნა), მერფი (14+11 მოხსნა), ფორდი (11), ბ. რაში (11), ჯეკი (10).

დ: ნოვიცკი (23+7 მოხსნა), ტერი (17+3 ჩაჭრა), ა. რაიტი (13+4 დაფარება), კიდი (10+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), სინგლტონი (10+11 მოხსნა).

**ტორონტო-შარლოტი 89:102**

24:33, 26:19, 20:30, 19:20

ტ: ბოში (35+7 მოხსნა), ბარნიანი (27+7 მოხსნა), კალდერონი (8+11 პასი).

შ: ჯ. უოლასი (30+9 მოხსნა+8 პასი), დიაო (30+7 მოხსნა), ფელტონი (14+7 პასი).

**ნიუ ჯერსი-მაიამი 96:88**

21:17, 30:22, 16:24, 29:25

ნ-ჯ: ჯ. ჰეიესი (18), დაგლას-რობერტსი (18), კარტერი (17+9 მოხსნა+8 პასი), ბ. ლოპესი (15+7 მოხსნა), დულინგი (10+8 პასი).

მ: ვეიდი (27+8 მოხსნა+6 პასი), ბიზლი (17), ჯ. ო'ნილი (15+4 დაფარება), ჩალმერსი (10).

**ნიუ იორკი-საკრამენტო 94:121**

22:28, 21:34, 28:35, 23:24

ნ-ი: რობინსონი (19), ჩენდლერი (17), უილკოქსი (14+9 მოხსნა), დუჰონი (11), კ. რიჩარდსონი (10+7 მოხსნა), ჯეფრისი (10+3 ჩაჭრა).

ს: მარტინი (30), უდრიხი (20+7 მოხსნა+7 პასი), ტომპსონი (18+12 მოხსნა), ჰოესი (18+13 მოხსნა), გარსია (16).

**დეტროიტი-კლიპერსი 108:90**

23:27, 23:23, 28:19, 34:21

დ: მაკდაესი (24+17 მოხსნა), პრინსი (23+12 პასი), ბინუმი (22+6 პასი+3 ჩაჭრა), კ. ბრაუნი (14), ერმანი (13).

კ: ე. გორდონი (22), ბ. დევისი (19+7 მოხსნა+8 პასი), კამანი (13+8 მოხსნა), კემბი (12).

**ნიუ ორლეანი-მემფისი 96:84**

21:21, 20:19, 26:28, 29:16

ნ-ო: პოლი (32+9 პასი+5 ჩაჭრა), დ. უესტი (29+7 მოხსნა), რ. ბატლერი (11).

მ: გეი (23), მ. გასოლი (12), უორიკი (12).

**ოკლაჰომა-იუტა 94:101**

24:23, 16:26, 26:28, 28:24

ო: დურანტი (24+12 მოხსნა), უესტბრუკი (22), ჯ. გრინი (15+9 მოხსნა), კოლისონი (11+10 მოხსნა).

ი: დ. უილიამსი (24+11 პასი), ბუზერი (15+9 მოხსნა), მილსეპი (14+7 მოხსნა), ოქური (12), მაილზი (11).

**ჰიუსტონი-მინესოტა 107:88**

22:16, 26:21, 35:29, 24:22

ჰ: არტესტი (20+6 პასი), იაო მინი (14+8 მოხსნა), ვაფერი (13), ბრუქსი (13), ბატიე (11), ლოური (10).

მ: კ. სმიტი (19+7 მოხსნა), ლავი (18+12 მოხსნა), ტელფეირი (11).

**სან ანტონიო-ბოსტონი 77:80**

22:16, 20:21, 21:27, 14:16

ს-ა: ტ. პარკერი (25+7 მოხსნა+8 პასი), დანკანი (15+9 მოხსნა).

ბ: რ. ალენი (19), რონდო (16+12 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (10), პერკინსი (10+5 დაფარება), პირსი (9+12 მოხსნა).

**დენვერი-ვაშინგტონი 116:105**

28:31, 30:20, 30:25, 28:29

დ: სმიტი (40+3 ჩაჭრა), ენტონი (20+5 ჩაჭრა), კ. ანდერსენი (18+11 მოხსნა+6 დაფარება), ნენე (11), ე. კარტერი (2+10 პასი).

ვ: ჯეიმისონი (27+7 მოხსნა), ნ. იანგი (20), მაკგი (13+11 მოხსნა), ბლეტჩი (10), პეჩეროვი (10).

**გ. სტეიტი-ფილადელფია 119:111**

31:33, 31:23, 29:23, 28:32

გ-ს: ბ. რაიტი (25), ელისი (21), მოროუ (16+6 პასი), აზუბუიკე (15), ს. ჯექსონი (14+10 მოხსნა+9 პასი), მაგეტი (12).

ფ: ტ. იანგი (23), ლ. უილიამსი (20+6 პასი+5 ჩაჭრა), იგუოდალა (19+7 პასი), დალემბერი (15+23 მოხსნა), ა. მილერი (10), უ. გრინი (10), სპეიტსი (10).

## 21 მარტი

**კლივლენდი-ატლანტა 102:96**

27:13, 26:22, 26:28, 23:33

კ: მ. უილიამსი (24+7 პასი), ლ. ჯეიმსი (22+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ილგაუსკასი (16).

ა: ჯონსონი (24), მიურეი (22), მ. ევანსი (15), ბიბი (14), პორდვორდი (6+11 მოხსნა+6 პასი).

**შარლოტი-ინდიანა 83:108**

25:23, 20:30, 9:33, 29:22

შ: დიაო (15+3 დაფარება), ჯ. ჰოვარდი (10).

ი: ჯეკი (31), გრეინჯერი (21), ბ. რაში (15), მერფი (14), ს. გრემი (11).

**ორლანდო-ნიუ იორკი 110:103**

29:28, 30:24, 27:28, 24:23

ო: ლუისი (27), თურქოგლუ (20+7 მოხსნა+9 პასი), ელსტონი (17+3 ჩაჭრა), დ. ჰოვარდი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), კ. ლი (13).

ნ-ი: კ. რიჩარდსონი (33+7 მოხსნა), რობინსონი (27), ჯეფრიზი (11+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (10+12 მოხსნა), უილკოქსი (10).

**მემფისი-ბოსტონი 87:105**

21:21, 27:31, 17:26, 22:27

მ: უორიკი (20), გეი (15), მაიო (12), კონლი (12).

ბ: გ. დევისი (24), რ. ალენი (20+6 პასი), პაუსი (15), გარნეტი (10), რონდო (9+7 მოხსნა+10 პასი).

**ჩიკაგო-ლეიკერსი 109:117**

34:24, 28:24, 25:33, 22:36

ჩ: სალმონსი (30), დ. როუზი (25), ბ. გორდონი (16+6 პასი), ტ. ტომასი (15+16 მოხსნა+3 დაფარება), ბ. მილერი (10).

ლ: ბრაიანტი (28+7 პასი+5 ჩაჭრა), პ. გასოლი (23+10 მოხსნა), არიზა (18+8 მოხსნა), ოდომი (16+3 ჩაჭრა), ფარმარი (13+3 ჩაჭრა).

**მილუოკი-პორტლენდი 84:96**

22:18, 21:21, 17:30, 24:27

მ: ვილანუევა (26+9 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (16), სეშენსი (10+7 პასი), ბოგანსი (10).

პ: როი (30+8 მოხსნა+7 პასი), ბლეიკი (21+6 პასი), აუთლო (17), ფერნანდესი (12), პრჟიბილა (4+14 მოხსნა).

**ფინიქსი-ვაშინგტონი 128:96**

31:16, 24:37, 35:22, 38:21

ფ: რიჩარდსონი (35+7 მოხსნა), ნეში (17), შ. ო'ნილი (13+10 მოხსნა), ჰილი (11), დადლი (11+6 პასი), ტაკერი (11), ს. სვიფტი (10+12 მოხსნა).

ვ: ჯეიმისონი (25+8 მოხსნა), მაკგი (16), ბლეტჩი (14+9 მოხსნა), სონგაილა (12), ნ. იანგი (11).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| დეტროიტი-მაიამი | 96:101 |
| მინესოტა-ოკლაჰომა | 90:97 |
| სან ანტონიო-ჰიუსტონი | 85:87 |
| ტორონტო-კლიპერსი | 100:76 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჯაიანტსი-ოლდენბურგი | 56:61 |
| ლუდვიგსბურგი-ერტლანდი | 72:69 |
| პადერბორნი-ალბა | 68:74 |
| ტიუბინგენი-ბრაუნშვაიგი | 87:83 |
| ბრემერჰავენი-კიოლნი | 84:73 |
| ტრირი-სკაილაინერსი | 78:70 |
| ულმი-ტელეკომი | 79:63 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-ლარისა | 100:62 |
| არისი-პანათინაიკოსი | 69:76 |
| ეგალეო-კოლოსოსი | 72:81 |
| ოლიმპია-აეკ | 82:77 (ო) |
| პაოკ-კავალა | 85:66 |
| პანელინიოსი-პანიონიოსი | 66:60 |
| ტრიკალა-მარუსი | 73:81 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ტაუგრესი-ხუვენტუდი | 99:65 |
| უნიკახა-ფუენლაბრადა | 91:78 |
| გრანადა-სარაგოსა | 66:67 |
| მანრესა-ბარსელონა | 122:117 (ო) |
| ბრუესა-გრან კანარია | 66:73 |
| კახასოლი-მურსია | 83:81 |
| მენორკა-ესტუდიანტესი | 70:75 |
| რეალი-ვალენსია | 80:76 |

| იტალია | |
|---|---|
| სიენა-ბიელა | 76:62 |
| ფერარა-ფორტიტუდო | 86:73 |
| სკავოლინი-ტერამო | 83:82 (ო) |
| სნაიდერო-კაზერტა | 89:74 |
| აველინო-მონტეგრანარო | 92:70 |
| კანტუ-ბენეტონი | 62:73 |
| რიეტი-მილანი | 65:75 |
| ვირტუსი-რომა | 89:74 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვიში-ტულონი | 72:49 |
| გრაველენი-ნანსი | 58:62 |
| დიჟონი-ორლეანი | 77:66 |
| რუანი-ბეზანსონი | 86:67 |
| სტრასბური-ჰავრი | 88:83 |
| შალონი-პო ორტეზი | 79:70 |
| ლე მანი-შოლე | 84:77 |

### ჰოკეი

| NHL | |
|---|---|
| პიტსბურგი-ფილადელფია | 1:3 |
| ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 4:1 |
| მინესოტა-ედმონტონი | 3:0 |
| ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 4:1 |

| კჰლ | |
|---|---|
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 6:1 |
| დინამო-აკ ბარსი | 0:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 4:4 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 4:3 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 2:1 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 5:2 |

| დანია | |
|---|---|
| როდოვრე-სენდერიისკი | 3:1 |
| ჰერნინგი-ოდენსე | 1:0 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტიორნენი-ვოლერენგა | 1:5 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სკალიცა-სლოვანი | 3:6 |
| ზვოლენი-კოშიცე | 4:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იოკერიტი-კერპეტი | 2:2 |
| კიეკო-პელიკანსი | 1:1 |
| ჰპკ-კალპა | 2:1 |
| იუვიასკიულა-ტპს | 3:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-პლზენი | 6:5 |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 5:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბილი-ამბრი | 0:2 |
| ფრიბურგი-დავოსი | 1:0 |
| ცუგი-კლოტენი | 0:3 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ფერიესტადი-აიკ | 6:0 |
| ფრიოლუნდა-ჰვ71 | 2:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. ინდიან უელსი | |
|---|---|
| ნადალი-მიურეი | გვ. დასრულდა |

| WTA. ინდიან უელსი | |
|---|---|
| ზვონარევა-ივანოვიჩი | 7:6, 6:2 |

## TV პროგრამა

### 23 მარტი. ორშაბათი

**I არხი**

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ფეიენოორდი.
09:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია.
11:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-პსჟ.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ასტონ ვილა.
19:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მალაგა.
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:10 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ფრაიბურგი-ნიურნბერგი (LIVE).
01:10 საფეხბურთო ღამე.
01:40 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:15 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ფრაიბურგი-ნიურნბერგი.
05:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ატლეტიკო.
06:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი.

**EUROSPORT**

11:30 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-რუსეთი. ჩრ. კორეა.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. პუებლა. მექსიკა.
14:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
15:30 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-გერმანია. ჩრ. კორეა (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
19:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. ფალუნი. შვედეთი.
20:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. კაცები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
20:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - ლუკაშ პოდოლსკი.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
23:15 მულტისპორტი.
23:30 არმრესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:15 მულტისპორტი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. III ტური. იოკოჰამა-კაშივა.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. VI ტური. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-კრიმი (სლოვაკეთი).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:15 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-აელ.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. VI ტური. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-კრიმი (სლოვაკეთი).
19:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. იტალია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ენდურო. მსოფლიოს თასი. პორტუგალია
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. ავსტრალია.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. VI ტური. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-კრიმი (სლოვაკეთი).
23:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
01:00 კარომი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
02:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. იტალია.
02:45 სერფინგი. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ავსტრალია.

რაგბი







რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა მარცხი მწარედ განიცადა

# რუსული დათვი ძლეულია

11 <<

ექვს წუთში ბორჯღალოსანთა ფულ ბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** გაიბრწყინა. რუსებმა თავიანთი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ბურთი ფეხით უხეიროდ გამოიტანეს. მას **ირაკლი მაჩხანელი** დაუფლა და შუისკენ უმალ „მეკოს“ გადააწოდა. ამან წინ წაიწია, ცრუ მოძრაობით ორ მოწინააღმდეგეს ხელიდან დაუსხლტა და ლელოსკენ დაიძრა. ის იყო, მესამე რუსს უნდა შეებოჭა, რომ მარჯვნივ იქვე მიმყოლ გარემარბ **მალხაზ ურჯუკაშვილს** გადააწოდა, რომელიც მოწინააღმდეგის ლელოში კარის ძელებს შორის შეფრინდა. გარდასახვა ამჯერად კვირიკაშვილმა დაარტყა და გაიტანა -12:3.

რუსების რბევა პირველ ნახევარში ამით არ დასრულებულა. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ჩვენმა მეტოქემ თავიანთი ლელოდან 20 მეტრში დერეფანი ააგდეს. ჩვენმა მორაგბეებმა, მათ ბურთის ხეირიანად მოპოვების საშუალება არ მისცეს. ცხრა ნომერმა **ალექსანდრე შაკიროვმა** ბურთი უმისამართოდ მოისროლა და პირდაპირ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ **გიორგი ჩხაიძეს** ჩაუვარდა ხელში. „ბინგომ“ ოდნავ წინ წაიწია და მარჯვნივ სრულიად უმეთვალყურეოდ მიტოვებულ ფლანკერს **გიორგი ლაბაძეს** გადააწოდა, რომელიც რუსთა ლელოში უპრობლემოდ შეიჭრა. გარდასახვა ისევ კვირიკაშვილმა დაარტყა ზუსტად - 19:6. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმის საწყისი ათი წუთის განმავლობაში საქართველოს ნაკრები მოწინააღმდეგის მოედნის ნახევრიდან არ გამოსულა. ჩვენი ბიჭების ძალისხმევა 50-ე წუთზე ლელოდ პირველხაზელმა **დავით ხინჩაგიშვილმა** აქცია. რუსების ხაზი მეორეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** გაჭრა, რომელმაც ამ შეხვედრაში აურაცხელი სამუშაო შეასრულა. ბორჯღალოსნები მოწინააღმდეგის ლელოს შერკინების მოკლე დარტყმებით მიუახლოვდნენ. ჩათვლის მოედნიდან ორ მეტრში სწრაფად მოლი შეკრეს. სანამ რუსები მის ჩაქცევას მოასწრებდნენ, მოლს ხინჩაგიშვილი მოწყდა და მეოთხე ლელო გაიტანა. კიდედან გარდასახვა მალაღურაძემ დაარტყა, მაგრამ არაზუსტად - 24:6.

ანგარიშში ასეთი სხვაობა არაფერს მოასწავებდა, თუ არა რუსების საბოლოოდ განადგურებას. თუმცა ამისაგან ისინი მატჩის არბიტრმა იხსნა. 62-ე წუთზე, რაკში თამაშისას, **დიდიე მენემ** დაჯარიმა და ჩვენი ათნომერი ლაშა მალაღურაძე მოედნიდან ათი წუთით გააძევა. უნდა აღინიშნოს, რომ ლაშა თითქმის ანალოგიური დარღვევის გამო მადრიდში, ესპანელებთან მატჩშიც გაასინბინეს. უკანა ხაზში კაცნაკლულნი დავრჩით. ამით ისარგებლეს რუსებმა და 65-ე წუთზე გარემარბმა **ალექსანდრ გვოზდოვსკიმ** ლელო გაგვიტანა. კუშნარიოვმა გარდასახა - 13:24.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგმა არბიტრმა არც ერთხელ არ დანიშნა ჩვენ სასარგებლოდ კარში დასარტყამი საჯარიმო. არადა, დაუჯერებელია, რაკში თამაშისას რუსები ისე სუფთად ირჯებოდნენ, რომ თამაშის წესი ერთხელაც არ დაარღვიეს? ამას თან დაერთო ისიც, რომ **ტიმ ლეინმა** ცვლილებები აშკარად დააგვიანა.

76-ე წუთზე რუსებმა საჯარიმოდან კიდევ უფრო შეამცირეს სხვაობა - 16:24. სამ წუთში კი, ჩვენმა გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** დაუშვა შეცდომა. მეტოქის შემოტევა მოგერიებული იყო, ირაკლის კონტრშეტევა უნდა წამოეწყო, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა. მეტოქე დაეუფლა და გვოზდოვსკიმ მეორე ლელო მიითვალა. კუშნარიოვს გარდასახვა გაუცუდდა-21:24.

ბორჯღალოსნებმა თამაში მოედნის ცენტრიდან განაახლეს. კვირიკაშვილის დაკიდებულ ბურთს კარგად მიჰყვა გიორგი ჩხაიძე. მან დაბნეულ მოწინააღმდეგეებს ბურთი ცხვირწინ ააცალა და ოცდაორმეტრიან ზონაში შეიჭრა. მერე მარჯვნივ იქვე მიმყოლ გია ლაბაძეს გაატანა, რომელმაც თითქმის ჩათვლის მოედნამდე ირბინა და კიდევ უფრო მარცხნივ მარტოდ დარჩენილ ირაკლი მაჩხანელს გადააწოდა. ირაკლიმ თავისი შეცდომა გამოასწორა და გატანილი ლელოთი საქართველოს ნაკრებს გამარჯვება მოუტანა - 29:21.

საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის გათამაშების პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა და მსოფლიოს თასის გათამაშებისკენ ერთი, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

რუმინეთი-პორტუგალია 21:22

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +90 | 9 |
| 2.პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | +40 | 7 |
| 3.რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +32 | 6 |
| 4.რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 4 |
| 5.ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 2 |
| 6.გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 0 |

2 მაისი

გერმანია-რუსეთი

ბესიკ ჯანგავაძე











გოგიტა ბუხაიძის ფოტორეპორტაჟი
მარიუპოლი-თბილისი

